

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი

ნიკა ჩიტიშვილი

ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა და მისი განხორციელების  
სტრატეგია საქართველოში

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი  
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი  
ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი

თბილისი

2023

# სარჩევი

შესავალი.....	10
კვლევის მიზანი და ამოცანები.....	10
კვლევის საგანი და ობიექტი.....	11
კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.....	11
თავი I. ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა თანამედროვე გამოწვევების წინაშე.	19
1.1 ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა გლობალიზაციის პირობებში .....	19
1.2 ეკონომიკური საფრთხეები, უსაფრთხოების სფეროები და მიდგომები .....	27
1.3 ეკონომიკური ინსტიტუტების როლი ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკაში გადაწყვეტილების მიღების პროცესში .....	50
1.4 მდგრადი განვითარება, როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების საბაზისო ელემენტი .....	62
თავი II ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის საზღვარგარეთული გამოცდილების ანალიზი და მისი გათვალისწინება საქართველოს რეალობაში .....	69
2.1 ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის თავისებურებები გერმანიაში; .....	69
2.2 ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის სპეციფიკა ბალტიის ქვეყნებში .....	85
თავი III ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის არსებული მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების პერსპექტივები საქართველოში .....	112
3.1 ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკაში გადაწყვეტილებების მიმღებთა და გამტარებელთა ეკონომიკური შეთანხმებების როლი საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების გაუმჯობესებაში.....	112
3.2 ინდივიდის, ბიზნესის და ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მოქმედი ფაქტორები, გამოწვევები და განვითარების შესაძლებლობები საქართველოში .....	119
3.3 სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების გაუმჯობესების გზები საქართველოში .....	132
დასკვნები და რეკომენდაციები .....	165
გამოყენებული ლიტერატურა .....	176
დანართები .....	191

## აბსტრაქტი

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური უსაფრთხოება, ეკონომიკური პოლიტიკა, მდგრადი განვითარება, კეთილდღეობის ეკონომიკა, ეკონომიკური სტაბილურობა

ეკონომიკური უსაფრთხოება უფრო და უფრო მნიშვნელოვანი საკითხი ხდება სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვის, ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილების მიღების და განხორციელების პროცესში. ეკონომიკური უსაფრთხოების გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან, მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდასთან, ეკონომიკის ჯანსაღ ფუნქციონირებასა და ეკონომიკური პროცესების დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებასთან. ეკონომიკური უსაფრთხოება არ არის განცალკევებული არც სახელმწიფო უსაფრთხოებისგან და არც საერთაშორისო თუ ადგილობრივი ეკონომიკური პროცესებისგან, აქედან გამომდინარე, საჭიროა საკითხის კომპლექსური შესწავლა და რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის გასატარებლად ეკონომიკური ინსტრუმენტების სწორად გამოყენება.

ნაშრომი შეისწავლის ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელობას როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების, ასევე ეკონომიკური განვითარების კონტექსტში. ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელობა განხილულია განვითარების სხვადასხვა დონეზე, იქნება ეს ინდივიდის, ბიზნესის თუ სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოება, მათი თანხვედრა და გამოწვევები, რომლებიც შესაძლოა ახლდეს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას სხვადასხვა საფეხურზე. სახელმწიფოს მიერ მიღებული ეკონომიკური გადაწყვეტილებები სხვადასხვა გავლენას ახდენს ეკონომიკური სუბიექტების უსაფრთხოებაზე დროის განსხვავებულ პერიოდში, შესაბამისად, ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელმა გატარებული რეფორმების მეშვეობით უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური უსაფრთხოების მრავალმხრივი გაუმჯობესება. ნაშრომში განხილულია სხვადასხვა დროის მეცნიერთა შეხედულებები ეკონომიკურ უსაფრთხოებასა და ეკონომიკური უსაფრთხოების ინტეგრაციის შესაძლებლობებზე სახელმწიფოს უსაფრთხოების

გაუმჯობესებაში. გაანალიზებულია ეკონომიკური უსაფრთხოების მოდელები, ეკონომიკური საფრთხეები, უსაფრთხოების სფეროები და მიდგომები, ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების საშუალებები და ინდექსები, ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელი თვისებრივი პოსტულატები.

ნაშრომში გადმოცემულია ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის საზღვარგარეთული გამოცდილება. კერძოდ, შეფასებულია ერთის მხრივ, გერმანიის გამოცდილება, როგორც ევროკავშირის უძლიერესი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოს, რომლის ეკონომიკური აღდგენა ეკონომიკურ სასწაულად არის მიჩნეული და, მეორეს მხრივ, ბალტიის ზღვის ქვეყნების გამოცდილება, რომლებმაც მოახერხეს საბჭოთა კავშირისგან გამოყოფის შემდეგ რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარება და, შესაბამისად, მოსახლეობის კეთილდღეობის დონის გაუმჯობესება. ნაშრომი განიხილავს ზემოაღნიშნული ქვეყნების ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის მნიშვნელოვან გამოცდილებებს, ასევე აანალიზებს მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებსა და ზეგავლენებს ეკონომიკური უსაფრთხოების გაუმჯობესების კონტექსტში.

ნაშრომში გამოკვლეულია ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის განხორციელების შესაძლებლობები საქართველოში, ის ეკონომიკური საფრთხეები, რომლებიც უკავშირდება ქვეყნის სწორ განვითარებას, გამოწვევებს - რომელთა წინაშეც ქვეყანა დგას/შესაძლოა დადგეს და, რაც მთავარია, იმ პერსპექტივებს, რომლებიც უკავშირდება საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების გაუმჯობესებას. ნაშრომში, ასევე, გაანალიზებულია ქვეყანაში გატარებული ბოლოდროინდელი ეკონომიკური რეფორმების გავლენა ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობაზე.

## Abstract

**Key words:** Economic Security, Economic Policy, Sustainable Development, Welfare Economics, Economic Stability

Economic security is becoming an increasingly important issue in the process of state economic policy planning, economic policy decision-making and implementation. The improvement of economic security is directly related to the economic development of the country, the increase in the well-being of the population, the healthy functioning of the economy, and the increase in the degree of independence of economic processes. Economic security is not separate from state security, nor from international or local economic processes, hence there is a need for a complex study of the issue and the correct use of economic tools to implement a rational economic policy.

The paper examines the importance of economic security in the context of both state security and economic development. The importance of economic security is discussed at different levels of development, whether it is the economic security of an individual, business or state, their convergence and challenges that may accompany the provision of economic security at different levels. The economic decisions made by the state have different effects on the security of economic entities in different periods of time, therefore, the economic policy maker should ensure the multifaceted improvement of economic security through the implemented reforms. The paper discusses the views of scientists of different times on economic security and the possibilities of integration of economic security in improving the security of the state. Economic security models, economic threats, security areas and approaches, economic security evaluation tools and indices, qualitative postulates of economic security are analyzed.

The paper analyzes foreign experience. First of all, Germany, as the state with the strongest economy in the European Union, whose economic recovery is considered an economic miracle, and on the other hand, the Baltic Sea countries, which managed to produce a rational economic policy after separation from the Soviet Union and, therefore, improve the well-being of the population. The paper examines the important experiences of the fiscal and

monetary policies of the above-mentioned countries, as well as analyzes the results and implications of their decisions in the context of improving economic security.

The paper examines the possibilities of planning and implementing Georgia's economic security strategy, the economic threats that are related to the proper development of the country, the challenges that the country faces/may face and, most importantly, the perspectives that are related to the improvement of Georgia's economic security. The paper also analyzes the impact of recent economic reforms in the country on the state of economic security.

## დიაგრამების ჩამონათვალი

დიაგრამა N 1 გერმანიის სავაჭრო ბალანსი 2000 წლის შემდგომ პერიოდში.....	75
დიაგრამა N 2 ბუნებრივი აირის უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნები გერმანიაში 2020 წ.....	80
დიაგრამა N 3 ევროკავშირის მიერ რუსული გაზის ჩანაცვლების გეგმა.....	80
დიაგრამა N 4 ესტონეთის ექსპორტი ქვეყნების მიხედვით 2021წ. ....	98
დიაგრამა N 5 ესტონეთის იმპორტი ქვეყნების მიხედვით 2021 წ.....	98
დიაგრამა N 6 რუსეთისა და ევროკავშირის წილი საქართველოს საქონლის ექსპორტში 2015-2021წწ .....	134

## ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი N 1 გერმანიის უმსხვილესი საიმპორტო და საექსპორტო პარტნიორები .....	75
ცხრილი N 2 გერმანიის უმსხვილესი საერთაშორისო სავაჭრო პარტნიორები მთლიანი ბრუნვისა და სავაჭრო ბალანსის მიხედვით .....	76
ცხრილი N 3 უმუშევრობა გერმანიაში 2010-2021 წლებში .....	79
ცხრილი N 4 უმუშევრობა ესტონეთში 2010-2021 წლებში.....	95
ცხრილი N 5 უმუშევრობა ლატვიაში 2010-2021 წლებში .....	105
ცხრილი N 6 უმუშევრობა ლიეტუვაში 2010-2021 წლებში.....	109
ცხრილი N 7 ბალტიის ზღვის ქვეყნების დასაქმების მაჩვენებლების შედარება.....	110
ცხრილი N 8 დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში 2014-2021 წლებში.....	119
ცხრილი N 9 მოგების და საშემოსავლო გადასახადის წილი საქართველოს ბიუჯეტის შემოსავლებში.....	121
ცხრილი N 10 საშუალო ხელფასის ასაკობრივი პენსიით ჩანაცვლების კოეფიციენტი 2018-2011წწ.....	125
ცხრილი N 11 რუსეთისა და ევროკავშირის წილი საქართველოს საქონლის ექსპორტში 2015-2021წწ .....	133
ცხრილი N 12 რუსეთიდან და ევროკავშირიდან საქონლის იმპორტის წილი მთლიან იმპორტში 2015-2021წწ.....	135

ცხრილი N 13 აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან ბუნებრივი აირის იმპორტის წილი 2018-2022წწ.....	141
ცხრილი N 14 აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან საქართველოში იმპორტირებული ელექტროენერჯის წილი 2018-2021წწ .....	143
ცხრილი N 15 მსოფლიოში ტოპ 10 ფქვილის მიმწოდებელი ქვეყანა 2000-2020 წწ.....	146
ცხრილი N 16 თურქეთიდან იმპორტირებული მედიკამენტების ფასების შედარება სხვა ქვეყნიდან იმპორტირებულ მედიკამენტების ფასებთან.....	147
ცხრილი N 17 საქართველოს კორუფციის ინდექსი 2016-2011 წლებში .....	158

## **სქემების ჩამონათვალი**

სქემა 1 ეკონომიკური უსაფრთხოების ინტეგრაცია ქვეყნის უსაფრთხოების სისტემაში	22
სქემა 2 ეკონომიკური უსაფრთხოებისადმი მიდგომების სისტემა .....	31
სქემა 3 ეკონომიკური უსაფრთხოების დონეების ურთიერთკავშირი .....	40
სქემა 4 ეკონომიკის კავშირი პოლიტიკის შექმნის პროცესთან.....	54
სქემა 5 გლობალური სასურსათო უსაფრთხოების ინდექსის კონცეპტუალური ჩარჩო.	162

## **აბრევიატურების ჩამონათვალი**

- AGRI - აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის ინტერკონექტორი;
- BEE - ბიზნესის ხელშემწყობი გარემო;
- DCFTA - ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმებას;
- ESI - ეკონომიკური უსაფრთხოების ინდექსი;
- EVI - ეკონომიკური მოწყვლადობის ინდექსი;
- FATF - ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი
- FSRU - მცურავი შენახვისა და რეგაზიფიკაციის ერთეულები;
- ILO - შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია;



IMF - საერთაშორისო სავალუტო ფონდი;

KAPO - ესტონეთის სამინაო უსაფრთხოების სამსახური;

LNG - თხევადი ბუნებრივი აირი;

OECD - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია;

RD&I - კვლევის, განვითარებისა და ინოვაციის სტრატეგია;

USAID - ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო;

VDD - ლატვიის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური;

WTO - ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია.

## შესავალი

**თემის აქტუალურობა.** ეკონომიკის ჯანსაღი ფუნქციონირებისათვის საჭიროა ქვეყანა მდგრადი იყოს მიმდინარე პროცესების მიმართ, ამის შესაძლებლობას კი ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიული დაგეგმვა უზრუნველყოფს. ეკონომიკური უსაფრთხოება, როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი, დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასთან, ბიზნესის თავისუფლებასა და წარმატებით ფუნქციონირებასთან და, რაც მთავარია, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის არსებობის აქტუალობას, განსაკუთრებით, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა განაპირობებს. მცირე ზომის ღია ეკონომიკა, რომელიც იმპორტდამოკიდებულია და სავაჭრო ბალანსის მუდმივ დეფიციტს განიცდის, კიდევ უფრო მეტად დამოკიდებული ხდება გარემო ფაქტორებსა და მიმდინარე საერთაშორისო პროცესებზე. ქვეყნის მეხუთედი ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ, თუმცა, რუსეთი ერთ-ერთ მთავარ სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენს. რუსეთს აქვს გავლენა ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, მაგალითად, როგორცაა ელექტროენერჯის მიწოდება. ამასთანავე, საქართველოზე ზემოქმედებას ახდენს მსოფლიოში მიმდინარე ფორსმაჟორული სიტუაციებიც, მაგალითად, კოვიდ-19-ის პანდემია, 2022 წლიდან რუსეთის მიერ უკრაინაში საომარი მოქმედებების განხორციელება და ა.შ. აღნიშნული მოვლენები განაპირობებენ გლობალიზებულ სამყაროში ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებისა და სხვა ეკონომიკური სუბიექტების ქცევების, გლობალური მიწოდების ჯაჭვების და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ცვლილებას. აქედან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია საქართველოს გააჩნდეს ეკონომიკური საფრთხეებისადმი მდგრადობისა და გრძელვადიან პერიოდზე ორიენტირებული განვითარების სტრატეგია.

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** კვლევის მიზანია საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის არსებული მდგომარეობის ანალიზი და მისი გაუმჯობესების ეფექტიანი გზების ძიება.

მიზნის მისაღწევად, განსაზღვრულია შემდეგი ამოცანები:

- ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციების შესწავლა და ანალიზი;
- სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების, კერძოდ, გერმანიისა და ბალტიის ქვეყნების ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის თავისებურებების გამოვლენა, გატარებული რეფორმების ანალიზი და მათი საქართველოს რეალობაში გათვალისწინება;
- ეკონომიკური საფრთხეების პრევენციის, იდენტიფიცირებისა და დაძლევის გზების დადგენა;
- ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკაში გადაწყვეტილების მიმღებთა და გამტარებლების როლის განსაზღვრა;
- ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის არსებული მდგომარეობის ანალიზი საქართველოში;
- საქართველოში გლობალური სასურსათო უსაფრთხოების ინდექსის გაანგარიშება;
- საქართველოში ეკონომიკური უსაფრთხოებისა და მისი განხორციელების სტრატეგიის ეფექტიანი გზების ძიება და რეკომენდაციების შემუშავება.

**კვლევის საგანი და ობიექტი.** კვლევის საგანს წარმოადგენს ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებისა და მისი ეფექტიანი განხორციელების პროცესი, ხოლო კვლევის ობიექტია ეკონომიკური საფრთხეებისა და მისი გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება.

**კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.** სადისერტაციო კვლევა დაფუძნებულია ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომებზე, დარგის ექსპერტების შეხედულებებსა და მოსაზრებებზე, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებსა და გამოცემებზე, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ეკონომიკური უსაფრთხოების მიმართულებით გამოქვეყნებულ ნაშრომებზე, ასევე, საქართველოსა და სხვა ქვეყნების საკანონმდებლო აქტებსა და სამართლებრივ რეგულაციებზე.

კვლევისას გამოყენებულია ანალიზის, სინთეზის, რაოდენობრივი და თვისებრივი, ისტორიული, ლოგიკური, ინდექსის, დედუქციის, სტატისტიკის, შედარებისა და „ქეის-სთადის“ მეთოდები.

გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვა. კვლევის საფუძვლიანი ჩატარებისთვის ავტორის მიერ მოხდა მრავალრიცხოვანი ქართული და უცხოური ლიტერატურის შესწავლა. ქართული კვლევებიდან შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე მათგანი, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკური უსაფრთხოების სხვადასხვა საკითხთან:

- ალადაშვილი ბ. 2011 - *„ეკონომიკური უსაფრთხოება: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა“*; სადაც განხილულია ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიის, მეთოდოლოგიის და პრაქტიკის მნიშვნელოვანი საკითხები. ახსნილია ეკონომიკური უსაფრთხოების არსი და მისი განვითარების შესაძლებლობები;
- გველესიანი რევაზი, გოგორიშვილი ირინა. 2012 - *„ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან ეკონომიკური-პოლიტიკური გადაწყვეტილების შესაბამისობა“*. აღნიშნული ნაშრომი განსაკუთრებით საინტერესოა ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილების მიღების პროცესის განხილვისა და ღირებულებების შექმნის ანალიზის თვალსაზრისით;
- გულნაზ ერქომაიშვილის სხვადასხვა ნაშრომის გამოყენებამ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა საქართველოს საგადასახადო სისტემის ანალიზის პროცესში, მათ შორის გატარებული რეფორმების შეფასებისას;
- ვლადიმერ პაპავას ნაშრომების გამოყენება მოხდა ეკონომიკის ახლებური ანალიზისა და ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევების კვლევის მიმართულებით;
- ხარაიშვილი ეთერი, ნაცვლიშვილი ია, 2020 - *სასურსათო უსაფრთხოების გამოწვევები საქართველოში და სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტები პოსტკორონავირუსულ პერიოდში* მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სასურსათო უსაფრთხოების, როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილის კვლევის პროცესში; ამ მიმართულებით, ასევე, ჩავლექიშვილი მ., ერქომაიშვილი გ., სეთურიძე რ. 2013 - *სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიული მიმართულებები საქართველოში გლობალიზაციის პირობებში*;
- თემურ გოჩიტაშვილის ექსპერტული მოსაზრებები ენერგეტიკული უსაფრთხოების კვლევის ნაწილში იქნა გამოყენებული.

უცხოური ლიტერატურის ანალიზისას, განსაკუთრებით თეორიულ ნაწილში, დიდი მნიშვნელობა ქონდა სხვადასხვა მეცნიერის ნაშრომების კვლევას, მათ შორის: Douglas - თავისუფლება, შესაძლებლობა და უსაფრთხოება, ეკონომიკური პოლიტიკა და პოლიტიკის სისტემა; Guillaumont-ის კვლევები ეკონომიკური მოწყვლადობისა და ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მიმართულებით; Hacker-ის და სხვათა კვლევები ეკონომიკური უსაფრთხოების ახლებური ხედვის და ეკონომიკური ინდექსის მიმართულებით; Heal-ის კვლევები ეკონომიკური თეორიის და მდგრადობის მიმართულებით; Nanto-ს კვლევები ეკონომიკური და ეროვნული უსაფრთხოების მიმართულებით; Neumayer-ის მიერ მდგრადობის ანალიზი; Rausser-სა და სხვების კვლევები, რომლებიც აღწერენ პოლიტიკური ძალაუფლებისა და ეკონომიკური პოლიტიკის გავლენას; Tamošiūnienė-ს კვლევა ეკონომიკური უსაფრთხოების თაამედროვე მიდგომებზე; Zukrowska-ს მიერ აღწერილი კავშირი ეკონომიკურ უსაფრთხოებასა და სტაბილურობას შორის; გარდა ამისა, სხვადასხვა მკვლევარსა და საერთაშორისო გამოცემას, კარგად აქვს გადმოცემული მეორე თავში მოცემული ქვეყნების ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიული და პრაქტიკული თავისებურებები. სადისერტაციო ნაშრომის ბოლოს მითითებულია გამოყენებული ლიტერატურის დეტალური სია.

საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლისა და საქართველოში არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, წარმოდგენილია ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა და მისი სტრატეგიის ეფექტიანი განხორციელების გზები.

**სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი სამეცნიერო სიახლეებია:**

- შესწავლილია ეკონომიკური უსაფრთხოების ისეთი მოდელები, როგორებიცაა - მულტიპოლარული, ბიპოლარული, არაპოლარული, ასევე, ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის მაკროეკონომიკური და ინდივიდუალური მიდგომები. ნაჩვენებია სახელმწიფოს, ბიზნესისა და ინდივიდის ინტეგრაცია ეკონომიკური უსაფრთხოების კონტექსტში;
- გერმანიის და ბალტიის ქვეყნების გამოცდილებისა და საქართველოში ეკონომიკური უსაფრთხოების არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ეკონომიკური უსაფრთხოების გამოწვევები და

ნაჩვენებია, თუ რა გზით შეიძლება ეკონომიკური სუბიექტების ეკონომიკური უსაფრთხოებები იყოს ერთიანი და არა წინააღმდეგობრივი;

- შეფასებულია ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკაში გადაწყვეტილებების მიმღებთა და გამტარებელთა როლი ეკონომიკური საფრთხეების თავიდან აცილებისა და მისი დაძლევის პროცესში;
- გაანგარიშებულია გლობალური სასურსათო უსაფრთხოების ინდექსი საქართველოში, რომელმაც შეადგინა 54.67 ქულა. მათ შორის 16.12 ქულა ხელმისაწვდომობაში, 22.97 ქულა მოპოვებადობაში და 15.58 ქულა ხარისხსა და უვნებლობაში. კვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველო აღნიშნული ინდექსით 114 ქვეყანას შორის მე-80 ადგილს იკავებს;
- შემოთავაზებულია რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის თვალსაზრისით არსებული გამოწვევების დაძლევას.

**ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა.** კვლევის შედეგად გამოვლენილი სიახლეები, მიღებული შედეგები და რეკომენდაციები შესაძლებელია გამოყენებული იქნას ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებისა და ქვეყნის პოლიტიკის განმახორციელებელი სუბიექტების მიერ გადაწყვეტილების მიღებისა და ქვეყნის განვითარების სტრატეგიის შექმნის პროცესში. რეკომენდაციები გათვლილია როგორც საკანონმდებლო ინიციატივებზე, ასევე, აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მონეტარული და ფისკალური რეფორმების შემუშავებაზე. გარდა ამისა, ნაშრომის შედეგების სამეცნიერო ღირებულება გამოიხატება შესაძლებლობაში, რომ კვლევის შედეგების სწავლება მოხდეს სხვადასხვა უმაღლესი საფეხურის სასწავლო კურსებში: ეკონომიკის მიმართულებით ეს შესაძლებელია იყოს ეკონომიკური პოლიტიკა და მისი მომიჯნავე სასწავლო დისციპლინები. ასევე, ნაშრომის შედეგების გათვალისწინება შესაძლებელია საინტერესო იყოს სხვა სოციალური და პოლიტიკური სასწავლო დისციპლინების ფარგლებში.

**კვლევის შედეგების აპრობაცია.** კვლევის შედეგების ზოგიერთი ძირეული საკითხის გამოქვეყნება მოხდა სხვადასხვა სამეცნიერო რეფერირებად ჟურნალსა და კონფერენციაზე როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. კერძოდ:

- ჩიტიშვილი ნ. - *გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შესაძლებლობები ურბანულ გარემოში* - ჟურნალი „ეკონომისტი“ ტომი XIV N2, 2018 (ISSN: 2346-8432);
- ჩიტიშვილი ნ. - „*ჰოლანდიური დაავადება*“ *ნორვეგიული მოდელის თავისებურებანი* - ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ ტომი X, N4, 2017 (ISSN 1987-5789);
- Chitishvili N. - “The Role of LNG Terminals in the Development of Economic Security - Examples of Some European Countries”, Scholars Middle East Publishers, Saudi Journal of Economics and Finance, Dubai, United Arab Emirates 6(12), 2022;
- Chitishvili N. - *Food Security during Pandemic - The World and Georgia*, The Proceedings of the V International Scientific Conference - "Challenges of Globalization in Economics and Business" (11/2020);
- Chitishvili N. - *Challenges and Influence of Pension Reform: Georgian Case*, ECOFORUM Journal, Romania, Volume 8, N2, ISSN 2344-2174.

სადისერტაციო ნაშრომი განხილული და აპრობირებული იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრაზე, რის საფუძველზეც, დოქტორანტს მიეცა თანხმობა სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თაობაზე.

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.** სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს შესავალს, 3 თავს, 9 ქვეთავს, დასკვნასა და რეკომენდაციებს. თან ახლავს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი და დანართები. შეიცავს 6 დიაგრამას, 17 ცხრილსა და 5 სქემას. აბსტრაქტი წარმოდგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე. ნაშრომის მოცულობა შეადგენს 201 ნაბეჭდ გვერდს.

ნაშრომის პირველი თავი მოიცავს 4 ქვეთავს. პირველ თავში განხილულია ძირითადი თეორიული საფუძვლები და წარმოდგენილია ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიული წინამძღვრები. პირველი თავის პირველ ქვეთავში ახსნილია ეკონომიკური უსაფრთხოების არსი, წარმოდგენილია მისი ისტორიული ანალიზი და სხვადასხვა მეცნიერის შეხედულებები ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელობაზე. სქემატურად არის ნაჩვენები ეკონომიკური უსაფრთხოების

ინტეგრაცია სახელმწიფოს უსაფრთხოებასა და პოლიტიკის წარმოებასთან. წარმოდგენილია მიდგომები და მოსაზრებები ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ასევე, გავლენა პარალელები ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და საერთაშორისო ურთიერთობების წარმოებას შორის.

პირველი თავის მეორე ქვეთავი უკავშირდება ეკონომიკურ საფრთხეებს, უსაფრთხოების სფეროებსა და მიდგომებს ეკონომიკური უსაფრთხოებისადმი. ახსნილია საფრთხეების თავისებურებები, თვისებრივი, აღქმითი და დროში განსხვავებული, ასევე სიტუაციურად და გარემო პირობების გათვალისწინებით განსხვავებული ეკონომიკური საფრთხეები. ქვეთავი ახდენს ეკონომიკური საფრთხეების სფეროების იდენტიფიცირებასა და მის კავშირს სახელმწიფო უსაფრთხოებასთან. ასევე, განხილულია ეკონომიკური უსაფრთხოებისადმი განსხვავებული მიდგომები, მოყვანილია შესაბამისი მაგალითები. განხილულია ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების მექანიზმები, მათ შორის ინდექსები. ასევე, გაანალიზებულია ეკონომიკური უსაფრთხოების დონეები და მათი ურთიერთკავშირი. სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლების გავლენა ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე, ბარიერები და დაბრკოლებები, რომლებიც წარმოიქმნება პოლიტიკის წარმოების პროცესში.

პირველი თავის მესამე ქვეთავში აღწერილია გადაწყვეტილების მიღების პროცესის გავლენა ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე, გადაწყვეტილების მიღებაზე მოქმედი ფაქტორები, ეკონომიკური ინსტიტუტებისა და ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლების როლი, ინტერესთა ჯგუფების გავლენა და, ასევე, დაკავშირებული ფორმები და ფუნქციები.

პირველი თავის მეოთხე ქვეთავი აღწერს მდგრადი განვითარების კავშირს ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან. განხილულია გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების მიზნების კავშირი ეკონომიკის ჯანსაღ ფუნქციონირებასა და სტაბილურ განვითარებასთან. განხილულია მდგრადობისადმი თეორიული მიდგომები და რესურსების გადანაწილების მნიშვნელობა ეკონომიკური უსაფრთხოების გრძელვადიანი განვითარების კონტექსტში.



სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში განხილულია ეკონომიკური უსაფრთხოების საერთაშორისო მაგალითები. მეორე თავის პირველ ქვეთავში აღწერილია ევროპის უძლიერესი ეკონომიკის - გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მაგალითი. ისტორიულ ჭრილშია ნაჩვენები გერმანიის ეკონომიკის აღორძინება და ის ძირითადი პოსტულატები, რომლებიც განაპირობებენ გერმანიის ეკონომიკური უსაფრთხოების მაღალ ხარისხს, ასევე, განხილულია თანამედროვე მდგომარეობა, საფრთხეები და მიმდინარე პროცესები, რომლებიც უკავშირდება გერმანიის ეკონომიკის განვითარებას.

მეორე თავის მეორე ქვეთავში განხილულია ბალტიის ზღვის ქვეყნების ეკონომიკები და მათი ეკონომიკური უსაფრთხოებების თავისებურებები. ნაჩვენებია სამეულის გარდაქმნის გზები და საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის შემდეგ მათი ევროკავშირში ინტეგრაცია. ასევე, ნაჩვენებია აღნიშნული ქვეყნების ეკონომიკური გარდაქმნის და განვითარების გზები. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ბალტიის ზღვის ქვეყნების ეკონომიკების შედარება ქართულ ეკონომიკასთან. როგორც ცნობილია, საქართველო უკვე გადასულია მოგების გადასახადის ესტონურ მოდელზე, თუმცა, არის სხვა უამრავი ფაქტორი, რომელიც განსხვავებულს ხდის საგადასახადო სისტემის ეფექტიანობას ქვეყანაში.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავი დაკავშირებულია საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კვლევასთან. მესამე თავის პირველ ქვეთავში გაანალიზებულია ეკონომიკური ინსტიტუტების როლი, საერთაშორისო თანამშრომლობის გავლენა და ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო ბაზის განხილვა, რომელიც დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან. ასევე, განხილულია მთავრობის მიერ შემოთავაზებული განვითარების სტრატეგიები.

მესამე თავის მეორე ქვეთავი განიხილავს ინდივიდისა და ბიზნესის ეკონომიკურ უსაფრთხოებებს და მათ ურთიერთკავშირს ერთმანეთთან. ის რაც ერთი სუბიექტისთვის ეკონომიკური უსაფრთხოების გაუმჯობესების საშუალებაა, მეორესთვის შესაძლოა ეკონომიკური საფრთხეების შემცველი იყოს. ქვეთავში განხილულია თუ რა ქმნის ეკონომიკურად უსაფრთხო გარემოს ინდივიდებისთვისა და ბიზნესისთვის, გაანალიზებულია სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმების

გავლენა ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე და შედარებულია ეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩო პირობები მეორე თავში განხილული ეკონომიკების წესრიგთან.

მესამე თავის მესამე ქვეთავში აღწერილია საქართველოს სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების გამოწვევები, პერსპექტივები და შესაძლებლობები, რომელიც შესაძლებელია ქვეყანას გააჩნდეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესების პარალელურად. გაანალიზებულია ეკონომიკური საფრთხეები, მათ შორის გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე. ახსნილია რუსეთთან ურთიერთობის გამოწვევები და სხვა მეზობლებთან ურთიერთობის გაღრმავებით ეკონომიკური უსაფრთხოების განვითარების შესაძლებლობები. ასევე, ნაჩვენებია საქართველოს ეკონომიკური ფუნქციის გააქტიურების გზები და საქართველოს ევროპული პერსპექტივები, რაც გამოიწვევს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების გაუმჯობესებას, ეკონომიკის განვითარებას და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას. მესამე ქვეთავში განხილულია კორუფციის კავშირი ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან. ამავე თავში გაანგარიშებულია გლობალური სასურსათო უსაფრთხოების ინდექსი საქართველოსთვის.

დასკვნისა და რეკომენდაციების ნაწილში წარმოდგენილია ავტორისეული ხედვები და რეკომენდაციები როგორც ინდივიდისა და ბიზნესის, ასევე, სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების განვითარების მიმართულებით. ნაჩვენებია შესაძლებლობები და ამ შესაძლებლობების გამოყენების გზები. მოცემულია ავტორისეული შეხედულებები ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების გაუმჯობესებისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის გამყარების მიმართულებით. ავტორის მიერ წარმოდგენილია ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემადგენელი ნაწილებისა და კომპლექსური მიდგომის საჭიროება, გამოწვევები და პერსპექტივები.

# თავი I. ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა თანამედროვე გამოწვევების წინაშე

## 1.1 ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა გლობალიზაციის პირობებში

ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიული ანალიზისთვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა განვსაზღვროთ ცნება „უსაფრთხოება“. კლასიკური გაგებით, უსაფრთხოება (securitas ან securus) ლათინურიდან ნიშნავს სიმშვიდეს, დაცულობის განცდას, შფოთვის არარსებობას, მშვიდ მდგომარეობას, რისკებისა და საფრთხეების გარეშე. თავდაპირველად, უსაფრთხოების ტერმინი გამოიყენებოდა ქვეყნებს შორის პოტენციური კონფლიქტის განხილვისას. უსაფრთხოება ასოცირდებოდა უმეტესწილად ქვეყნის საზღვრების დაცვასთან. რეალისტური და შემდგომში ნეორეალისტური მიდგომით, სახელმწიფო უსაფრთხოება იყო ქვეყნების, ქვეყანათა ჯგუფის ან რეგიონის ურთიერთობის ატრიბუტი სხვა ქვეყნებთან და ეწოდებოდა საერთაშორისო უსაფრთხოება. ცხადია, რომ უსაფრთხოებას ქონდა მკაცრად დადებითი ინტერპრეტაცია. უსაფრთხოება განიხილებოდა როგორც საფრთხის თავიდან აცილება ან მდგომარეობა, რომელში ყოფნაც ქვეყანას ან ქვეყანათა ჯგუფს საფრთხისგან იზოლირებულად ამყოფებდა. შემდგომში უსაფრთხოების ნეორეალისტური კინცეფციის გაფართოება ნიშნავს უფრო ფართო სპექტრის ჩართვას პოტენციურ საფრთხეებში, დაწყებული ეკონომიკური და გარემოსდაცვითი საკითხებით, დამთავრებული ინდივიდის უფლებებითა და მიგრაციით. უსაფრთხოების კვლევების გაღრმავება ნიშნავს უსაფრთხოების განხილვას ინდივიდის დონემდე ან საერთაშორისო და გლობალურ უსაფრთხოებამდე. ეკონომიკური უსაფრთხოების განსაზღვრება შესაძლოა ბუნდოვანიც იყოს და მოიცავდეს სხვადასხვა წინააღმდეგობას, იმიტომ რომ შეუძლებელია ზოგიერთი მოვლენის ანალიზისას დადგინდეს არის თუ არა ის წმინდად ეკონომიკური, გამოწვეულია თუ არა ეკონომიკური პრობლემებით, საკმარისია თუ არა აღმოსაფხვრელად მხოლოდ ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენება და ა.შ.

დღესდღეობით კი უსაფრთხოებას ყოველდღიურ ცხოვრებაში მრავალფეროვანი აღქმა აქვს, შეიძლება იყოს შემოსავლის უსაფრთხოება, დასაქმების უსაფრთხოება, ჯანმრთელობის უსაფრთხოება, სასურსათის უსაფრთხოება, ენერგეტიკული უსაფრთხოება და ა.შ. ეს პრობლემები კი უფრო დიდი მასშტაბით განიხილება სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულებით, მათ შორის არის ეკონომიკა. ეკონომიკური უსაფრთხოება პირდაპირ ახდენს გავლენას ინდივიდების ცხოვრების ხარისხზე. ეკონომიკური მდგომარეობა ინდივიდების ცხოვრებისუნარიანობისა და განვითარების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს, ამიტომ ქვეყნებმა დაიწყეს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით მუშაობის გაღრმავება. ეკონომიკური უსაფრთხოება წლებია წარმოადგენს წამყვანი მეცნიერების პირდაპირ ან ირიბი შესწავლის საგანს, რათა წინასწარ იქნას შესწავლილი რისკები და საფრთხეები, ხელი რომ არ შეეშალოს ეკონომიკის ჯანსაღ ფუნქციონირებას, ზრდასა და განვითარებას.

ეკონომიკური უსაფრთხოება არის წინასწარ განსაზღვრული პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი და სხვა ღონისძიებათა სისტემა, რომლის მიზანმიმართული განხორციელებაც უზრუნველყოფს ადამიანის, საზოგადოების და სახელმწიფოს აუცილებელი ეკონომიკური ინტერესების დაცვასა და ეკონომიკის ლოგიკურ განვითარებას, როგორც მშვიდობიან, ასევე, ექსტრემალურ სიტუაციებში (ალადაშვილი ბ.- 2011, გვ 10).

ეკონომიკური უსაფრთხოება არის „ღონისძიებათა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური სისტემის დამოუკიდებლობას, თვითმყოფადობას, მის განვითარებას, საშინაო და საგარეო მუქარების აღკვეთას, წინასწარი ზომების მიღებას მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად“ (ჩიკვაიძე თ., 2012).


თანამედროვე მეცნიერები, მსოფლიოს მასშტაბით, ეკონომიკურ უსაფრთხოებას სხვადასხვა ჭრილში განიხილავენ, (Ianioglo A., Polajeva T, 2017) მაგალითად, David A. Baldwin განსაზღვრავს, რომ ეკონომიკური უსაფრთხოება განიხილება, როგორც უსაფრთხოების განსხვავებული ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს მინიმალური ზიანის მიყენებას ეკონომიკური ღირებულებების ნაკრებისთვის (Baldwin D. A. 1997).

Nick J. Freeman და F. L. Bartels-ის აზრით ეკონომიკური უსაფრთხოება წარმოადგენს პოლიტიკურ-ეკონომიკური სუბიექტის სტრუქტურული მთლიანობისა და კეთილდღეობის მომტანი შესაძლებლობებისა და ინტერესების დაცვას სხვადასხვა ექსტერნალიზებული რისკებისა და საფრთხეების კონტექსტში, რომლებიც მას ემუქრება (Freeman, N. J., Bartels, F. L. 2004). ეკონომიკური უსაფრთხოება არის საწარმოს მდგომარეობა, რომელსაც ახასიათებს მისი ფუნქციონირების უნარი, რათა მიაღწიოს მიზნებს არსებულ გარე პირობებში და მათი შეცვლა გარკვეულ ფარგლებში. რუმინელი V. Ioan-Franc და M. Diamescu-ს მიხედვით ეკონომიკური აგენტების ეკონომიკური უსაფრთხოება უზრუნველყოფს შესაბამის პირობებს ეკონომიკური საქმიანობის სტაბილურობისთვის წარმოების, გაცვლის, განაწილებისა და მოხმარების ყოველი ციკლის განმავლობაში (Ioan-Franc V., Diamescu M. 2010). უკრაინელი Lina Artemenko-ს მოსაზრებით ეკონომიკური უსაფრთხოება ბიზნესის მენეჯმენტის კონტექსტში არის უნარი მენეჯმენტმა ადეკვატურად უპასუხოს რისკის ფაქტორების საფრთხეს, მათ შორის შიდა სისუსტეებს, გამოიყენოს გამოუყენებელი რესურსები ეფექტური ფუნქციონირებისთვის (Artemenko L. 2016). პოლონელი Konrad Raczkowski-ს (Wysokińska A., Raczkowski K. 2013) აზრით ეკონომიკური უსაფრთხოება განისაზღვრება, როგორც სახელმწიფო ეკონომიკის ფუნქციონირება, შედარებით დაბალანსებული ენდოგენური და ეგზოგენური თვალსაზრისით, სადაც ბალანსის დარღვევის წარმოქმნილი რისკები დაცულია საზოგადოების ცხოვრების განსაზღვრული და დამტკიცებული ორგანიზაციული და სამართლებრივი სტანდარტებისა და პრინციპების ფარგლებში. მამუკა წერეთელი განსაზღვრავს, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია ეხება ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, ბაზრებზე და რესურსებზე წვდომის გრძელვადიან უსაფრთხოებას, როგორცაა ადამიანები (ადამიანური კაპიტალი), კაპიტალი, ენერჯია, წყალი, ტექნოლოგია და განათლება. როგორც ვხედავთ, მიუხედავად სხვადასხვა ფორმულირებისა, ეკონომიკური უსაფრთხოება გულისხმობს სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის ჯანსაღი ფუნქციონირების მიზნით რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფას, რისკების აცილებას, საფრთხეების დადგენას და ადეკვატურ რეაგირებას, რაც გამოიწვევს როგორც მოსახლეობის, ასევე წარმოებისა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკურ მდგრადობას.

მსოფლიოში ეკონომიკური უსაფრთხოება განიხილება, როგორც ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელი უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რომელიც გაერთიანებულია ქვეყნის მთლიან უსაფრთხოებაში და ეკონომიკური უსაფრთხოების ცალკე გამოყოფა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის კვლევის მიხედვით ეკონომიკური უსაფრთხოების ინტეგრაცია ქვეყნის უსაფრთხოების სისტემაში შემდეგნაირად გამოისახება:

სქემა 1 ეკონომიკური უსაფრთხოების ინტეგრაცია ქვეყნის უსაფრთხოების სისტემაში

**ეროვნული უსაფრთხოება**



წყარო: Nanto D. K, 2011, 6

სხვადასხვა ავტორის მოსაზრებების ანალიზის შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების განხილვის ორი ძირითადი ტენდენცია შეინიშნება (Mesjasz C. 2004, 11):

იდეოლოგიური დავა:

- საერთაშორისო ეკონომიკური დებატები საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის ანარქიული სტრუქტურის ბუნებასა და საბაზრო ეკონომიკური სტრუქტურის ბუნების ურთიერთკავშირთან დაკავშირებით;
- საერთაშორისო ურთიერთობებში პოლიტიკის თუ ბაზრის პრიორიტეტულობა;
- ლიბერალური ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის დომინირება და მისი შედეგები უსაფრთხოების თეორიისა და პრაქტიკისათვის;
- სოციალური ცხოვრების ეკონომიკური ასპექტების უსაფრთხოების შეზღუდვები;
- ეკონომიკური უსაფრთხოების ეთიკური ასპექტები და მისი კავშირი ინდივიდის უსაფრთხოებასთან.

თეორიული მოსაზრებები:

- ურთიერთობები ეკონომიკურ უსაფრთხოებასა და უსაფრთხოების ისეთ სექტორებს შორის, როგორებიცაა - პოლიტიკური, სამხედრო, გარემოსდაცვითი, სოციალური, საინფორმაციო;
- ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემური თვისებები - იდენტიფიკაცია, პროგნოზირება, მონიტორინგი და ა.შ.
- ეკონომიკური თეორიისა და უსაფრთხოების თეორიისა და პოლიტიკის სხვადასხვა ტენდენციებს შორის კავშირი, მაგალითად ნეოკლასიკური ეკონომიკა და „რაციონალური არჩევანის“ დომინირება;
- უსაფრთხოება, როგორც საზოგადოებრივი სიკეთე. საფრთხეებისა და უსაფრთხოების „პრივატიზების“ ტენდენციები;
- ეკონომიკიდან აღებული მეთოდების გამოყენება უსაფრთხოების ანალიზში, მაგალითად, რისკის შეფასების ეკონომიკური მეთოდის შესაბამისობა.

ეკონომიკური უსაფრთხოება წარმოადგენს ქვეყნის უსაფრთხოების სისტემის შემადგენელ ნაწილს. ეკონომიკური უსაფრთხოების იზოლირება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისგან შეუძლებელია.

იმის გამო, რომ არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკის ფუნქციონირებასა და განვითარებაზე, გამოყოფენ ეკონომიკურ უსაფრთხოებას სხვადასხვა გარემო პირობებში, მათ შორის:

- ეკონომიკური უსაფრთხოება ომისა და ფორს-მაჟორული სიტუაციების არსებობისას;
- ეკონომიკური უსაფრთხოება სხვა ქვეყნებთან მკაცრი პოლიტიკური დაპირისპირების არსებობისას;
- ეკონომიკური უსაფრთხოება მშვიდობიან დროში. (მაცაბერიძე მ., 2001)

ეკონომიკური უსაფრთხოების გარემო პირობების მიერ განსაზღვრისა და შეფასების აუცილებლობას წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფო იძულებულია სხვადასხვა პირობებში მიიღოს სხვადასხვა ეკონომიკური გადაწყვეტილება, რომელიც პირობების მიხედვით შესაძლოა სრულიად განსხვავებული იყოს და, შესაძლებელია, ერთმანეთის საწინააღმდეგოც კი. მაგალითად, ომისა და მკაცრი კონფლიქტების შემთხვევაში ეკონომიკური მართვა უფრო მეტად ცენტრალიზდება და რესურსების გადანაწილებაც ცენტრალური პროცესებით ხდება. ასევე, მიმდინარე გამოცდილებამაც გვიჩვენა, რომ პანდემიის პერიოდში სახელმწიფო ინტერვენციები ბაზარზე იზრდება და მთავრობა ცდილობს ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად შეზღუდვების გატარებას, ლიმიტების დაწესებას და ა.შ. აქედან გამომდინარე, გარემო პირობების შეფასება აუცილებელია, რათა მიღებული ეკონომიკური გადაწყვეტილებები ზუსტად შეესაბამებოდეს არსებულ მდგომარეობას და უზრუნველყოფდეს ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებასა და გაჯანსაღების სტიმულირებას.

ქვეყნის განვითარებისთვის, ეკონომიკის სიჯანსაღისა და მოსახლეობის კეთილდღეობისთვის ეკონომიკა, უსაფრთხოება და სტაბილურობა კომპლექსურად და დინამიურად უნდა განიხილებოდეს. დინამიურობა გვეხმარება მიღწევადი მიზნის დადგენასა და შესაბამისი ამოცანების განსაზღვრაში, რაც ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლისთვის უმნიშვნელოვანეს საბაზისო რესურსადაც შეგვიძლია განვიხილოთ. მაგალითად, მე-20 საუკუნეში ზემოაღნიშნული სამეული განიხილება როგორც ომამდე, ომის დროს და ომის შემდგომი. აქედან გამომდინარე



საერთაშორისო ურთიერთობებში უსაფრთხოების მოდელებიც დინამიურად ცვალებადია: (ZukrowskaK, 2000, 374-376)

- **მულტიპოლარული მოდელი** - ეფუძნება სამხედრო განზომილებას, რომელშიც ეკონომიკური ურთიერთობები ნათლად მეორეხარისხოვანია. თავდაცვის დოქტრინა ამ პერიოდში დაფუძნებულია თვითკმარობაზე, ამან გამოიწვია წარმოების თვითკმარობისკენ მიმართვა. კოალიციების შექმნა არ აღმოჩნდა წარმატებული და გამოიწვია დაპირისპირება, ვინაიდან, თავიდანვე დაფუძნებული იყო საერთო პოლიტიკურ ინტერესებზე, რომლებიც არ იყო სტაბილური და დიდხანს არ გაგრძელებულა მათი თანხვედრა;
- **ბიპოლარული მოდელი** - რომელიც შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გაგრძელდა დაახლოებით 45 წელი (1945-1989). ბიპოლარული მოდელის მიხედვით შეიქმნა ნიადაგი, რომელმაც განაპირობა სამხედრო განზომილებიდან ეკონომიკურ განზომილებაზე გადასვლა, ამ დროს ეკონომიკურმა განზომილებამ ნელნელა უფრო მეტი მნიშვნელობა მიიღო და სახელმწიფოებაც გადაერთვნენ ეკონომიკური სიძლიერის მოპოვებაზე. უსაფრთხოების კონცეფცია ამ პერიოდში შეკავების პოლიტიკაზე იყო დაფუძნებული;
- **არაპოლარული მოდელი** - რომელშიც სტაბილიზაციას უზრუნველყოფს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები. არაპოლარული მოდელის მიხედვით ქვეყნის ინტეგრაცია ერთმანეთთან უფრო მაღალია და სხვადასხვა პოლარებს შორის კავშირები ბევრად მტკიცე.

უსაფრთხოების მოდელების განხილვის შემდეგ, უნდა გავანალიზოთ ეკონომიკური უსაფრთხოების ნაწილი და მათი კავშირი უსაფრთხოების მოდელებთან, რომლებიც დინამიურ ურთიერთკავშირშია ზემოთ ჩამოთვლილებთან:

- პირველი არის **პროტექციონისტული, ეროვნული მოდელი**, რომელიც თვითკმარ ეკონომიკას ეფუძნება;
- **პროტექციონიზმიდან ნელ-ნელი გადასვლა**, ეკონომიკის გახსნა რეგიონალურ და გლობალურ დონეზე, რომელიც ბრეტონ ვუდსის ინსტიტუტებისა და რეგიონალური შეთანხმებების გავლენით განხორციელდა;

- ლიბერალიზაციის წინსვლა გლობალიზებულ სამყაროში, რომელშიც ეკონომიკა და სახელმწიფოები უფრო და უფრო ურთიერთდამოკიდებულნი ხდებიან. ამას ემატება 1995 წელს WTO-ს შექმნა. ქვეყნების ეკონომიკები უფრო და უფრო მეტად უკავშირდებიან ერთმანეთს, საგრძობლად იზრდება კაპიტალის ტრანსფერები.

ამ მოდელების ანალიზით, შეგვიძლია განვიხილოთ, რომ დემოკრატიები, რომლებსაც აქვთ კარგად ჩამოყალიბებული საშუალო კლასი, არ სურთ ომი და შესაძლებელია სტაბილურ ეკონომიკებად განვიხილოთ. განვითარებული ქვეყნების ეკონომიკები ომის შემდგომ პერიოდში ფართოდ გაიხსნა, რამაც პირდაპირი გავლენა იქონია ეკონომიკის ციკლების ფორმირებაზე, რომლებიც ხასიათდებოდა გრძელი ზრდის პერიოდებსა და მოკლე დეპრესიებზე. ეკონომიკები უფრო მეტად გადაეჯაჭვა ერთმანეთს. ნაკლებად განვითარებულ ეკონომიკებს გაეზარდათ წვდომა ტექნოლოგიურ ცვლილებებზე, რამაც შეამცირა მათი ჩამორჩენის მოცულობა.

## 1.2 ეკონომიკური საფრთხეები, უსაფრთხოების სფეროები და მიდგომები

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის, პირველ რიგში, საჭიროა ეკონომიკური საფრთხეების განსაზღვრა, იდენტიფიცირება, რის შემდგომაც ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელი გადაწყვეტილების მიღების პროცესში იყენებს სხვადასხვა ინსტრუმენტს, რათა ადეკვატურად იქნას თავიდან აცილებული ეკონომიკური საფრთხეები. ეკონომიკური საფრთხე გულისხმობს ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე იმ პროცესებს, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს ეკონომიკის ფუნქციონირებაზე, ზრდასა და განვითარებაზე (ალადაშვილი ზ, 2011, გვ.53)

პირველ რიგში, ეკონომიკური საფრთხე შესაძლებელია იყოს ქვეყნის შიდა და ქვეყნის გარედან მომდინარე. ხშირ შემთხვევაში გარე საფრთხის აღმოფხვრა უფრო რთულია და შესაძლებელია მოახდინოს შიდა საფრთხეების პროვოცირება. შიდა საფრთხე კი, განსაკუთრებით მცირე ეკონომიკის ქვეყნებისთვის, ძირითადად ლოკალური პრობლემაა, ან შესაძლებელია გამოიწვიოს რეგიონალური პრობლემები. გარე საფრთხეები გულისხმობს მსოფლიოში ან რეგიონში მიმდინარე პროცესების გავლენას ქვეყნის ეკონომიკაზე. მაგალითად, სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის ვარდნა, პოლიტიკური დამაბულობიდან გამომდინარე სანქციების დაწესება და შეზღუდვები, აქტიური ეკონომიკური თანამშრომლობის ქვეყნებში ეკონომიკური კრიზისების წარმოქმნა, ჩრდილოვანი ეკონომიკის დონის ზრდით გამოწვეული განუბაჟებელი პროდუქციის წარმოება, ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ დემპინგი და სამამულო წარმოების შემცირება, ინვესტიციების შემცირება და ა.შ. ხოლო რაც შეეხება შიდა საფრთხეებს, ისინი ქვეყანაში მიმდინარე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე შეიძლება წარმოიქმნას, მაგალითად, უმუშევრობა, არამართლზომიერი ინფლაცია, სამამულო წარმოების შემცირება და სამომხმარებლო კალათის ღირებულების მკვეთრი ზრდა, ბიუჯეტის დეფიციტი და ა.შ. თუნდაც ქვეყანაში სახელმწიფო ხელისუფლების შეცვლამ და მომხმარებელთა მოლოდინებმა შესაძლოა გამოიწვიოს შიდა ეკონომიკური საფრთხეები.

**ეკონომიკური საფრთხეები შესაძლოა იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი.** ზოგ შემთხვევაში, ასევე, შესაძლოა მოკლევადიანი საფრთხე არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის წარმოების შემდგომ იქცეს გრძელვადიან პრობლემად. მაგალითად, დროებითი ეკოლოგიური პრობლემის გამო, შემცირდეს ისეთი დარგის წარმოება, რომელიც მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, თუმცა, არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების გამო მოხდეს გარე ბაზრების დაკარგვა. აქედან გამომდინარე, შემდგომში ახალი ბაზრების ათვისებას დასჭირდეს იმაზე მეტი დრო, ვიდრე იქამდე იგულისხმებოდა და მოკლევადიანი საფრთხე აღმოჩნდეს გრძელვადიანი პრობლემა ქვეყნის ეკონომიკისთვის. მოკლევადიანი საფრთხე შეიძლება იყოს ბიუჯეტის დეფიციტი, ხოლო გრძელვადიანი ენერგეტიკული კრიზისი.

**ეკონომიკური საფრთხეები შესაძლებელია იყოს როგორც ღია, ასევე ფარული.** ღია საფრთხის იდენტიფიცირება მარტივია, ვინაიდან წარმოქმნილი პრობლემა თვალსაჩინოა და ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელი იწყებს შესაბამისი ინსტრუმენტების შერჩევას პრობლემის მოსაგვარებლად. მაგალითად, სამამულო პროდუქციის ჩანაცვლება იმპორტირებულით. ხოლო ფარული საფრთხის დადგენა ზოგჯერ არც ისე მარტივია, მაგალითად მნიშვნელოვანი რესურსის გადინება. ეს შეიძლება იყოს იშვიათი და საჭირო პროფესიის მქონე ახალგაზრდების ქვეყნიდან გასვლა, შესაბამისად მნიშვნელოვანი ადამიანური რესურსის კარგვა, რომელიც ფარულად მიმდინარეობს და შესაძლოა სამომავლოდ გრძელვადიან პრობლემად იქცეს.

**განასხვავებენ ობიექტურ და სუბიექტურ საფრთხეებს.** ობიექტური საფრთხეები გულისხმობს ფაქტიდან გამომდინარე საფრთხეს, როდესაც კონკრეტული მოვლენის გავლენით ეკონომიკის ჯანსაღ ფუნქციონირებას ექმნება პრობლემები, ხოლო სუბიექტური საფრთხეები დამოკიდებულია აღქმაზე, ეს შეიძლება იყოს როგორც მომხმარებლის, ასევე მწარმოებლის და სახელმწიფოს დონეზე.

არსებობს ფორსმაჟორული საფრთხეები, რომლის ნათელი მაგალითიცაა კოვიდ 19-ის პანდემია და პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემები, როგორც

ლოკალურ, ასევე, საერთაშორისო ბაზრებზე. ფორსმაჟორულ საფრთხეებს მიეკუთვნება ბუნებრივი კატასტროფები, ტერაქტები და სხვა.

**ეკონომიკური საფრთხეები შესაძლოა იყოს არსებული და მოსალოდნელი.** არსებული ნიშნავს აწ უკვე რეალობაში არსებულ საფრთხეს, რომელიც საჭიროებს მიზანმიმართული პოლიტიკის გატარებას რათა აღმოიფხვრას. ხოლო მოსალოდნელი საფრთხე გულისხმობს დარგის ექსპერტების, პრაქტიკოსებისა და მეცნიერების მიერ წინასწარ ნავარაუდებ საფრთხეს, რომლის თავიდან აცილებისთვის, ან გავლენის შემცირებისთვის ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელს უფრო მეტი დრო აქვს, არსებულთან შედარებით.

როდესაც ვსაუბრობთ ეკონომიკურ საფრთხეებზე, ბოლოდროინდელი მოვლენებიდან, აუცილებელია გამოვყოთ კოვიდ 19-ის პანდემია და მისით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემები. კოვიდ19-მა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაზე და მომენტალურად შეცვალა ბაზრის სხვადასხვა სუბიექტის ქცევა. გლობალიზებულმა სამყარომ, რომლის სუბიექტებიც მუდმივად ცდილობდნენ საზღვრების გახსნასა და ეკონომიკები უფრო და უფრო დამოკიდებული ხდებოდნენ ერთმანეთზე, სწრაფად დაიწყო ანტიგლობალიზებისკენ მიმართული ღონისძიებების გატარება, რაც, უპირველესად, აისახა მოსახლეობის კეთილდღეობასა და ეკონომიკურ განვითარებაზე. ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები ვერ იღებენ ეკონომიკისთვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, ვინაიდან ეკონომიკა დამოკიდებული გახდა ჯანდაცვის სექტორზე. (Chitishvili N., 2020)

კოვიდ 19-მა მძიმე დარტყმა მიაყენა ისეთ ინდუსტრიებს, რომლებიც უფრო მეტად იყო დაკავშირებული ქვეყნებს შორის მოგზაურობასთან, ან ოპერაციული მენეჯმენტი ადამიანურ კაპიტალზე იყო დამოკიდებული, მაშინ როდესაც, ამის საპირწონედ პანდემიამ პოზიტიური გავლენა მოახდინა ელექტრონულ ვაჭრობასა და ელექტრონული პროდუქტების მწარმოებელ კომპანიებზე, ამის განსაკუთრებული მაგალითია ZOOM (2019 წლის დეკემბრის მონაცემებით პლატფორმაზე შეხვედრებს თვეში 10 მილიონი ადამიანი, ხოლო 2020 წლის მაისის მონაცემებით თვეში 300 000 მილიონი ადამიანი ესწრებოდა) (Iqbal M, 2022),

კოვიდ 19-ის პანდემია შეგვიძლია დავყოთ ვაქცინის შექმნა/გავრცელებამდე და შემდგომ პერიოდად. ვაქცინის შექმნამდე ეკონომიკა მთლიანად დამოკიდებული იყო ჯანდაცვის სფეროზე, მას შემდეგ კი რაც, ვაქცინის მოხმარება გაიზარდა ქვეყნებში, ნელნელა მოიხსნა სხვადასხვა შეზღუდვა და მსოფლიო ეკონომიკამაც დაიწყო ჩვეულ რეჟიმში მუშაობისკენ სვლა.

საფრთხეების მსგავსად დაყოფა არ გულისხმობს, რომ ისინი შესაძლებელია იყოს მხოლოდ ერთი სახის და საჭიროა ერთი მიმართულებით მუშაობა პრობლემის აღმოსაფხვრელად. საფრთხეები, როგორც წესი, კომპლექსურია, შესაბამისად, ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელი გადაწყვეტილების მიღების პროცესში იყენებს კომპლექსურ ეკონომიკურ ინსტრუმენტებს.

**ეკონომიკური უსაფრთხოების** სფეროების იდენტიფიცირება უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს და შეგვიძლია განვიხილოთ:


- ეკონომიკური და ფინანსური სისტემების ლოკალური მოშლა, საერთო ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის დასაშვებობა;
- ბაზარზე ორიენტირებული რეფორმების წარმატება, როგორც სხვა სფეროებში პოლიტიკური სტაბილურობისა და უსაფრთხოების წინაპირობა;
- ცხოვრების სტანდარტები, როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორები, ინდივიდის უსაფრთხოებასთან თანხვედრაში;
- კორუფცია და სხვა უკანონო ეკონომიკური საქმიანობა, როგორც სტაბილურობის საფრთხე;
- ეკონომიკური ზრდის უარყოფითი ასპექტები, მაგალითად, დემოგრაფია და უსაფრთხოება;
- ეკონომიკური ზრდის გარემოსდაცვითი შედეგები;
- მდგრადი ეკონომიკური ზრდის წინაპირობები.

გარდა ზემოაღნიშნულისა უსაფრთხოების განხილვისას, უნდა ვახსენოთ ქვეყნის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა ასპექტებიც, რომლებიც საერთაშორისო პოლიტიკის წარმოებისას მნიშვნელოვან როლს ასრულებს. თავდაცვისა და უსაფრთხოების ეკონომიკური ასპექტები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- თავდაცვის ხარჯების ეკონომიკური ზემოქმედება - პოზიტიური, ნეგატიური, ნეიტრალური;
- თავდაცვის ინდუსტრიის ეკონომიკა და მენეჯმენტი;
- სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის პოლიტიკური როლი.

ეკონომიკური უსაფრთხოებისადმი შესაძლებელია არსებობდეს სხვადასხვა მიდგომა, მათ შორისაა ინდივიდუალური და მაკროეკონომიკური. ეკონომიკური უსაფრთხოებისადმი მიდგომების სისტემა ამგვარად შეიძლება ჩამოვყალიბოთ:

სქემა 2 ეკონომიკური უსაფრთხოებისადმი მიდგომების სისტემა



წყარო: Tamošiūnienė R., Munteanu C., 2015

მაკროეკონომიკური მიდგომა გულისხმობს, რომ უსაფრთხოების კონცეფციის სირთულე აუცილებელს ხდის მისი სხვადასხვა განზომილებების ცალ-ცალკე გაანალიზებას. ფართო გაგებით, უსაფრთხოება გულისხმობს სამხედრო უსაფრთხოებას, ეკონომიკურ უსაფრთხოებას, ენერგო უსაფრთხოებას, გარემოსდაცვით უსაფრთხოებას და ა.შ. შესაბამისად, საფრთხეებიდან ხდება ანალიზის გადასვლა მოწყვლადობასა და რისკებზე. ხშირად ეკონომიკური უსაფრთხოების სტატუსი განიხილება როგორც ქვესისტემა, რომლის წარმატებით განხორციელება შესაძლებელს ხდის მთლიანი სისტემის წარმატებულობას. თუმცა ეს განმარტება შესაძლოა ზოგადი იყოს, რადგან ეკონომიკური უსაფრთხოება

პრობლემა ის არის, რომ არსებობს მრავალი განსხვავებული გზა და აბსტრაქციის სხვადასხვა დონე, რომლებშიც შესაძლებელია კონცეპტუალური „ღვეზელის“ განაწილება. მაგალითად, კორეელი ეკონომისტი HA-JOON CHANG ერთ-ერთ ნაშრომში გამოყოფს ინსტიტუტების სამ ძირითად ფუნქციას ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაში:

- 1) კოორდინაცია და ადმინისტრირება;
- 2) სწავლა და ინოვაცია;
- 3) შემოსავლების გადანაწილება და სოციალური ერთიანობა.

თუმცა, შემდგომში თვითონვე აღნიშნავს, რომ მხოლოდ ამ ფუნქციებით არ შეიძლება შემოიფარგლებოდეს ინსტიტუტები, მას ასევე უნდა დაემატოს ინვესტიციების წახალისება, ადამიანური შესაძლებლობების განვითარება და ა.შ. არ არსებობს 1 სწორი და კონკრეტული გზა, რომლითაც შესაძლებელია ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელი ფუნქციების განსაზღვრა.

ერთი დაწესებულება შეიძლება ემსახურებოდეს ერთზე მეტ ფუნქციას. მაგალითად, საბიუჯეტო ინსტიტუტები, როგორც წესი, ასრულებენ მრავალ ფუნქციას, როგორცაა ინვესტიცია პროდუქტიულ აქტივებში, სოციალური დაცვა და მაკროეკონომიკური სტაბილურობა. სხვა მაგალითისთვის, პოლიტიკურ ინსტიტუტებს ასევე შეუძლიათ შეასრულონ მთელი რიგი ფუნქციები, როგორცაა სხვადასხვა მოსაზრებების გადაწყვეტა, კონფლიქტის მოგვარება, სოციალური ერთობის უზრუნველყოფა და ერის მშენებლობა.

არცერთი დაწესებულება არ ასრულებს მხოლოდ ერთ ფუნქციას. არსებობენ ინსტიტუტები, რომელიც ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებენ, თუმცა ისინი ყველა სხვა ფუნქციებსაც შეასრულებენ, რომლებიც შეიძლება ემთხვეოდეს ან არა. მაგალითად, მაკროეკონომიკური სტაბილურობა მიიღწევა არა მხოლოდ დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკის მიერ, რომელიც მხოლოდ ინფლაციაზეა ორიენტირებული, არამედ სხვა ინსტიტუტების, მათ შორის საბიუჯეტო ინსტიტუტების, ფინანსური რეგულირების ინსტიტუტების და ხელფასისა და ფასების- ინსტიტუტების ჩამოყალიბება. სხვა მაგალითისთვის, ინვესტიციების წახალისება ხდება არა მხოლოდ საკუთრების უფლებების ძლიერი დაცვით, არამედ ფინანსური ინსტიტუტების, შრომის ინსტიტუტების და სხვა მომიჯნავე ინსტიტუტების ფუნქციონირებით, მათ შორის კეთილდღეობის სახელმწიფო (რომელიც უზრუნველყოფს „დაზღვევებს“ ინვესტიციების წარუმატებლობისგან).

ერთი და იგივე ფუნქცია შეიძლება ემსახურებოდეს სხვადასხვა ინსტიტუტს სხვადასხვა საზოგადოებაში (ან ერთსა და იმავე საზოგადოებაში სხვადასხვა დროს).

მაგალითად, სოციალური კეთილდღეობა, როგორც წესი, მიიღწევა კეთილდღეობის სახელმწიფოს მიერ ევროპის უმეტეს ქვეყნებში. იგივე უზრუნველყოფილია კეთილდღეობის (უფრო სუსტი) სახელმწიფოს, კომპანიის კეთილდღეობის სქემების, ოჯახის უზრუნველყოფისა და სხვა საშუალებების კომბინაციით აღმოსავლეთ აზიაში. თუ ჩვენ მხოლოდ კეთილდღეობის სახელმწიფოს გადავხედავთ, შეიძლება შეცდომაში შევიდეთ, რომ სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფის დონე აღმოსავლეთ აზიაში გაცილებით დაბალია, ვიდრე არის. სხვა მაგალითისთვის, სუსტი კორპორაციული მენეჯმენტის დისციპლინას უზრუნველყოფს საფონდო ბაზარი ანგლო-ამერიკულ ეკონომიკაში, მაშინ როდესაც მას უზრუნველყოფენ ძირითადი სესხის გამცემი ბანკები ქვეყნებში, როგორცაა გერმანია და იაპონია.

ყველა ჩამოთვლილი მიზეზი უკიდურესად ართულებს ინსტიტუტებსა და ეკონომიკურ განვითარებას შორის ურთიერთობის შესწავლას. ინსტიტუტების როლისა და ეკონომიკური განვითარების ნებისმიერი თეორია უნდა შეეგუოს ამ შეზღუდვას.

კიდევ ერთი დიდი პრობლემა, რომელიც შეიძლება მიასადაგებოდეს ამჟამინდელი ტრადიციული ლიტერატურას ინსტიტუტებისა და განვითარების შესახებ, არის მისი უუნარობა მკაფიოდ განასხვავოს ინსტიტუტების **ფორმები და ფუნქციები**. მაგალითად, თუ გადავხედავთ კაუფმანის და სხვების ნაშრომებს. (1999, 2002, 2003), რომლებიც ადგენენ ყველა ძირითად „მმართველობის“ ინდექსს (ან ინსტიტუციური ხარისხის ინდექსებს), ჩვენ აღმოვაჩინებთ, რომ ეს ინდექსები ხშირად აერთიანებს ცვლადებს, რომლებიც ასახავს განსხვავებებს ინსტიტუტების ფორმებში (მაგ., დემოკრატია, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, სახელმწიფო საკუთრების არარსებობა) და ფუნქციები, რომლებსაც ისინი ასრულებენ (მაგ., კანონის უზენაესობა, კერძო საკუთრების პატივისცემა, კონტრაქტების აღსრულება, ფასების სტაბილურობის შენარჩუნება, კორუფციის შეკავება) (Chang H.J., Thakur R.C 2007 19-21).

ამ გაურკვეველობის საპასუხოდ, ზოგი ამტკიცებს, რომ „ფუნქციის“ ცვლადებს უპირატესობა უნდა მიენიჭოს „ფორმის“ ცვლადებთან შედარებით. მაგალითად, არონი (Aron J. 2000, 128) ამტკიცებს, რომ ეკონომიკურ განვითარებაზე

ინსტიტუტების გავლენის შესწავლისას, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ის, რასაც ის უწოდებს „შესრულების ან ხარისხის ზომებს“ ინსტიტუტებისთვის (ან რასაც ჩვენ ვუწოდებთ ფუნქციის ცვლადებს), როგორცაა „კონტრაქტების, საკუთრების უფლებების, ნდობისა და სამოქალაქო თავისუფლების პატივისცემა“ და არა ცვლადები, რომლებიც „უბრალოდ აღწერს ინსტიტუტების მახასიათებლებს ან ატრიბუტებს“ (ან რასაც ჩვენ ვუწოდებთ ფორმის ცვლადებს). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფუნქციები, რომლებსაც ინსტიტუტები ასრულებენ, შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე მათი ფორმები.

რა თქმა უნდა, დაწესებულებების კონკრეტული ფორმები არ იძლევა გარანტიას კონკრეტულ შედეგებზე, როგორც ამას ვხედავთ ინსტიტუციური ტრანსპლანტაციის მრავალრიცხოვან წარუმატებლობებში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინსტიტუციონალურ ფორმებს შეიძლება დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდეს, რადგან ერთი და იგივე ფუნქცია შეიძლება შეასრულოს სხვადასხვა ინსტიტუციურმა ფორმებმა. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული ფორმა არ იძლევა გარანტიას გარკვეული ფუნქციების შესრულებაზე, ფორმების სრული უგულებელყოფა ძალიან გვირთულებს რაიმე კონკრეტული პოლიტიკის წინადადების გაკეთებას.

## 1.4 მდგრადი განვითარება, როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების საბაზისო ელემენტი

ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევა შესაძლებელია სტაბილური განვითარებით და ეკონომიკის ჯანსაღი ფუნქციონირებით. განსაკუთრებით, როდესაც ვსაუბრობთ რესურსების წვდომასა და ეფექტურ გამოყენებაზე, აუცილებელია ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელმა შედეგების ანალიზი განახორციელოს მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სახელმძღვანელოდ გვთავაზობს მდგრადი განვითარების მიზნებს. ფაქტობრივად, პირდაპირ თუ ირიბად, ჩვიდმეტივე მიზანი დაკავშირებულია ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნებია ([sdgs.un.org/goals](http://sdgs.un.org/goals)):

1. სიღარიბის აღმოფხვრა;
2. ნულოვანი შიმშილი;
3. ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა;
4. ხარისხიანი განათლება;
5. გენდერული თანასწორობა;
6. სუფთა წყალი და სანიტარია;
7. ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერჯია;
8. ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა;
9. მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;
10. შემცირებული უთანასწორობა;
11. მდგრადი ქალაქები და დასახლებები;
12. მდგრადი მოხმარება და წარმოება;
13. კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები;
14. ოკეანისა და ზღის რესურსები;
15. დედამიწის ეკოსისტემები;
16. მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები;
17. პარტნიორობა მიზნების მისაღწევად.

როგორც ვხედავთ, მსოფლიოს და, შესაბამისად, ქვეყნის განვითარებისთვის საჭიროა კომპლექსური ნაბიჯების გადადგმა. ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელმა კი, უნდა მოახდინოს მიზნების მიღწევისთვის ოპტიმალური ამოცანების დასახვა, რომელიც გამოიწვევს საბოლოო მიზნის მიღწევას და არა რომელიმე ერთი ამოცანის შესრულებით განვითარების შეფერხებას. მაგალითად, მრეწველობის განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მოწყობის პარალელურად ნაბიჯები უნდა გადაიდგას კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებით და არ უნდა მოხდეს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მკვეთრი ზრდა. ასევე, სამუშაო ადგილების შექმნისა და ზრდის შემთხვევაში დაცული უნდა იქნას თანასწორობა ინდივიდებს შორის და ა.შ. მდგრადი განვითარების მიზნებისკენ გადადგმულ ნაბიჯებს შეუძლიათ შეამცირონ ქვეყნების ეკონომიკური მოწყვლადობა და გაზარდონ მათი ეკონომიკური უსაფრთხოება. მაგალითად, მდგრადი ენერჯის განვითარება პირდაპირ იწვევს ქვეყნის ენერგო დამოკიდებულების შემცირებას, რაც თავისთავად გამოიწვევს იმპორტის კონცენტრაციის შემცირებას, ეს კი სხვადასხვა მიმართულებით წარმოების განვითარების შესაძლებლობებს ზრდის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სიღარიბისა და შიმშილის შემცირება, პირველადი მოხმარების პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის ზრდა და ა.შ.

როდესაც განვიხილავთ ეკონომიკურ უსაფრთხოებას და ეკონომიკური მოწყვლადობის შემცირებას, აუცილებელია, რომ ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელმა მიზნად დაისახოს **ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარება**. მდგრადობა თავის თავში მოიცავს მრავალმხრივ, კომპლექსურ და სტაბილურ განვითარებას. მდგრადობის საკითხთან დაკავშირებით შემოთავაზებულია ორი ძირითადი მიდგომა, **სუსტი მდგრადობა და ძლიერი მდგრადობა**. (Martinet V.2012)

სუსტი მდგრადობის მიდგომა შეესაბამება გარემოსდაცვითი ეკონომიკის ტრადიციას. ის მიზნად ისახავს შემდგომში განავითაროს ოპტიმალური და მასთან დაკავშირებული შეფასების ჩვეულებრივი კონცეფციები და სხვა ცნებები, როგორცაა შემოსავალი ან ინვესტიცია, მაგრამ მდგრადობის საკითხის კონტექსტში. როგორც წესი, წესრიგის ეკონომიკური პოლიტიკა ამ შემთხვევაში არის ბუნებრივი რესურსებით დაჯილდოებული ეკონომიკის დინამიური ევოლუცია რა დროსაც მთავარი პრობლემაა მდგრადი განვითარების გზის სწორად განსაზღვრა.

ოპტიმალური ზრდის თეორიაში გამოყენებული დროთაშორისი არჩევანის მთავარი ეკონომიკური კრიტერიუმი არის დისკონტირება. თუმცა, ეს კრიტერიუმი კრიტიკულია მდგრადობის შესახებ დებატების კონტექსტში, რადგან დისკონტირება იწვევს მომავალი თაობების სარგებლიანობის უგულვებელყოფას. ამ კრიტერიუმს ასევე აწმყოს დიქტატურას ეძახიან (Chichilnisky G, 1996, 219-248). აქედან გამომდინარე, შემოთავაზებულია ალტერნატიული კრიტერიუმები ოპტიმალური ცნების განსაზღვრისათვის მდგრადობის კონტექსტში, ძირითადად თაობათა შორის თანასწორობის გასათვალისწინებლად (Heal G. 1998). როგორც არ უნდა იყოს არჩეული კრიტერიუმი, ის განსაზღვრავს ოპტიმალურ ეკონომიკურ ტრაექტორიას და, ამრიგად, ენდოგენურად ახასიათებს იმას, რაც შენარჩუნებულია მომავალი თაობებისთვის. ეს შეიძლება იყოს აბსტრაქტული ტერმინებით განსაზღვრული მთლიანი რაოდენობა, ასეთი „მთლიანი პროდუქტიული სიმძლავრე“. კრიტერიუმი ასევე განსაზღვრავს ღირებულების კონცეფციას (Cairns R. 2008, 417-424), და ოპტიმალური გადაწყვეტა მხარდაჭერილია ფასებით, რომლებიც შეიძლება განსხვავდებოდეს ეკონომიკის რეალური ფასებისგან, განსაკუთრებით ბუნებრივი აქტივებისთვის მდგრადი ფასები მოიცავს, მაგალითად, ბუნებრივი აქტივების კეთილმოწყობის ღირებულებებს და არა მხოლოდ მათ პროდუქტიულობას, როგორც პროდუქტს. სუსტი მდგრადობის მიდგომა შემდეგ პრაქტიკაში განხორციელდება ეკონომიკის ფაქტობრივი ეკონომიკური ფასების მოდიფიკაციის გზით წახალისებით (ანუ საჯარო პოლიტიკა, როგორცაა გადასახადები და სუბსიდიები), რათა შედეგად მიღებული ფასები გაუტოლდეს მდგრად ფასებს. ეს მიდგომა ასევე, შესაძლებელს ხდის ეროვნული ანგარიშების „გამწვანებას“ ბუნებრივი რესურსების ამოწურვისა და გარემოს დეგრადაციის აღრიცხვით (Dasgupta P, 2009, 3-12).

ძლიერი მდგრადობა დაფუძნებულია უფრო რაოდენობრივ მიდგომაზე (Neumayer 2010). იგი მოიცავს კრიტიკული ბუნებრივი აქტივების განსაზღვრას, რომლებიც უნდა იყოს შენახული მომავალი თაობებისთვის (Ekins და სხვები 2003, 165-185). ეს უფრო კონკრეტული მიდგომაა, რადგან ის, რაც უნდა იყოს შენახული, განისაზღვრება ფიზიკური თვალსაზრისით. გარეგნულად, ეს შეიძლება ბევრად უფრო პრაქტიკული მიდგომა ჩანდეს, ვიდრე ღირებულების აბსტრაქტული ცნებების გამოყენება. თუმცა ეს მიდგომა აწყდება რაოდენობების არჩევანის ნორმატიულ



პრობლემას და არ გააჩნია ისეთი პირდაპირი განხორციელების ინსტრუმენტები, როგორცაა ოპტიმალური ფასები.

მდგრადობის საკითხის განხილვისას სამი საკითხია მნიშვნელოვანი (Heal 1998):

- ბუნებრივი რესურსების დინამიკით გამოწვეული შეზღუდვების გათვალისწინება;
- აღიარებულ იქნას, რომ ბუნებრივ რესურსებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ეკონომიკურ კეთილდღეობას;
- თაობათაშორის ბუნებრივი რესურსების გადანაწილება გრძელვადიანი შედეგების გათვალისწინებით უნდა იყოს გაანალიზებული.

კამათი ადამიანის მიერ შექმნილ და ბუნებრივ კაპიტალს შორის ჩანაცვლებადობის საზღვრებთან დაკავშირებით არის სუსტი მდგრადობის პარადიგმასა და ძლიერი მდგრადობის პარადიგმას შორის განმასხვავებელი მთავარი ელემენტი. ეს განსხვავება იწვევს დებატს მათ შორის, ვინც ემხრობა კაპიტალის მთლიანი მარაგების შენარჩუნებას და მათ, ვინც ემხრობა კაპიტალის მარაგების თითოეული კატეგორიის, განსაკუთრებით ბუნებრივი კაპიტალის შენარჩუნებას. ეკონომიკის შესანარჩუნებლად, სუსტი მდგრადობის მომხრეები მხარს უჭერენ მთლიანი კაპიტალის მარაგების შენარჩუნებას, რათა მოხდეს ეკონომიკის გლობალური პროდუქტიული შესაძლებლობების შენარჩუნება (Solow 1986, 141-149). ბუნებრივი კაპიტალის მარაგი შეიძლება ამოიწუროს და გარემოსდაცვითი აქტივები ზედმეტად იქნას გამოყენებული, თუ ეს ამოწურვა კომპენსირდება რეპროდუქციულ კაპიტალში ინვესტიციით ან ცოდნით, რომელიც შეცვლის დეგრადირებულ სერვისებს. „კაპიტალის ბაზის“ რეალურ შინაარსს მნიშვნელობა არ აქვს. ამის საპირისპიროდ, ძლიერი მდგრადობის მომხრეები ითხოვენ ბუნებრივი რესურსების მარაგის შენარჩუნებას. უფრო ზუსტად, სანამ ზოგიერთი კაპიტალის მარაგი შემავსებელია და არა შემცველი, ისინი ერთობლივად უნდა შენარჩუნდეს. შეგვიძლია განვიხილოთ სათევზაო ნაგების მაგალითი (Daly H 1974, 15-21), რომლებიც გამოიყენება თევზჭერისთვის და ბაზარზე თევზის მარაგის შემავსებლად. თევზაობის ძალისხმევის გაზრდამ შესაძლოა შესაძლებელი გახადოს თევზჭერის მაღალ დონეზე შენარჩუნება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, როდესაც მარაგის ზომა

მცირდება ბაზარზე. თუმცა ნავების უსასრულო რაოდენობა არ გაზრდის თევზჭერის მოცულობას და პირიქით, შეიძლება კოლაფსიც გამოიწვიოს, როდესაც თევზის რესურსი ამოიწურება, „თევზჭერა ლიმიტირებულია არა სათევზაო ნავების არასაკმარისი რაოდენობის, არამედ ზღვაში თევზის შენარჩუნების გამო“. თუ ბუნებრივი და ადამიანის მიერ შექმნილი კაპიტალი შემცვლელებია, არცერთი მათგანი არ შეიძლება იყოს წარმოების შემზღვეველი ფაქტორი. მაგრამ თუ ისინი ერთმანეთის შემავსებლებია, მაშინ რომლის მიწოდებაც ნაკლები რაოდენობით ხდება ის არის წარმოების შემზღვეველი ფაქტორი.

სუსტი მდგრადობის მომხრეები ემხრობიან პრობლემის გადაჭრის 2 გზას. პირველი ეს არის ტექნოლოგიური პროგრესი, რაც ამოწურვადი რესურსების გამოყენებას უფრო ეფექტურს ხდის და მეორე - განახლებადი ალტერნატიული რესურსების არსებობა. ოპტიმისტური თვალსაზრისით, სუსტი მდგრადობის მომხრეები თვლიან, რომ მწირი რესურსები საბოლოოდ შეიცვლება სხვა რესურსებით და ამის მანიშნებელი იქნება ფასები. კერძოდ, ადამიანის მიერ შექმნილი კაპიტალის დაგროვება და ტექნოლოგიური პროგრესი გვთავაზობს ბუნებრივი რესურსების გამოყენების ალტერნატივებს და გარემოსდაცვით საქონელზე დამოკიდებულებას. ამის საპირისპიროდ, ძლიერი მდგრადობის მომხრეები ამტკიცებენ, რომ ეს ეკონომიკური მექანიზმები არ არის საკმარისი გარემოს შეუქცევადი დეგრადაციის თავიდან ასაცილებლად. პირველ რიგში, კაპიტალის დაგროვება დაკავშირებულია მოხმარების ზრდასა და გარემოს დაბინძურებასთან. მაშინაც კი, თუ მდიდარი ქვეყნები უფრო მგრძნობიარენი არიან ეკოლოგიური პრობლემების მიმართ, ზრდა მაინც უკავშირდება გარემოს მზარდ დეგრადაციას. განვითარებულ ქვეყნებშიც კი, მოხმარების სქემა არ შეცვლილა იმდენად, რომ მოახდინოს შედეგების მიხედვით კომპენსირება. მეორე მხრივ, რესურსებისა და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებამ შეიძლება გამოიწვიოს რესურსებისა და ენერჯის მოხმარების საერთო ზრდა, თუ თითოეული ერთეულის წარმოებაში მიღებული მოგება კომპენსირდება მოხმარების ზრდით. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ ტექნოლოგიურმა პროგრესმა გამოიწვიოს გარემოს დეგრადაცია. რა თქმა უნდა, ორივე მტკიცებას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და იმის თქმა, რომ ერთია მართალი ან მეორე რთულია, აქედან გამომდინარე, ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლის მიერ

პოლიტიკის გატარების პროცესში არსებული მდგომარეობა ადეკვატურად და რაციონალურად უნდა შეფასდეს.

გარემოსდაცვით ეკონომიკაში მთავარი განსხვავება მდგრადობასა და ტრადიციულ საკითხებს შორის განპირობებულია თაობათა თანასწორობის არსით. განვითარების შესანარჩუნებლად, იმის დაშვებით, რომ მომავალმა თაობებმაც უნდა შეძლონ თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილება, ახლანდელმა თაობებმა უნდა შეინარჩუნონ კეთლდღეობის უზრუნველყოფის უნარი და ამასთანავე დააგროვონ საჭირო კაპიტალის მარაგი ბუნებრივი რესურსების სახით.

მდგრადობა გულისხმობს რესურსების შენარჩუნებას მომავალი თაობისთვის. ძლიერი მდგრადობის მიდგომა ეფუძნება კრიტიკული რესურსების მარაგების განსაზღვრას, რომლებიც უნდა იყოს შენარჩუნებული, ხოლო სუსტი მდგრადობის მიდგომა ემყარება იმ აზრს, რომ მდგრადობა მოითხოვს მოსახლეობის ერთ სულზე სარგებლობის ან მოხმარების შეუმცირებელ გამოყენებას თანმიმდევრული თაობებისთვისან ეკონომიკის პროდუქტიული შესაძლებლობების შენარჩუნების შესახებ დროთა განმავლობაში. ორივე ამ მიდგომაში აპრიორად არის განსაზღვრული ის, რაც უნდა იყოს დაცული. ეკონომიკის მდგრადობა ხასიათდება მდგრადობის აპრიორული განსაზღვრებით. მაგალითად, განვითარების მოცემული გზა შეიძლება ჩაითვალოს არამდგრადად ძლიერი მდგრადობის თვალსაზრისით, თუ იგი არ იცავს კონკრეტულ ბუნებრივ რესურსს, ან სუსტი მდგრადობის თვალსაზრისით არამდგრადია, თუ იგი აჩვენებს სარგებლობის დაქვეითებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. თუმცა, განვითარების ამ გზაზე შეიძლება შენარჩუნდეს ზოგიერთი სხვა რაოდენობა, განსხვავებული იმისგან, რაც აპრიორია დაწესებული, როგორც მდგრადობის კონცეფცია. სხვა მიდგომა შეიძლება იყოს იმის განსაზღვრა, რაც ენდოგენურად არის დაცული ეკონომიკის წარმომადგენლობით მოდელში. ასეთი მიდგომა ასევე იწყებოდა იმ იდეიდან, რომ თუ მდგრადობა რაღაცას ნიშნავს, ის მოითხოვს „რაღაცის შენარჩუნებას გრძელვადიან პერსპექტივაში“, მაგრამ ამ ნივთის აპრიორი დახასიათების გარეშე.



## თავი II ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის საზღვარგარეთული გამოცდილების ანალიზი და მისი გათვალისწინება საქართველოს რეალობაში

### 2.1 ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის თავისებურებები გერმანიაში;

ომის შედეგად მნიშვნელოვნად დაზარალებულმა ქვეყანამ, გერმანიამ მოახერხა ეკონომიკის აღორძინება და ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ეკონომიკის ფორმირება, რასაც გერმანიის „ეკონომიკური სასწაულიც“ კი ეწოდა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეკონომიკის ფუნქციონირებასა და განვითარებას თან არ სდევს არაერთი გამოწვევა. გარდა იმისა, რომ ომის პერიოდში დაიღუპა მილიონობით ადამიანი, რაც, თავისთავად, ადამიანური კაპიტალის შემცირებას გულისმობს, ამასთანავე, განადგურდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა, გერმანიის ინდუსტრიული შესაძლებლობები თითქმის აღარ არსებობდა და, ფაქტობრივად, საჭირო გახდა ქვეყნის თავიდან აშენება.

მიუხედავად ამისა, მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ დრამატიზებული და გაზვიადებული იყო ომის შემდგომი გერმანიის ინდუსტრიული შესაძლებლობების არ არსებობა. გერმანულ საზოგადოებაში „სასწაულებრივი აღდგენის“ ამბის გავრცელებით განსაკუთრებით ინდუსტრიალისტები იყვნენ დაინტერესებულნი. მაგალითად, Peter Alt და Max Schneider-ის ნაშრომში „დასავლეთ გერმანიის ეკონომიკური სასწაული“ ვკითხულობთ, რომ არ მომხდარა სამეწარმეო აღჭურვილობის ისეთი დანაკარგი, რომ გერმანულ კაპიტალისტებს ხელი შეშლოდათ წარმოების თავიდან დაწყებაში, მაგრამ მაინც იყო გამოძახილები, რომ ომის შემდგომ გერმანულ კაპიტალისტებს, რომლებიც იქამდე ნაციზმს უწყობდნენ ხელს, არ მიეცემოდათ შესაძლებლობა აღედგინათ თავიანთი ძლიერი იმპერია. თუმცა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სოციალისტური ხედვების დაპირისპირებისას დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიასთან, ამერიკამ ჩათვალა, რომ გერმანელი კაპიტალისტები, რომლებიც მკაცრი და შეიძლება საფრთხის შემცველი მეტოქეებიც იყვნენ, უფრო მისაღები იყო განვითარებისთვის, ამიტომ ამერიკის შეერთებული

შტატების პოლიტიკა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისადმი დისკრიმინაციულიდან - შეღავათიანი და წამხალისებელი პოლიტიკით ჩანაცვლდა (Alt P., Schneider M 1962, 46-57).

საერთო ჯამში, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის გერმანიის ეკონომიკური გაძლიერების მნიშვნელობა 4 ფაქტორზე იყო დაფუძნებული (Kindleberger C. P 2009):

- 1) ევროპაში მშვიდობის აღდგენისთვის საჭირო იყო გერმანიის დემოკრატიული განვითარება;
- 2) იარაღი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ;
- 3) ეს იყო ამერიკის წვლილი დასავლეთ ევროპის აღდგენასა და ატლანტიკური თანამეგობრობის პოლიტიკურ სტაბილურობაში;
- 4) შემცირდებოდა ტვირთი ამერიკელი გადასახადის გადამხდელებზე.

როგორც ვხედავთ, გერმანიისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების განვითარებას ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ქონდა როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური სარგებელი. ევროპის აღდგენით ამერიკა მიიღებდა სტაბილურ გარემოს ევროპაში, შემცირებულ ფინანსურ ხარჯებს და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კიდევ ერთ იარაღს.

გერმანიის ეკონომიკის გამოჯანმრთელება მართლაც ატარებდა სასწაულის ხასიათს. ფოლადის წარმოება ერთ წელიწადში გაორმაგდა; ნახშირის გამომუშავება იმავე პერიოდში 50 პროცენტით გაიზარდა; მთლიანობაში სამრეწველო წარმოება გაიზარდა 1936 წლის საშუალო მაჩვენებლის 50 პროცენტიდან 1948 წლის ივნისში, 80 პროცენტამდე 1949 წლის თებერვალში. ყველაზე შთამბეჭდავად გაუმჯობესდა მთლიანი ექსპორტი, რომელიც 1946 წელს არსებული \$160 მილიონიდან 1948 წელს გაიზარდა დაახლოებით \$750 მილიონამდე (Kindleberger C. P 2009).

1950 წელს გერმანიის ინდუსტრიული წარმოება იყო 11 პროცენტით მეტი, იგივე სფეროს 1936 წელთან შედარებით. 1959 წელს კი 1950 წელთან შედარებით 125 პროცენტით მეტი. არც ამერიკის შეერთებულ შტატებს და არც სხვა ევროპულ კაპიტალისტურ ქვეყნებს არ ქონიათ მსგავსი ზრდა, მაგალითად იგივე პერიოდში ბრიტანეთს 30 პროცენტისანი, საფრანგეთს 79 პროცენტისანი ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებს 41 პროცენტისანი ზრდა ქონდათ (Alt P., Schneider M 1962, 46-

57). გერმანიამ შეძლო 1952 წლიდან დადებითი სავაჭრო ბალანსი დაემყარებინა, რაც ექსპორტის მნიშვნელოვანმა ზრდამ განაპირობა.

რაზე იყო დაფუძნებული გერმანიის ეკონომიკის ასეთი სწრაფი გამოჯანმრთელება? ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია **ადამიანური კაპიტალი**. გერმანიას ყავდა გამოცდილი და უნარიანი ადამიანები, რომლებსაც, როგორც კი შესაძლებლობა მიეცათ დაუბრუნდნენ სამუშაო გარემოს და დროის კარგვის გარეშე დაიწყეს აღმშენებლობა. გარდა ამისა, რეპატრაციის შედეგად გერმანიაში თითქმის 18 პროცენტის მოსახლეობის ნამატი მიიღეს, რომლებიც ემებდნენ სამსახურებს და მზად იყვნენ დაბალ ანაზღაურებასა და დაბალი კვალიფიკაციის საქმეზე ემუშავათ. აქედან გამომდინარე, გერმანიამ მიიღო როგორც კვალიფიციური, ასევე, დამხმარე სამუშაო ძალა, რომელიც მზად იყო მაქსიმალური მოტივაციით, სწრაფად და თვდაუზოგავად ემუშავათ, რაც, რა თქმა უნდა, გამოიწვევდა როგორც მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას. ამის გამო, გერმანელ კაპიტალისტებს საშუალება მიეცათ შეეარჩუნებინათ დაბალი სახელფასო პოლიტიკა, შესაბამისად მოგება დღითიდღე იზრდებოდა და ხდებოდა მიღებული შემოსავლი კვლავ წარმოებაში ჩაბრუნება, რაც იწვევდა წარმოების კიდევ უფრო განვითარებას.

მეორე ფაქტორი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა გერმანიის წარმოების განვითარებისთვის არის მძიმე მრეწველობის, ქიმიკატების და დანადგარების რესურსი ქვეყანაში. მაგალითად, როდესაც 1950 წლის შემდეგ ქვეყნებმა დაიწყეს ხელახალი შეიარაღება, გერმანია ამას არ ჩქარობა. თავდაცვის ტვირთი მაქსიმალურად შეამცირა, რის გამოც ადგილობრივ მძიმე მრეწველობას საშუალება მიეცა აეყვავებინა რკინისა და ლითონის ინდუსტრია, მანქანების, ავტომობილებისა და ელექტრო ინდუსტრიები. ზემოაღნიშნული წარმოება სხვა ქვეყნებში დროში იწელებოდა, რამაც გერმანიას საშუალება მისცა დაბრუნებულიყო საერთაშორისო ბაზრებზე. ხოლო მას შემდეგ, რაც წარმოება სხვა ქვეყნებშიც განვითარდა, გერმანელი მონოპოლისტები დაინტერესდნენ იარაღის წარმოებით.

გერმანიის ეკონომიკის გაჯანსაღებაში წვლილი მიუძღვის „მარშალის გეგმასაც“, რომლის მიხედვითაც ხდებოდა გერმანული ეკონომიკის გაჯანსაღება. იმ

დროისთვის გერმანიისთვის გამოიყო 2 მილიარდი ამერიკული დოლარი, რაც დღევანდელი ღირებულებით დაახლოებით 24 მილიარდ ამერიკულ დოლარს უტოლდება. მარშალის გეგმის მიხედვით განხორციელებულმა ეკონომიკურმა და ტექნიკურმა დახმარებამ ხელი შეუწყო გერმანიის სწრაფ აღდგენას.

დღესდღეობითაც გერმანიის ღია ეკონომიკაა ძლიერია ინდუსტრიული ბაზით. მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით მესამედს აწარმოებს ექსპორტისთვის. ეს არის ეკონომიკა, რომელშიც სოციალური დაცვა და სახელმწიფო დომინანტურ როლს თამაშობს. მისი გახსნილობის გამო, გერმანიაზე გავლენას ახდენს როგორც მსოფლიო პროდუქტის ბაზრებზე არსებული ინტენსიური კონკურენცია, ასევე საერთაშორისო მოძრავი კაპიტალისა და ტექნოლოგიების ადგილებს შორის კონკურენცია. მაშასადამე, გერმანიაში ეკონომიკური გადაწყვეტილებები ექვემდებარება ქვეყნის აუცილებლობას იყოს კონკურენტუნარიანი მსოფლიო ეკონომიკაში. ეს იყო ფუნდამენტური ეკონომიკური კანონი გერმანიისთვის მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ.

მიუხედავად ღიაობისა გერმანიის ეკონომიკაში სხვადასხვა მიმართულებით მაღალია პროტექციონიზმი. განსაკუთრებით პიროვნების დაცვაში - მაგალითად, უმუშევრობის სოციალური უზრუნველყოფის, ჯანდაცვის, საექთნო მოვლის, ხანდაზმულობის პენსიებისა და სოციალური კეთილდღეობის მეშვეობით. მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით მესამედი გამოიყოფა „სოციალურ ბიუჯეტში“. დასაქმებულები ასევე დაცულნი არიან როგორც სამუშაოზე, ასევე ხელფასის შემოსავლებთან მიმართებაში, როგორც ეს მოლაპარაკებებს აწარმოებს სოციალური პარტნიორების, პროფკავშირებისა და დამსაქმებელთა ასოციაციების მიერ. გერმანიის შრომის ბაზარი მკაცრად რეგულირდება. საკანონმდებლო დებულებებიდან გამომდინარე სოციალურ პარტნიორებს აქვთ ძლიერი პოზიცია; მათ მინიჭებული აქვთ ნორმების განსაზღვრისა და სახელფასო განაკვეთის დადგენის უფლება. გარდა ამისა, გერმანულ სისტემაში კონკურენციის შედეგებისგან ხალხი დაცულია მმართველობის ინსტიტუციური ფორმებით. ხდება არასაბაზრო ხასიათის გადაწყვეტილებების მიღება. მაგალითად, ფირმების მენეჯმენტში თანამშრომელთა და პროფკავშირების წარმომადგენლების მიერ დირექტორთა სამეთვალყურეო საბჭოებსა და მუშაკთა საბჭოებში კოდეტერმინაციის გზით, კაპიტალის განაწილება



ბანკის მეშვეობით. დაფუძნებული სისტემა შუალედური პროდუქტებით და ადამიანური კაპიტალის ფორმირება, განსაკუთრებით უნივერსიტეტებში, სამთავრობო ადმინისტრაციული დაგეგმვის მიდგომის მეშვეობით. კოდეტერმინაცია ზღუდავს საბაზრო ძალების გავლენას ფირმებში; შუამავლობითი პროდუქტები არის საბაზრო პროდუქტების შემცვლელი კაპიტალის ბაზარზე და ადამიანური კაპიტალის ფორმირება დომინირებს მთავრობაში (Horst, S. 2005).

მთავრობა ძლიერ გავლენას ახდენს გერმანიის ეკონომიკაზე სხვა სფეროებშიც: მშპ-ის ნახევარი (სოციალური უზრუნველყოფის ჩათვლით) გადის მასზე. მმართველობის სისტემის ყველა ამ სფეროში კონსენსუსი ცენტრალურ როლს ასრულებს. მთავრობა თავისთავად არის ორგანიზებული, როგორც ფედერალური სახელმწიფო, საგადასახადო შემოსავლებით განაწილებული ფედერალურ მიწებს შორის (განაწილებული ფედერალიზმი) და ორი პარლამენტის პალატიტ, რომელთაგან ერთი - ბუნდესრატი - წარმოადგენს ფედერალურ სახელმწიფოებს (Länder). კანონთა უმეტესობა მოითხოვს ორივე პალატის თანხმობას, ამიტომ აქაც კონსენსუსია საჭირო. შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღების პროცესი დამოკიდებულია სხვადასხვა ძალების ერთობლივ მიდგომასა და დამოკიდებულებაზე, რაც მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს მეტად ლეგიტიმურს ხდის.

გერმანელ ხალხს სურდა ინდივიდუალური თავისუფლება. ეს ორიენტაცია კვლავ გამოიკვეთა 1989 წლის შემოდგომაზე აღმოსავლეთ გერმანიაში გამართულ დემონსტრაციებზე, როდესაც ხალხმა შეახსენა პოლიტიკოსებს, რომ Wir sind das Volk (ჩვენ ხალხი ვართ). გერმანელების სახელმწიფოსთან ნეგატიური გამოცდილების კიდევ ერთი ასპექტი იყო სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერვენციონიზმი და დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც დომინანტი გახდა ორ ომის ეკონომიკაში და 1930-იანი წლების ომთაშორის წლებში. 1923 წლის ჰიპერინფლაცია და 1936-48 წლების რეპრესირებული ინფლაცია, რომელიც აშკარა გახდა 1948 წლის სავალუტო რეფორმაში, როდესაც რაიხმარკი მთლიანად გაუფასურდა. გარდა ამისა, უკიდურესმა სიღარიბემ, რომელიც გაგრძელდა ომის შემდეგ წლების განმავლობაში, შექმნა გარკვეული სურვილი ახალი გადაწყვეტილებების მოსაძებნად. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია გერმანიის ეკლესიის დამოკიდებულებაც, რომელიც სამართლიან განაწილებას და ინდივიდის დაცვას ანიჭებდა განსაკუთრებით

ყურადღებას (Horst, S. 2005). თავად გერმანული კონსტიტუციაც ავლენს ინდივიდის თავისუფლებისა და სოციალური ელემენტების ურთიერთდამოკიდებულების მნიშვნელობას. კონსტიტუციის ფუძემდებლები ინდივიდიუალურ თავისუფლებას, ადამიანურ ღირსებასა და სოციალური ორგანიზაციის სუბსიდიუალურობას აყენებდნენ წინა პლანზე, რომელსაც, რა თქმა უნდა, უნდა უზრუნველყო ინდივიდის დაცვაც. შესაბამისად, ეკონომიკური წესრიგიც მორგებულია ზემოაღნიშნულზე. ინდივიდს უნდა ჰქონდეს ინსტიტუციური მექანიზმი, რომლითაც შეეძლება თავისი პრეფერენციების გამოხატვა. საბაზრო ეკონომიკაც ჩმოყალიბებულია ადეკვატური ინსტიტუციური ჩარჩოებით. ბაზარი კონკურენტუნარიანია, თუმცა პროდუქტების ბაზარზე და საწარმოო ფაქტორების ბაზარზე არსებული რეგულაციები (განსაკუთრებით შრომის ბაზარზე) ზღუდავს და აფერხებს კონკურენციის როლს. ბაზარმა, როგორც განაწილების მექანიზმმა, უნდა მიაღწიოს სოციალურად მისაღებ შედეგებს.

84 მილიონიანი მოსახლეობით დაახლოებით 3.5 ტრილიონი ევროს მოცულობის მთლიანი შიგა პროდუქტით (Statista.com a 2021) არის ევროპის უდიდესი ეკონომიკა, რომელიც აწარმოებს ევროკავშირის მშპ-ს თითქმის მეოთხედს და ევროზონის მშპ-ს თითქმის მესამედს (The World Bank a). გერმანიის ეკონომიკა მსოფლიოში მე-4 ადგილს იკავებს ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთის და იაპონიის შემდგომ (ResearchFDI).

მსოფლიო ბანკის მონაცემებით გერმანია არის მსოფლიოში მე-3 ადგილზე ექსპორტით (The World Bank b). 2020 წლის მონაცემებით ექსპორტის წილი მშპ-ში არის 43,4 პროცენტი (The World Bank c) ხოლო იმპორტის 38 პროცენტი (Macrotrends a).

ბოლო საუკუნის განმავლობაში, გერმანია მუდმივად ინარჩუნებს დადებით სავაჭრო ბალანსს.

დიაგრამა N 1 გერმანიის სავაჭრო ბალანსი 2000 წლის შემდგომ პერიოდში



წყარო: Macrotrends b

გერმანიას თითქმის ყველა ქვეყანასთან აქვს დადებითი სავაჭრო ბალანსი. მისი მთავარი პარტნიორები არიან: აშშ, ჩინეთი, საფრანგეთი, ნიდერლანდები, პოლონეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი, ავსტრია.

ცხრილი N 1 გერმანიის უმსხვილესი საიმპორტო და საექსპორტო პარტნიორები

ექსპორტი		იმპორტი		
N	ქვეყანა	1000 ევრო	ქვეყანა	1000 ევრო
1	აშშ	122 037 888	ჩინეთი	142 387 815
2	ჩინეთი	103 689 939	ნიდერლანდები	105 489 447
3	საფრანგეთი	102 124 793	აშშ	72 131 031
4	ნიდერლანდები	100 450 794	პოლონეთი	68 835 121
5	პოლონეთი	78 284 742	იტალია	65 372 947

წყარო: www.destatis.de a

*ცხრილი N 2 გერმანიის უმსხვილესი საერთაშორისო სავაჭრო პარტნიორები მთლიანი ბრუნვისა და სავაჭრო ბალანსის მიხედვით*

მთლიანი ბრუნვა		სავაჭრო ბალანსი		
N	ქვეყანა	1000 ევრო	ქვეყანა	1000 ევრო
1	ჩინეთი	246 077 754	აშშ	+49 906 857
2	ნიდერლანდები	205 940 241	საფრანგეთი	+40 075 589
3	აშშ	194 168 919	დიდი ბრიტანეთი	+33 171 140
4	საფრანგეთი	164 173 997	ავსტრია	+24 367 102
5	პოლონეთი	147 119 863	შვეიცარია	+11 731 656

წყარო: [www.destatis.de](http://www.destatis.de) a

მაგალითად, რუსეთი ექსპორტში იკავებს მე-14, იმპორტში მე-12, ხოლო მთლიანი ბრუნვით მე-13 ადგილს. გერმანიამ 2022 წლის აგვისტოში 128,7 მილიარდი ევროს საქონლის ექსპორტი მოახდინა, რაც 23,1%-ით მეტია 2021 წლის აგვისტოსთან შედარებით. უკრაინაში ომისა და რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების შედეგად რუსეთში ექსპორტი 45,8%-ით შემცირდა და 1,2 მილიარდ ევროს შეადგინა. ამის საპირისპიროდ, ექსპორტი შეერთებულ შტატებში, გერმანიის ექსპორტის ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებაზე, გაიზარდა 42,0%-ით და 13,3 მილიარდ ევროს შეადგენა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსპორტირებული ყველაზე მნიშვნელოვანი საქონელი იყო ავტომობილები, მისაბმელი და ნახევრადმისაბმელიანი მანქანები 2.6 მილიარდი ევროს ღირებულებით (+96.1% 2021 წლის აგვისტოში). სხვა მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები ექსპორტის თვალსაზრისით იყო საფრანგეთი (8,9 მილიარდი ევრო; +25,7%) და ნიდერლანდები (8,8 მილიარდი ევრო; +11,2%) ([www.destatis.de](http://www.destatis.de) b).

2021 წელს გერმანიის მთავარი საექსპორტო პროდუქტი იყო ავტომობილები 15.3% და მექანიკური ნაწილები, მანქანები (14.2%) და ქიმიური პროდუქტები (10.0%) ([www.destatis.de](http://www.destatis.de) c).

რა განასხვავებს გერმანიის ეკონომიკას სხვა ეკონომიკებისგან? გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ფუნქციონირებს „სოციალური საბაზრო ეკონომიკა“, რომელსაც თავისი ფესვები აქვს ქვეყნის ისტორიულ გამოცდილებაში.

ბიზნესისა და ინდივიდის ეკონომიკური უსაფრთხოების შესასწავლად, განვიხილოთ გერმანიის ფისკალური პოლიტიკა. საგადასახადო ნაწილში, გავანალიზოთ მოგების გადასახადი. გერმანიის ბიზნესის მოგება ექვემდებარება ორ გადასახადს, კორპორაციულ გადასახადს და სავაჭრო გადასახადს (deloitte):

- მოგების გადასახადი იბეგრება ერთიანი 15 პროცენტის განაკვეთით და შემდეგ ექვემდებარება დამატებით გადასახადს 5.5% (სოლიდარობის დამატებითი გადასახადი). მთლიანი საგადასახადო განაკვეთი გამოდის 15,825%;
- სავაჭრო გადასახადი უკავშირდება გერმანიის ფილიალში/ოპერაციებში მიღებულ შემოსავალს და გადასახადის განაკვეთი დამოკიდებულია მუნიციპალიტეტის დადგენილებაზე, სადაც ხორციელდება კომპანიის ოპერაციები. მუნიციპალური გადასახადის განაკვეთებში გერმანიის სხვადასხვა მუნიციპალიტეტის მიხედვით საკმაოდ დიდი განსხვავებებია. ზოგიერთ მუნიციპალიტეტში 10 პროცენტზე ქვემოთ არის, მაშინ როცა ზოგადად სავაჭრო გადასახადის განაკვეთი ძირითადად 14-დან 17 პროცენტამდე მერყეობს, ან შეიძლება უფრო მაღალიც იყოს.

უკეთ რომ ავხსნთ, სავაჭრო გადასახადი არის გადასახადი მოგებაზე (Gewinn) და არა შემოსავალზე (Umsatz). სავაჭრო გადასახადი არის მოგების 3.5%, გამრავლებული ადგილობრივი გადასახადის ფაქტორზე (Hebesatz). Hebesatz განსხვავებულია ყველა ქალაქში. ბერლინში Hebesatz არის 410%, ამიტომ სავაჭრო გადასახადი არის მოგების 14,35%.

ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში, როდესაც იხდის სავაჭრო გადასახადს, საშემოსავლო გადასახადში დაიზოგება საშემოსავლო გადასახადი (14,35%-13,3%=1,05%) და სავაჭრო გადასახადი გამოდის 1.05%. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოგებიდან 24 500 ევრო არის გადასახადისგან გათავისუფლებული გადასახადი. სავაჭრო გადასახადს არ იხდიან ფრილანსერები, სოფლისმეურნეობისა და სატყეო ბიზნესები, ბიზნესები რომელთა მოგებაც წელიწადში 24 500 ევროზე ნაკლებია (Bouliane N, 2022).

ინდივიდის ეკონომიკურ უსაფრთხოებას გერმანიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რაც გამოხატულია მდიდარი სოციალური უზრუნველყოფის სისტემით. სოციალური უზრუნველყოფის სისტემა შედგება ოთხი ძირითადი ელემენტისგან:

- 1) ასაკობრივი საპენსიო სისტემა;
- 2) საექთნო მომსახურების დაზღვევა;
- 3) ჯანმრთელობის დაზღვევა;
- 4) უმუშევრობის დაზღვევა ორი სახის უმუშევრობის შემწეობით.

სოციალური შემწეობის სისტემის ძირითადი ნაწილი ფინანსდება დასაქმებულებისა და დამსაქმებლების მიერ, დაახლოებით ერთ მეხუთედი კი საგადასახადო შემოსავლებიდან.

შესაბამისად, ეს ყველაფერი აისახება ხელზე ასაღები ხელფასის დათვლისასაც. გერმანიას დაწესებული აქვს პროგრესული საშემოსავლო გადასახადი. მაგალითად, თუ ინდივიდს (რომელიც არ არის დაქორწინებული და არის 22 წელზე მეტი ასაკის) აქვს 1000 ევრო დარიცხული ხელფასი, 9,775%-ის იხდის სამოქალაქო ჯანდაცვის გადასახადს, საპენსიო დაზღვევის 9.3 პროცენტს, უმუშევრობის დაზღვევის 1.2 პროცენტს, ანუ დაახლოებით 186 ევრო გამოდის გადასახადები (19 პროცენტი) და 814 ევრო ხელზე ასაღები თანხა. 2000 ევროს ოდენობის დარიცხული ხელფასის არსებობის შემთხვევაში იგივე პროცენტების ჩამოჭრის შემდეგ, დაემატება საშემოსავლო გადასახადი 9.5 პროცენტის ოდენობით და ხელზე დარჩება 1448 ევრო, ანუ ხელფასის 72 პროცენტი. 5000 ევროს ყოველთვიური დარიცხული ხელფასის არსებობის შემთხვევაში საშემოსავლო გადასახადი 23.5 პროცენტი იქნება და ხელზე დარჩება 61%, ანუ 3070 ევრო. 10 000 ევროს შემთხვევაში, ვინაიდან საშემოსავლო გადასახადი აცდება წლიურ 16956 ევროს, დაემატება დამატებითი სოლიდარობის დაქვითვა 5.5 პროცენტი და საბოლოოდ ხელზე ასაღები ხელფასი რჩება 57%, ანუ 5700 ევრო (უმუშევრობის დაზღვევას დასაპენსიო დაზღვევას, იგივე პროცენტულობით იხდის დამსაქმებელიც) (allaboutberlin).

გერმანიაში ეკლესიებს შეუძლიათ თავიანთი წევრებისგან გადასახადების აღება. ამას **საეკლესიო გადასახადს** (Kirchensteuer) უწოდებენ. გერმანელი გადასახადის გადამხდელთა დაახლოებით ნახევარი იხდის ეკლესიის გადასახადს.

საეკლესიო გადასახადი არის საშემოსავლო გადასახადის 8% ბავარიასა და ბადენ-ვიურტემბერგში და 9% დანარჩენ გერმანიაში.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში გერმანიაში უმუშევრობა კლებადი ტენდენციით ხასიათდება, თუ არ ჩავთლით პანდემიით გამოწვეულ შედეგებს.

*ცხრილი N 3 უმუშევრობა გერმანიაში 2011-2021 წლებში*


წელი	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
უმუშევრობა %	5,82	5,3	5,23	4,98	4,62	4,12	3,75	3,38	3,14	3,81	3,54

წყარო: Macrotrends c

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა **უმუშევრებისთვის აწესებს შეღავათებს**. უმუშევარ პირს შეუძლია მიმართოს სახელმწიფოს და 12 თვით მიიღებს ყოველთვიური შემოსავლის სახით ხელფასის 60%-ს (მათ ვისაც შვილი ყავს - 67%), 50 და უფრო მეტი ასაკის მოქალაქეებზე შეღავათები დაწესებულია 24 თვემდე პერიოდით. ([www.eu-gleichbehandlungsstelle.de](http://www.eu-gleichbehandlungsstelle.de)).

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთ მთავარ ეკონომიკურ საფრთხეს წარმოადგენს **ენერგეტიკულ რესურსების იმპორტზე დამოკიდებულება** და ენერგეტიკული რესურსების იმპორტის კონცენტრაცია. 2020 წლის მონაცემებით, გერმანიის გაზის იმპორტის 55 პროცენტზე მეტი მოდის რუსეთის ფედერაციაზე. შემდეგ მოდის ნორვეგია, ნიდერლანდები და ძალიან მცირე ნაწილით სხვა ევროპული ქვეყნები.

დიაგრამა N 2 ბუნებრივი აირის უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნები გერმანიაში 2020 წ



წყარო: [www.gisreportsonline.com](http://www.gisreportsonline.com)


2021 წელს რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შემდგომ გერმანიის მიერ რუსული გაზის მოხმარება შემცირდა 35 პროცენტამდე, ამის პარალელურად თავად რუსეთმაც შეამცირა ევროპისთვის გაზის მიწოდება.

ერთის მხრივ, გერმანია ვერ ამბობს უარს რუსულ გაზზე, მისი ფასის სიმცირის გამო, მითუმეტეს როდესაც ცენტრალური და დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანა ბევრად მცირე ფასად ყიდულობს რუსეთისგან გაზს, ვიდრე, მაგალითად, ბალტიის ზღვის ქვეყნები. თუმცა, ვინაიდან და რადგანაც, რუსეთის სახელმწიფო გაზის რესურსს იყენებს როგორც ინსტრუმენტს თავისი ინტერესების გასატარებლად და საფრთხის შემცველია მსოფლიოსთვის, ევროკავშირიც და გერმანიაც ცვლის პოლიტიკას რუსული გაზის მოხმარებასთან დაკავშირებით.

ევროკავშირის გეგმა რუსული გაზის ჩანაცვლებას სხვადასხვა მიმართულების სტრატეგიული განვითარებით ფიქრობს და შემდეგნაირად ასახავს:

დიაგრამა N 3 ევროკავშირის მიერ რუსული გაზის ჩანაცვლების გეგმა





წყარო: [www.gisreportsonline.com](http://www.gisreportsonline.com)

ვინაიდან, გაზსადენების გაყვანა დაკავშირებულია მსხვილ ინფრასტრუქტურულ დანახარჯებთან და აღნიშნულ სფეროში დროისა და ფინანსების მკვეთრად გაზრდილ ინვესტიციასთან, ევროკავშირი მიმართავს თხევადი გაზის ტრანსპორტირების მეთოდს, რომელიც შესაძლებელია გადაზიდულ იქნას სახმელეთო ან საზღვაო გზით მილსადენების მოწყობის გარეშე. LNG ტვირთები ხელმისაწვდომია სხვადასხვა მიმწოდებელი ქვეყნებიდან მთელს მსოფლიოში, და LNG გლობალური ბაზარი გადის დინამიურ განვითარებას ახალი მომწოდებლების შემოსვლით, როგორცაა შეერთებული შტატები, რუსეთი და ავსტრალია.

**თხევადი ბუნებრივი აირი (LNG)** არის ბუნებრივი აირი, უპირატესად მეთანი, რომელიც გარდაიქმნება თხევად ფორმად შენახვის ან ტრანსპორტირების გამარტივებისთვის. გათხევადების პროცესი მოიცავს გაზის გაგრილებას

დაახლოებით -162 °C-მდე და გარკვეული მინარევების მოცილებას, როგორცაა მტვერი და ნახშირორჟანგი. როგორც სითხე, LNG იღებს დაახლოებით 600-ჯერ ნაკლებ მოცულობას, ვიდრე გაზი სტანდარტული ატმოსფერული წნევის დროს, რაც ხელს უწყობს მის ტრანსპორტირებას დიდ დისტანციებზე მილსადენების საჭიროების გარეშე, ზოგადად სპეციალურად შემუშავებულ გემებში ან საგზაო ტანკერებში. როდესაც ის მიაღწევს საბოლოო დანიშნულებას, LNG ჩვეულებრივ ხელახლა გაზიფიცირებულია და ნაწილდება გაზის ქსელების მეშვეობით, ისევე როგორც გაზი მილსადენებიდან. LNG ასევე სულ უფრო ხშირად გამოიყენება, როგორც ალტერნატიული საწვავი გემებისა და სატვირთო მანქანებისთვის ([www.energy.ec.europa.eu](http://www.energy.ec.europa.eu)).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ თხევადი გაზი დიდ შესაძლებლობებს იძლევა ბაზრის დივერსიფიცირებისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების განვითარებისთვის.

სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით (მაგალითად - საფრანგეთი, ნდირლანდები, პოლონეთი, ლიტვა) ამჟამად გერმანიაში არ არის LNG იპორტის ტერმინალები, რაც გერმანიას უფრო მოწყვლადს და რუსეთის გაზზე უფრო მეტად დამოკიდებულს ხდის. შესაბამისად რუსეთის უკრაინაში შეჭრიდან მალევე გერმანიამ გადაწყვიტა სასწრაფოდ დაეწყო ნაბიჯების გადადგმა თხევადი გაზის ტერმინალების მოსაწყობად. სახელმწიფომ განაცხადა, რომ გარდა ძირითადი ტერმინალებისა (რომლის მშენებლობასაც მეტი დრო სჭირდება), გერმანია მოაწყობს მცურავ ტერმინალებს (მცურავი შენახვისა და რეგაზიფიკაციის ერთეულები - FSRU), რათა ქვეყანას მაქსიმალურად სწრაფად ქონდეს თხევადი გაზის მიღების შესაძლებლობები (Waldholz R., Wehrmann B., Wettengel J. 2022).

ძალიან საინტერესო საკითხია ისიც, რომ გერმანიის პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა 1975 წლის კანონში, რომელიც საშუალებას აძლევს სახელმწიფოს დროებით აიღოს კონტროლი ენერგეტიკულ კომპანიაზე, რათა უზრუნველყოს მიწოდება ბაზრის უკმარისობის პირობებში. საკანონმდებლო ნაბიჯი უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს მოყვა. ცვლილების თანახმად, თუ გერმანიის ენერგომომარაგებას მოულოდნელად შეექმნა „გარდაუვალი საფრთხე“ - მაგალითად,

ენერგოკომპანია ძალიან აფერხებს ან წყვეტს მიწოდებას - რაც ბაზარზე უკმარისობას და კრიზისს გამოიწვევს, გერმანიის მთავრობას შეუძლია ჩაერთოს და დროებით განახორციელოს კომპანიის მართვა და ბაზრის მიწოდების უზრუნველყოფა. კანონი არ არის მიმართული რომელიმე კონკრეტულ კომპანიაზე. მაგრამ როგორც ექსპერტები ამბობენ, კანონმდებლობის შეცვლას თვისი კონკრეტულიკ მიზეზებიც აქვს და ეს არის შვედტის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა აღმოსავლეთ გერმანიაში, რომელიც ამუშავებს დაახლოებით 12 მილიონ ტონა ნედლ ნავთობს წელიწადში. ქარხანას მართავს რუსული ენერგეტიკული გიგანტი როსნეფტი და მარაგდება დრუჟბას მილსადენით, რომელსაც ასევე ნაწილობრივ რუსეთის მართვაშია (Botsford P. 2022).

გერმანია ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა **განახლებადი ენერჯის** გამოყენების თვალსაზრისით, რაც, ასევე, მოიცავს ალტერნატიული ენერგეტიკული რესურსების მოპოვებას, ეს ყველაფერი კი ენერგეტიკულ უსაფრთხოებას კიდევ უფრო აძლიერებს. გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად განახლებადი ენერჯები გერმანიაში სწრაფად განვითარდა. მათმა წილმა მთლიანი საბოლოო ენერჯის მოხმარებაში 2021 წელს 19,7 პროცენტი შეადგინა. ელექტროენერჯის სექტორი ამ განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალაა. განახლებად ენერჯია უკვე უზრუნველყოფს ელექტროენერჯის მოხმარების 41.1 პროცენტს (2021წ). ქარის ენერჯია არის ენერჯის ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო გერმანიის ელექტროენერჯის სახეებს შორის. განახლებადი ენერჯია გამოიყენება გათბობისა და გაგრილების მიზნებისთვისაც, რომლის წილიც 4,4%-დან (2000 წ) 16,5%-მდე გაიზარდა (2021წ). ენერჯის ძირითადი წყარო ამ სექტორში რჩება ბიომასა (მყარი, თხევადი და აირისებრი), რომელიც უზრუნველყოფს განახლებადი სითბოს დაახლოებით 86 პროცენტს 2021 წლისათვის. მზის თბოსადგურების და სითბოს ტუმბოების მიერ გამომუშავებული სითბო ამჟამად განახლებად ენერჯის დაახლოებით 14 პროცენტს შეადგენს ([www.umweltbundesamt.de](http://www.umweltbundesamt.de)). მიუხედავად ამისა, გერმანია გამორჩეულია მზის ენერჯის არამხოლოდ ელექტროენერჯის, არამედ სითბოს გამომუშავებისთვისაც. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ქემნიცი, სადაც მზის ენერჯის გამოყენებით ქალაქის უბნის გათბობა არის წარმოებული (Steinebach M. 2018).

როგორც ვხედავთ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მრავალმხრივი მიმართულებით მუშაობს ეკონომიკური უსაფრთხოების განვითარებისა და ეკონომიკური მოწყვლადობის შემცირებისთვის. განსაკუთრებით აღსაღნიშნია 2022 წლის მოვლენები, რა დროსაც გერმანია არამხოლოდ ელექტროენერჯის მდგრადობის, არამედ ბუნებრივი აირის მიმართულებით მდგრადი განვითარებით შესაძლებელს ხდის ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების კიდევ უფრო გაძლიერებასა და ეკონომიკური დამოკიდებულების შემცირებას. ქვეყანა ასევე, აქტიურად ავითარებს ინდივიდის ეკონომიკური უსაფრთხოების შესაძლებლობებს, რაც აისახება როგორც საგადასახადო პოლიტიკაში, ასევე რისკებისგან დაცვაში, განათლების ხელმისაწვდომობასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაში.

## 2.2 ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის სპეციფიკა ბალტიის ქვეყნებში

ბალტიის ზღვის ქვეყნები, ლიტვა, ლატვია და ესტონეთი მნიშვნელოვან მაგალითს წარმოადგენენ ევროპული ეკონომიკების ინტეგრაციის შესწავლის პროცესში. 3 ქვეყნის ეკონომიკები ერთმანეთის მსგავსი და ერთმანეთზე მიჯაჭვულია.

ლიტვა, ლატვია და ესტონეთი საბჭოთა კავშირს სხვა ქვეყნებთან შედარებით გვიან 1940 წელს შეუერთდნენ, და კავშირი პირველბმა დატოვეს, რამაც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქვეყნის პოტენციური და მოსახლეობის მზაობა საბაზრო ეკონომიკის წარმატებით ფუნქციონირების ხელშეწყობისთვის კიდევ უფრო რეალური გახადა. თუმცა, 3 ქვეყანას შორის მაინც არსებობდა ისტორიული განსხვავებები, რამაც ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვაზე განსხვავებულად იმოქმედა. ესტონეთსა და ლატვიას ისტორიული კავშირები ქონდა სკანდინავიის ქვეყნებთან, ლიეტუვას კი მეზობელ პოლონეთთან.

მიუხედავად საბჭოთა კავშირის დაშლისა, ბალტიის ზღვის ქვეყნებში დარჩა არა ერთი საბჭოური გადმონაშთი, რომელიც ხელის შემშლელი იყო ქვეყნების ეკონომიკების განვითარებისთვის, მაგალითად: საფინანსო ბაზრების არარსებობა, კერძო საკუთრების უფლების დარღვევა, შრომითი მობილობა და ქვეყნებში ეთნიკურად რუსი მოსახლეობის მზარდი რაოდენობა, ასევე საწარმოო რესურსების მობილობა და ინდუსტრიული საწარმოების გადანაწილება ქვეყნებს შორის. ოთხმოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში ბალტიის ზღვის ქვეყნებში უფრო მაღალი იყო ცხოვრების სტანდარტი ვიდრე კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნებში, თუმცა უფრო დაბალი ვიდრე ცენტრალური ევროპის ქვეყნებში, მათ შორის ჩეხეთში, უნგრეთსა და პოლონეთში. თავად ბალტიის ზღვის ქვეყნებიდან კი ყველაზე მაღალი ცხოვრების სტანდარტი ესტონეთში იყო, შემდეგ კი ლატვიასა და ლიტვაში.

ეკონომიკური პოლიტიკის წარმოების პროცესში, ეკონომიკური რეფორმების გატარება შეუძლებელი იყო მონეტარული, ფისკალური პოლიტიკისა და ინფლაციის მართვის კონტროლის გარეშე. ბალტიის ზღვის ქვეყნების ინფლაციის მაჩვენებლები უფრო დაბალი იყო, ვიდრე ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, მაგრამ

უფრო მაღალი, ვიდრე ცენტრალურ ევროპაში. ქვეყნები ერთის მხრივ ცდილობდნენ უფრო მკაცრი მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გატარებას ინფლაციის შემცირებისთვის, თუმცა, ამასთანავე, მნიშვნელოვანი იყო უმუშევრობის შემცირებასა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებაზე მუშაობაც (Grennes T. 1997).

მიუხედავად იმისა, რომ სამივე ქვეყანა მონეტარული რეფორმაზე განსხვავებულად მუშაობდა, საბოლოოდ თითქმის ერთი და იმავე შედეგამდე მივიდნენ. ესტონეთი იყო პირველი, რომელმაც უარი თქვა რუბლზე და მოხმარებაში შემოიღო ესტონური კრონი (Eesti Kroon). გადაჭარბებული ფულადი ემისიის თავიდან ასაცილებლად, ესტონეთის ბანკს არ შეეძლო კრედიტების გახანგრძლივება/გაცემა არც კერძო მფლობელობაში და არც სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებული საწარმოებისთვის. ბანკის მთავარი ვალდებულება იყო რომ კრონი გაეცვალა გერმანულ მარკაში, ფიქსირებული კურსით. ესტონეთმა გამოიყენა Currency Board მექანიზმი (სავალუტო ფარი/სავალუტო დაფა).

ლიეტუვამ ყველაზე ბოლოს თქვა უარი რუბლზე. იქამდე დროებით იყენებდა ტალონებს, ხოლო შემდეგ კი შემოიღო ლიტვური ლიტა. ლიტვური ლიტა თვეების განმავლობაში არ იყო დაფიქსირებული მანამ, სანამ 1994 წელს ლიტვამაც არ გამოიყენა სავალუტო ფარი და ლიტა დააფიქსირა ამერიკულ დოლართან მიმართებაში. 1 ამერიკული დოლარი უდრიდან 4 ლიტვურ ლიტას. ლიეტუვის პოლიტიკურ პარტიებს შორის მუდმივი დავა მიმდინარეობდა სავალუტო ფარის გამოყენების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით (Grennes T. 1997).

საინტერესოა ლატვიური ლატის ანალიზი. ლატვიაშიც მიმართეს სავალუტო ფარის მექანიზმის გამოყენებას, თუმცა ნაციონალური ვალუტა დააკავშირეს 5 ქვეყნის ვალუტების საშუალო შეწონილ მოცულობას (ესენი იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი და იაპონია).

საბოლოოდ ქვეყნებმა მიაღწიეს ის, რომ 1995 წელს ინფლაცია ლატვიაში იყო 25%, ესტონეთში 29%, ხოლო ლიეტუვაში 35%.

თავად სავალუტო ფარის გამოყენება გულისხმობს, რომ ცენტრალურმა ბანკმა არ უნდა გასცეს სესხი, მთავრობას არ უნდა ქონდეს დეფიციტური სახელმწიფო ბიუჯეტი და საჭიროა მცირედი პრეფიციტი მაინც. სავალუტო ფარის მექანიზმი

გარკვეულწილად აზრს უკარგავს ცენტრალური ბანკის არსებობას. სავალუტო ფარის მექანიზმის შემოღება მაშინ არის მიზანშეწონილი, როდესაც ჰიპერინფლაციასთან გვაქვს საქმე, თუმცა ის არ არის წარმატების გარანტია, ვინაიდან სსვა ქვეყანაში არსებული კრიზისები და ეკონომიკური გამოწვევები გავლენას ახდენს სავალუტო ფარის გამომყენებელი ქვეყნის ეკონომიკაზე (პაპავა ვ. 2020, 299-303).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ბალტიის ზღვის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა უფრო მკაცრი და რადიკალური რეფორმებით გამოირჩეოდა ვიდრე დანარჩენი პოსტ-საბჭოთა ქვეყნების, თუმცა უფრო მსუბუქი, ვიდრე ცენტრალური ევროპის სახელმწიფოების. აღნიშნული შეგვიძლია ამ ქვეყნების დასავლეთსა და აღმოსავლეთსდ შორის მდებარეობითაც ვივარაუდოთ. თვითონ ამ სამ ქვეყანას შორის ყველაზე რეფორმატორი ესტონეთი იყო, ხოლო ყველაზე ნაკლებად - ლიეტუვა.

აღნიშნული რეფორმების პარალელურად, ბალტიის ზღვის ქვეყნების ეკონომიკამ ზრდა ზრდა დაიწყო მანამ, სანამ 1998 წელს რუსეთის კრიზისმა არ შეაფერხა. 1999 წელს ესტონეთის რეალური მთლიანი შიგა პროდუქტი შემცირდა 0.8 პროცენტით, ლიეტუვის კი დაახლოებით 5 პროცენტით, თუმცა ლატვიის მთლიანი შიგა პროდუქტი მცირედით, მაგრამ გაიზარდა. რუსეთის კრიზისი აისახა სამივე ქვეყნის ფისკალურ განვითარებაზე. 1999 წელს ესტონეთს და ლიეტუვას რეკორდულად მაღალი დეფიციტი დაუფიქსირდათ მთლიანი შიგა პროდუქტის 4.8 და 7.1 პროცენტი, ლატვიაში 3.5 პროცენტი, ამიტომ ქვეყნებმა 2000 წლის ბიუჯეტისთვის მკაცრი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება გადაწყვიტეს, რაც ხელს შეუწყობდა დეფიციტის შემცირებას.

ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენდა ექსპორტის კონცენტრაცია და რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულება. 3 ქვეყნის წარმოების მთავარ გასაღების ბაზარს რუსეთი წარმოაგენდა, რადგან დასავლეთის ქვეყნებისთვის წარმოება არ იყო კონკურენტუნარიანი. მაგრამ მეორეს მხრივ, რუსეთის კრიზისმა იძულებული გახადა ბალტიის ზღვის ქვეყნების მწარმოებლები ეზრუნათ დასავლეთის ბაზარზე ექსპორტირებისთვის გაეზარდათ წარმოების კონკურენტუნარიანობა. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებებითა და კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაციით

ბალტიის ზღვის ქვეყნებმა მოახერხეს დასავლეთთან დაახლოება, 2000 წლისთვის უკვე თითოეული ქვეყნიდან ექსპორტის 50 პროცენტზე მეტი მოდიოდა ევროპის ქვეყნებზე, რაც ევროკავშირის ქვეყნებთან გასაოცარ სავაჭრო ინტეგრაციაზე მიგვანიშნებს.

როდესაც ბალტიის ზღვის ქვეყნებმა დაიწყეს ქვეყნების ფისკალური სისტემის მოწყობა, შემოიღეს მარტივი საგადასახადო სქემა. ფიქსირებული გადასახადები, რომლის ადმინისტრირებაც უფრო მარტივი და გამჭვირვალე იყო - 25 პროცენტი ლატვიაში, 26 პროცენტი ესტონეთში, როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისთვის, ხოლო ლიეტუვაში 33 პროცენტი ფიზიკური პირებისთვის და 24 პროცენტი იურიდიული პირებისთვის.

ოთხმოცდაათიან წლებში წარმოიშვა სერიოზული პრობლემები საბანკო სექტორშიც, ვინაიდან არ იყო რეგულაციები ჩამოყალიბებული. შეიქმნა არაერთი მცირე ბანკი, თუმცა ზოგიერთი მათგანი მალევე გაეხვა ფინანსური პრობლემებში და დაიხურა. აქედან გამომდინარე დადგა საჭიროება რომ შექმნილიყო სანდო და ფუნქციონირი საბანკო ზედამხედველობის მექანიზმი.

შემდეგ საკითხი იყო პრივატიზება, რომელშიც ლიდერი ესტონეთი გახდა, რომელმაც სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებული თითქმის ყველა საწარმო გაასხვისა კერძო საკუთრებაში. ლატვიამ და ესტონეთმა პრივატიზება ძირითადად ღია ტენდერებისა და მსხვილ ინვესტორებზე პირდაპირი გაყიდვებით განახორციელეს.

მიუხედავად დაახლოებით მსგავსი განვითარებისა 1997 წელს აღიქმებოდა, რომ ესტონეთი ბევრად უფრო წინ იყო ვიდრე დანარჩენი 2, ამიტომ, როდესაც ევროკავშირის გაფართოების მიზნით მოლაპარაკებები დაიწყო, მოწვევა მხოლოდ ესტონეთმა მიიღო, მაგრამ ამის შემდეგ 1999 წელს, ლატვიისა და ლიეტუვას მიერ გატარებული სწორი რეფორმების შედეგად, ისინიც აღმოჩნდნენ მიწვეულებს შორის და საბოლოოდ 2004 წლის პირველი მაისიდან 3-ვე ბალტიის ზღის ქვეყანა ევროკავშირის წევრად გვევლინება.

ესტონეთის მოწინავეობა მუდმივად თვალშისაცემი იყო განვითარების გზაზე, მაგალითად ევროზონაში პირველად სწორედ ესტონეთი შევიდა (2011 წ), შემდეგ ლატვია (2014 წ) და შემდეგ ლიეტუვა (2015წ) ([www.european-union.europa.eu](http://www.european-union.europa.eu)).



## ესტონეთი

ესტონეთი მნიშვნელოვნად განიხილავს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებს და ამის რეგულირებისთვის იყენებს საშინაო უსაფრთხოების სამსახურს (KAPO), რომლის კომპეტენციის ფარგლებშიც შედის ეკონომიკური უსაფრთხოების მიმართულებით ღონისძიებების განხორციელება.

KAPO-ს საქმიანობის მიზანი ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არის ეკონომიკური ზეწოლის თავიდან აცილება, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ესტონეთის რესპუბლიკის უსაფრთხოებას. ეს ზეწოლა შეიძლება მოიცავდეს დამოკიდებულებას უცხოურ ბაზრებზე, მომწოდებლებზე, ტექნოლოგიებზე, კაპიტალზე ან შრომაზე, ასევე ინფრასტრუქტურის მოწყვლადობას უცხოელი ინვესტორების მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგად. ამ ეტაპისთვის უსაფრთხოების ყველაზე დიდი რისკის ქვეშ მყოფი ეკონომიკური სექტორებად განიხილავენ ენერჯეტიკას, ტრანსპორტს (ტრანზიტის ჩათვლით) და IT სფეროს, ამიტომ სამუშაოს ფოკუსირებაც ამ მიმართულებით ხდება.

საშინაო უსაფრთხოების სამსახურის მონაცემების მიხედვით ეკონომიკური საფრთხეები, რომლებიც შესაძლოა ზიანის მომტანი იყოს ესტონეთის ეკონომიკისადმი ძირითადად უცვლელი რჩება, თუმცა სამსახური ყოველწლიურად გამოცემს მიმოხილვებს, სადაც განიხილება რისკები და ეკონომიკური საფრთხეები. KAPO ასევე განიხილავს სხვა ქვეყნის ეკონომიკების გავლენას და მიიჩნევს, რომ განსაკუთრებით სახიფათოა ჩინეთი და რაც მთავარია რუსეთი. რუსული კაპიტალი უფროდაუფრო დამალული გახდა მესამე ქვეყნის იურიდიული პირებისა და კომპანიების ფართო გამოყენების გამო. ეკონომიკური უსაფრთხოებისა და ფულის გათეთრების საკითხებში მნიშვნელოვანია სუბიექტის რეალური ბენეფიციარის იდენტიფიცირება. ასე რომ, ესტონეთი ეკონომიკურ შედეგებს განიხილავს შინაარსობრივ ჭრილშიც. მხოლოდ რაოდენობრივი განხილვა და სტატისტიკა შესაძლოა აჩვენებდეს ინვესტიციების ზრდას ევროკავშირისა და მეგობარი ქვეყნებისგან, თუმცა რეალურად შესაძლებელია ისეთი ქვეყნების ინვესტიციები

აღმოჩნდეს, რომლებიც არ იზიარებენ ესტონეთის ღირებულებებს, რაც შესაძლოა სერიოზული ეკონომიკური საფრთხეების მომტანი აღმოჩნდეს.

ესტონეთის ერთ-ერთი მთავარი საფრთხე ენერგეტიკული დამოკიდებულებაა. 2019 წლიდან ესტონეთი გახდა ენერგეტიკული რესურსების წმინდა მომხმარებელი, როდესაც იქამდე მწარმოებელიც იყო და მომხმარებელიც. მხოლოდ მომხმარებლობა კი განსაკუთრებით საფრთხეს წარმოადგენს ენერგეტიკული სფეროს უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის.

კიდევ ერთ მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ესტონეთი ეკონომიკური უსაფრთხოების აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევს არის რკინიგზის ინფრასტრუქტურის განვითარება. Real Baltic არის ფართომასშტაბიანი და განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ინფრასტრუქტურული პროექტი, სადაც აუცილებელია პოტენციური რისკების აღმოფხვრა, მათ შორის კორუფცია. ინფრასტრუქტურა აუცილებელია ქვეყანაში სასიცოცხლო მნიშვნელობის სამსახურების ფუნქციონირებისა და მოკავშირეებთან თანამშრომლობისთვის. შედგენილი სარკინიგზო ბალტიის პროექტის სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს ევროკავშირის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ფართო განვითარებას, მათ შორის ჩინეთთან თანამშრომლობასა და ახალი სატრანსპორტო ვარიანტის შექმნას, რომელიც ჩინეთის აბრეშუმის გზის კონტექსტში იქნება განხილული. მოხდება სახმელეთო კავშირის დამყარება ჩრდილოეთ ნორვეგიის პორტიდან სარკინიგზო გზით ფინეთამდე, ტალინი-ჰელსინკის გვირაბი და სარკინიგზო ბალტიის რკინიგზა ცენტრალურ ევროპასთან.

ესტონეთისთვის განსაკუთრებით მიმდინარე პერიოდშია აქტუალური ისეთი ქვეყნებისა და რეჟიმების მიმართ საერთაშორისო სანქციების მონიტორინგი, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მშვიდობასა და განვითარებას. უპირველყოფლისა სანქციები რჩება რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც არ ცვლის დესტაბილიზაციის ქმედებებს. ფართო საერთაშორისო სანქციები დაწესდა უკრაინის მთლიანობის, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად და უკრაინის ანექსირებული ტერიტორიებისა და რუსეთის დესტაბილიზაციაზე რეაგირების მიზნით. სანქციები მოიცავს ეკონომიკურ რესურსებს, ფინანსებს და იარაღს

იმპორტსა და ექსპორტს. KAPO-ს ამოცანაა საერთაშორისო სანქციების დანაშაულებრივი დარღვევის პრევენცია და გამომიება. KAPO თანამშრომლობს სამინისტროებთან და უწყებებთან, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საერთაშორისო სანქციების განხორციელებაზე.

ესტონეთი ეკონომიკური უსაფრთხოების ფარგლებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს უცხოურ ინვესტიციებს. უცხოური ინვესტიციები, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს პროდუქტიულობის გაზრდას და შემოსავლის ზრდის დაჩქარებას. თუმცა, გარდა დადებითი ეფექტისა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უცხოურ ინვესტიციებს შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი მხარეები. ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში დაგეგმილი ან განსახორციელებელი უცხოური ინვესტიციები თავიდან უნდა იქნას აცილებული, თუ ის პირდაპირ ან ირიბად ეხება სანქციების სიაში შემავალ პირებს ან კომპანიებს. ინვესტიციამ ზოგჯერ შეიძლება მოიტანოს ეკონომიკური სარგებელი მოკლევადიან პერსპექტივაში, მაგრამ რეალურად წარმოადგენდეს უსაფრთხოებისთვის საზიანო საქმიანობას. რუსეთი ცდილობს ექვევქვე დააყენოს სანქციების მიზანშეწონილობა და ეფექტურობა. უსაფრთხოების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციების იდენტიფიცირება და ისეთი ინვესტიციების პრევენცია, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ესტონეთის სტრატეგიულ აქტივებს, კრიტიკულ ინფრასტრუქტურას და მიწოდების ჯაჭვს. თავდაცვისა და უსაფრთხოების ტექნოლოგიები და ფინანსური შუამავლობა რჩება მგრძობიარე სფეროდ უსაფრთხოების თვალსაზრისით. KAPO თანამშრომლობს პარტნიორებთან ერთად აკონტროლებს ისეთ ინვესტიციებს, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნებთან, რომლებიც ცდილობენ შეარყიონ ესტონეთის უსაფრთხოება. ესტონეთს სურს საკანონმდებლო დონეზე იყოს განსაზღვრული უცხოური ინვესტიციების შეფასების კრიტერიუმები, რათა ქვეყნის პასუხისმგებლობა და შესაძლებლობები ევროკავშირის მეზობლების მსგავსი იყოს. ეკონომიკური პოლიტიკის წესრიგისა და ჩარჩო პირობების ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად შეამცირებს უთანასწორო კონკურენციასა და უსაფრთხოების რისკებს, რათა ესტონეთი არ გახდეს საშიში უცხოური ინვესტიციების თავშესაფარი.

ამ საუკუნის ესტონეთის ეკონომიკური პრობლემები უკავშირდება 2008 წლის კრიზისს. 2009 წელს ესტონეთს მთლიანი შიგა პროდუქტი დაეცა 14 პროცენტზე

მეტით (Mets T. და სხვები 2018, 89-111) თუმცა მალევე მოახერხა ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება, რაც სხვადასხვა მიზეზით იყო გამოწვეული, მათ შორის: დასაქმების დონის ზრდით გამოწვეულ იქნა შიდა მოხმარების ზრდა, ერთდროულად გაიზარდა ხელფასები და დაეცა ფასები. ფასების შემცირება 2010 წლიდან დაიწყო, 2014-2015 წლებში კი ინფლაცია ნულს ჩამოცდა (macrotrends d) ამავე წლებში ხელფასების მატებამ და მოხმარების სწრაფმა ზრდამ გაზარდა საგადასახადო შემოსავლები, რამაც, თავის მხრივ გააუმჯობესა სახელმწიფო ფინანსები და ხელი შეუწყო სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტამდე აყვანას (Hansson A. 2015).

ეკონომიკური პოლიტიკის წარმოების ფარგლებში მნიშვნელოვანია ესტონეთის ეროვნული ბანკის (Eesti Pank) პასუხისმგებლობების განხილვაც. ვინაიდან ესტონეთი 2011 წლიდან ევროზონის ქვეყანა გახდა ესტონეთის ბანკის პოლიტიკაც შესაბამისად ხორციელდება. პასუხისმგებლობა მოიცავს არამხოლოდ დაბალი და სტაბილური ინფლაციის შენარჩუნებას, არამედ სხვა ევროზონის ქვეყნების ბანკებთან ერთად ერთობლივი მონეტარული პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებას. სტაბილური ფინანსური სისტემა გარდამტეხ როლს ასრულებს ბანკების სრულყოფილ ფუნქციონირებისა და ეკონომიკური ზრდისთვის (Hansson A. 2015).

საბჭოთა კავშირისგან გათავისუფლებულმა ესტონეთმა, გადაწყვიტა, რომ კეთილდღეობისა და განათლებაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებისთვის შეეწყო ხელი, ამისთვის ჯერ კიდევ 1996 წელს დაიწყო პროგრამა „ვეფხვის ნახტომი“ (Tiger Leap), რომელიც ითვალისწინებდა სკოლების კომპიუტერებითა და ინტერნეტით აღჭურვას. 1 წელში სკოლების 97 პროცენტზე მეტს ქონდა კომპიუტერი და წვდომა ინტერნეტზე. გარდა ამისა, ესტონეთმა დაიწყო ინოვაციური სტარტაპების დაფინანსება და ისეთი სფეროების ხელშეწყობა, რომლებიც დაკავშირებული იყო კომპიუტერულ და საკომუნიკაციო საშუალებებთან (Mets T. და სხვები 2018).

2000 წელს დასრულდა პროგრამა და შედეგებიც დადებითად შეფასდა, თუმცა ნათელი იყო, რომ მას თან ახლდა გარკვეული დაბრკოლებები, მაგალითად, ელექტრონულ რესურსებზე წვდომა, ამიტომ გაგრძელდა „ვეფხვის ნახტომი პლუსი“ პროგრამის სახით, რამაც კიდევ უფრო მეტად გაზარდა წვდომა ელექტრონულ

სასწავლო რესურსებზე და კიდევ უფრო მეტად ჩართო პროგრამაში საგანმანათლებლო საზოგადოება, კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით (Laanpere M. 2005).

2002 წლიდან 2006 წლამდე ესტონეთმა განახორციელა „კვლევის, განვითარებისა და ინოვაციის სტრატეგია“ (RD&I), რომელიც უკავშირდებოდა ადამიანური რესურსის განვითარებას, სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებასა და ეკონომიკის გაჯანსაღებას. სტრატეგიის საფუძველზე შედგენილ იქნა წლიური გეგმები, რომლებიც განსაზღვრავდნენ სტრატეგიის მიზნების მისაღწევად ამოცანებს. ამის შემდგომ სტრატეგია გაგრძელდა როგორც RD&I 2007-2013, 2014-2020, ხოლო ახლა მიმდინარეობს 2021-2035.

ესტონეთმა სწავლებით, კვალიფიკაციის ამაღლებით და ინოვაციების ხელშეწყობით მოახდინა ქვეყანაში სამეწარმეო სტიმულირება, ინოვაციური საწარმოების ხელშეწყობა და ამით ეკონომიკის გაძლიერება. (მაგალითად ოთხმა ესტონელმა IT ინჟინერმა შექმნა skype).

ესტონეთის მრავალმხრივი რეფორმებითა და სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შედეგად, ქვეყნის შეფასება სხვადასხვა მაჩვენებლებით მოწინავე პოზიციას ინარჩუნებს ისეთი ინდიკატორებით, როგორებიცაა ([www.investinestonia.com](http://www.investinestonia.com)):

- საგადასახადო კონკურენტუნარიანობის ინდექსი (OECD Tax Competitiveness Index 2021 ) - #1;
- გლობალური კიბერუსაფრთხოების ინდექსი (Global Cybersecurity Index 2020) - #3;
- ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების ინდექსი (Digital Economy and Society Index, European Commission 2021) – #7;
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი (Index of Economic Freedom, The Heritage Foundation 2022) - #7;
- ბიზნესის კეთების ინდექსი (Ease of Doing Business, The World Bank 2020) - #18.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ, თუ როგორ უწყობს ესტონეთ ხელს ბიზნესის ეკონომიკურ უსაფრთხოებას და შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკურ გაძლიერებას.

2000 წლიდან ესტონეთი სამეწარმეო საქმიანობის წახალისებისთვის ცვლის საგადასახადო მოდელს და იყენებს „ფულადი ნაკადების დაბეგვრის მოდელს“, რაც გულისხმობს იმას, რომ გადასახადები შემოსავლის მაგიერ გადაიხდება ხარჯების მიხედვით. ამ შემთხვევაში - რეგულარულად განაწილებული დივიდენდების. მოკლედ რომ ავხსნათ, ესტონური მოდელის მთავარი არსი არის ის, რომ არ იბეგრება მოგება, რომლის რეინვესტირებაც ხდება. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა წყაროები ესტონურ მოდელს 0 პროცენტთან საგადასახადო მოდელსაც უწოდებენ. თუ 2000 წლამდე მოგების გადასახადი იყო 26 პროცენტი, ამ დროისთვის ის შემდეგნაირად გამოითვლება ([www.e-resident.gov.ee](http://www.e-resident.gov.ee)):

- თუ ესტონური კომპანია აქციონერს უხდის დივიდენდს 10 000 ევროს ოდენობით, გადასახადი იქნება 2500 ( $10000 \cdot 20/80$ );
- თუ ესტონური კომპანია აქციონერს უხდის რეგულარულად განაწილებულ დივიდენდს, გადასახადი იქნება 1627,91 ევრო ( $10000 \cdot 14/86$ );
- თუ აქციონერი ფიზიკური პირია, რომელიც იღებს შემცირებული განაკვეთით დაბეგრილ დივიდენდს, დამატებით იხდის პერსონალურ საშემოსავლო გადასახადს 7% (700 ევრო).

ასეთ შემთხვევაში ვხედავთ, რომ ბიუჯეტის შემოსულობები ძალიან არ მცირდება, თუმცა კომპანიას აქვს მეტი მოტივაცია, რომ მოახდინოს რეინვესტირება და გააფართოვოს ბიზნესი, რაც თვის მხრივ კიდევ უფრო მეტი დოვლათის შექმნას შეუწყობს ხელს. აღნიშნული მოდელი საქართველოში 2017, ხოლო ლატვიაში 2018 წლიდან მოქმედებს.

ესტონეთის საგადასახადო სისტემა გამოირჩევა ინდივიდის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის უფრო მაღალი ხარისხითაც.

ამ დროისთვის ესტონეთის მოსახლეობა 1 331 796 ადამიანს შეადგენს. ესტონეთს სტატისტიკის სამსახურის 2021 წლის მონაცემებით უმუშევრობის დონე ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 6.2 პროცენტია. აღსანიშნია, რომ უმუშევრობის დონე უფრო ნაკლები იყო პანდემიის წინა პერიოდში და გაიზარდა პანდემიისას, თუმცა ფაქტია, რომ დადებითი დინამიკა შეინიშნება.

*ცხრილი N 4 უმუშევრობა ესტონეთში 2010-2021 წლებში*

წელი	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
უმუშევრობა%	16.7	12.3	10.0	8.6	7.4	6.2	6.8	5.8	5.4	4.4	6.8	6.2

წყარო: ესტონეთის სტატისტიკის სამსახური

განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი. თუ დასაქმებულს აქვს დარიცხული ხელფასი 1000 ევროს ოდენობით, გადასახადები ასე ნაწილდება:

- დასაქმებულის მიერ უმუშევრობის დაზღვევის შენატანი 1,6% - 16 EUR,
- სავალდებულო საპენსიო შენატანი 2% - 20 EUR,
- გადასახადებისგან გათავისუფლებული შემოსავალი - 500 EUR.
- საშემოსავლო გადასახადი 20% - 92,8 EUR,
- დასაქმებულის ხელზე ასაღები ხელფასი - 871,2 EUR

როგორც ვხედავთ, ტვირთი დასაქმებულზე არის 13 %-ზე ნაკლები.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, კომპანია იხდის დამატებით შემდეგ გადასახადებს:

- სოციალური გადასახადი (გამოითვლება დასაქმებულის დარიცხული ხელფასიდან) 33 % -330 EUR;
- დამსაქმებლის მიერ უმუშევრობის დაზღვევის შენატანი - 8 EUR.

როდესაც დასაქმებულს ხელფასი აქვს 1000 ევრო, კომპანიის მიერ გაწეული ხარჯია 1338 ევრო, საიდანაც სახელმწიფო იღებს დაახლოებით 35 პროცენტს გადასახადების და შენატანების სახით. რაც გულისხმობს იმას, რომ ბალანსირებულად არის გადანაწილებული გადასახადები და შენატანები როგორც დამსაქმებელზე ასევე დასაქმებულზე.

რაც შეეხება გადასახადებიდან გათავისუფლებულ შემოსავალს, ესტონეთი დაბალშემოსავლიან მოქალაქეებზე იყენებს საშეღავათო პოლიტიკას, რომელიც შემდეგნაირია (ესტონეთის საგადასახადო და საბაჟო საბჭო):

- თუ დასაქმებულის შემოსავალი არ აღემატება წელიწადში 14 400 ევროს (თვეში 1200) გადასახადებისგან გათავისუფლებულია 6000 ევრო (თვეში 500);

- თუ დასაქმებულის შემოსავალი მერყეობს წელიწადში 14 400 – 25 200 ევროს შორის, საშეღვათო ლიტიმი კლებულობს შემდეგნაირად: 6000 – 6000/10800\*(შემოსავალს - 14 400). ანუ, თუ წლიური შემოსავალია 20 000 ევრო, საშეღვათო მოცულობა, რომელზეც არ დაირიცხება გადასახადი იქნება 2888.89;
- თუ წლიური შემოსავალი 25 200 ევროზე მეტია, მაშინ შეღვათი არ ვრცელდება.

**სოციალური გადასახადი:** ესტონეთში მომუშავე დამსაქმებლებმა (მათ შორის, არარეზიდენტებმა, რომლებსაც აქვთ მუდმივი წარმომადგენლობა ან ყავთ დასაქმებულები ესტონეთში) უნდა გადაიხადონ სოციალური გადასახადი ცალკეულ გადასახადებზე ფიზიკურ პირებზე 33%-იანი განაკვეთით (საიდანაც 20% გამოიყენება სახელმწიფო საპენსიო დაზღვევის დასაფინანსებლად და 13% საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაზღვევის დასაფინანსებლად). დამსაქმებლების მიერ გადახდილი სოციალური გადასახადი არ არის შეზღუდული და ძირითადად ეხება ხელფასებს, დირექტორთა ჰონორარს, გადახდილ მომსახურების საფასურს და ფიზიკურ პირებს მინიჭებულ შეღვათებს.

ინდივიდუალური მეწარმეობის სახით რეგისტრირებული ფიზიკური პირების მიერ მიღებული წმინდა შემოსავალიც ექვემდებარება 33%-იან სოციალურ გადასახადს. ინდივიდუალური მეწარმეები ვალდებული არიან განახორციელონ სოციალური გადასახადის კვარტალური წინასწარი გადასახადები ფიქსირებული ოდენობით, რომლებიც ჩაირიცხება საბოლოო წლიური სოციალური გადასახადის ვალდებულებაში.

### **უმუშევრობის დაზღვევის შენატანები**

დამსაქმებლებიც და დასაქმებულებიც ვალდებული არიან გადაიხადონ უმუშევრობის დაზღვევის შენატანები. დამსაქმებლებმა უნდა გადაიხადონ 0,8%, ხოლო დასაქმებულებმა უნდა გადაიხადონ 1,6% (დამსაქმებლების მიერ ხელფასის დაკავების გზით). შენატანები ძირითადად ეხება ფიზიკურ პირებზე გადახდილ ხელფასს და მომსახურების საფასურს.



რაც შეეხება უმუშევრობისას სარგებლის მიღების ხანგრძლივობას, ის შემდეგნაირად დაითვლება (Ec.europa.eu): თუ მოქალაქეს აქვს 5 წელზე ნაკლები დაზღვევა, ფონდი გამოუყოფს სარგებელს 180 კალენდარული დღის ოდენობით; თუ აქვს 5-10 წელი დაზღვევა, ფონდისგან მიიღებს სარგებელს 270 კალენდარული დღის განმავლობაში თუ აქვს 10 წელზე მეტი დაზღვევა, ფონდისგან მიიღებს 360 კალენდარული დღის განმავლობაში სარგებელს.


სარგებლის მოცულობა კი შეადგენს კალენდარული დღის ხელფასის 60% 1-დან 100-ე კალენდარულ დღემდე, ხოლო კალენდარული დღის ხელფასის 40% 101-დან 360-ე კალენდარულ დღემდე.

### **სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემა**

ესტონეთმა დაგროვებითი საპენსიო სქემა 2002 წელს შემოიღო. ესტონეთში 1982 წლის 31 დეკემბრის შემდეგ დაბადებული რეზიდენტი დასაქმებულები ვალდებულნი არიან შეუერთდნენ სავალდებულო დაგროვებით საპენსიო სქემას და განახორციელონ 2%-იანი შენატანები ყოველთვიურად (ძირითადად დამსაქმებლები აგროვებენ ხელფასის დაკავების გზით). შენატანები ძირითადად ეხება ხელფასებს, დირექტორთა ჰონორარს და მომსახურების საფასურს. 1983 წლამდე დაბადებული რეზიდენტი თანამშრომლებისთვის საპენსიო სქემაში გაწევრიანება ნებაყოფლობითია; თუმცა, გაწევრიანების შემდეგ ის ხდება სავალდებულო და თანამშრომლებს აღარ შეუძლიათ დატოვონ საპენსიო სქემა. დასაქმებულის მიერ შესრულებული 2%-იანი შენატანის გარდა, დასაქმებულის საპენსიო ანგარიშზე გადაირიცხება დამსაქმებლის მიერ გადასახდელი სოციალური უზრუნველყოფის შენატანის 4% (33%-ანი გადასახადიდან). 2014 წლიდან 2017 წლამდე თანამშრომლებს ჰქონდათ შესაძლებლობა გაეზარდათ საპენსიო შენატანები 2%-დან 3%-მდე შესაბამისი განაცხადის წარდგენით, ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს შენატანებიც გაეზარდათ 4-ის მაგიერ 6%-მდე (Taxsummaries.pwc.com).


**2021 წელს ესტონეთმა 18.2 მილიარდი ევროს ექსპორტი და 20 მილიარდი ევროს იმპორტი განახორციელა, ამასთანავე ესტონეთს საკმაოდ კარგად აქვს დივერსიფიცირებული საექსპორტო ბაზრები.**

დიაგრამა N 4 ესტონეთის ექსპორტი ქვეყნების მიხედვით 2021წ.



წყარო: ესტონეთის სტატისტიკის სამსახური a

დიაგრამა N 5 ესტონეთის იმპორტი ქვეყნების მიხედვით 2021 წ.



წყარო: ესტონეთის სტატისტიკის სამსახური a

როგორც ვხედავთ, ესტონეთი ძირითადად ექსპორტზე გადის ფინეთში, ლატვიაში, ლიეტუვაში, აშშ-სა და შვედეთში. რუსეთში 4 პროცენტი, მაშინ როცა იმპორტის შემთხვევაში რუსეთი ერთ-ერთი მოწინავეა და 10.5 პროცენტისაა წილი აქვს ესტონეთის მთლიან იმპორტში. რუსეთიდან ძირითადად ნავთობის, ქვანახშირის, ლითონის, ხე-ტყისა და ქიმიკატების იმპორტს ახორციელებს, ხოლო რუსეთში გააქვს ელექტრო და საკომუნიკაციო აღჭურვილობა, მექანიკური მოწყობილობები, კაკაოს პროდუქტები, პროდუქტები და ა.შ.

ესტონეთის სახელმწიფო განსაკუთრებით მკაცრი ეკონომიკური პოლიტიკით გამოირჩევა რუსეთის მიმართ. რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრიდან მალევე ესტონეთმა გამოაცხადა, რომ 2022 წლის ბოლოდან შეწყვეტდა რუსეთიდან ბუნებრივი აირის იმპორტს (News.err.ee). ამის საშუალებას მისცემდა ფინეთთან ერთად ფინეთის ყურეში აშენებული თხევადი აირის მცურავი საცავი. სხვა მხრივ ესტონეთის ენერგეტიკული უსაფრთხოება შედარებით მაღალია, ვინაიდან აქვს ნავთობის ადგილობრივი მოპოვების შესაძლებლობა.

ესტონეთი წარმატებულად ახორციელებს სასურსათო უსაფრთხოების განვითარებასაც, ვინაიდან აქვს ადგილობრივი წარმოების პროდუქტი და დივერსიფიცირებული აქვს ბაზრები. ესტონეთს საკვები პროდუქტებით ვაჭრობაში დადებითი სალდო აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ხოლო მთლიანი საკვების მხოლოდ 1.31% მოდის რუსეთის ფედერაციაზე (WITS). Global Trade Atlas-ის თანახმად ესტონეთი არის კვების პროდუქტების წმინდა ექსპორტიორი.

ადამიანის უსაფრთხოების სხვა სფეროებიდან რომ გამოვყოთ, ესტონეთს თითქმის არ აქვს სამედიცინო პროდუქტების ადგილზე წარმოება, 80% იმპორტირებულია, თუმცა ისეთი ქვეყნებიდან, როგორებიცაა - ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, იაპონია და მექსიკა (Regdesk).

## ლატვია

ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა მზარდი ყურადღების სფერო ხდება ლატვიის სახელმწიფოსთვისაც. ლატვიის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (VDD) ინფორმაციაზე დაყრდნობით ლატვია ეკონომიკურ პროცესებს განიხილავს, როგორც ეროვნულ უსაფრთხოებაზე მზარდი გავლენის მქონე დეტერმინანტს, განსაკუთრების უცხო ქვეყნების მცდელობის გამო, რომლებიც ცდილობენ ეკონომიკური ინსტრუმენტები გამოიყენონ თავიანთი გეოპოლიტიკური ინტერესების განსახორციელებლად. აქედან გამომდინარე, ლატვიის სახელმწიფო მნიშვნელოვნად მიიჩნევს დროულად გამოავლინოს და აღკვეთოს აქტივობები, რომლებიც მიმართულია ეკონომიკისთვის მნიშვნელოვან სფეროებსა თუ კომპანიებზე კონტროლის მოსაპოვებლად. ასევე, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ბიზნესმენების საქმიანობის დროულ გამოვლენასა და პრევენციას, რომლებიც მუშაობენ საგარეო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურებში.

ლატვიის ეკონომიკური განვითარებისა და მისი მდგრადობის უზრუნველსაყოფად, ძალზე მნიშვნელოვანია ფინანსური სექტორის სტაბილურობა, ფინანსური

რეკუტაციისთვის შექმნილი რისკების დროული იდენტიფიცირება და პრევენცია. შესაბამისად VDD ახორციელებს ფინანსური სექტორის სტაბილურობასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას, განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს ტერორიზმის დაფინანსების პოტენციურ შემთხვევებს და არარეზიდენტ ფონდებთან დაკავშირებულ რისკებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ სექტორზე.

ეკონომიკური უსაფრთხოების კუთხით ერთ-ერთი პრიორიტეტია სტრატეგიული საქონლის კონტროლსა და მონიტორინგში მონაწილეობა. ამ კუთხით მთავარი მიზანი, რომელიც უნდა გამოიკვეთოს, არის ლატვიის ტერიტორიის ან ბიზნესმენების შესაძლო ექსპლუატაციის პრევენცია იმ საქმიანობისთვის, რომლებიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სანქციების რეჟიმს.

ლატვიის სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესების დასაცავად VDD ახორციელებს კონტრდაზვერვას და ოპერატიულ საქმიანობას, რათა დროულად მოიპოვოს ინფორმაცია იმ ქმედებების შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის ეკონომიკურ სუვერენიტეტს. ეკონომიკური საფრთხეების შესახებ VDD რეგულარულად აცნობებს ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებსა და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებს, რომლებიც ჩართულნი არიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში (ლატვიის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური).

ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის და ქვეყნის განვითარებისთვის, ლატვიამ შეიმუშავა 2022-2025 წლებში განსახორციელებელი „**ლატვიის სტაბილურობის პროგრამა**“, რომელიც თანხვედრაშია ევროკავშირის საბჭოს რეგულაციებთან და მიზნად ისახავს საბიუჯეტო პოზიციებზე ზედამხედველობის გაძლიერებას, ეკონომიკური პოლიტიკის ზედამხედველობას და კოორდინაციას. სტაბილურობის პროგრამის ფისკალური სტრატეგია პროგნოზირებს სტრუქტურული დეფიციტის ეტაპობრივ წლიურ შემცირებას მთლიანი შიგა პროდუქტის 0,5-1 პროცენტით. კოვიდ 19-ის შერბილების ღონისძიებები, ენერჯის ფასის ზრდის კომპენსაციის ღონისძიებები და შიდა უსაფრთხოების ინვესტიციების ზრდა ფისკალურ სტრატეგიაში განიხილება როგორც ერთჯერადი ღონისძიებები და გამორიცხულია სტრუქტურული ბალანსიდან.

Covid-19-ის კრიზისის გამო, 2020 წელს ლატვიის ეკონომიკა 3.8%-ით შემცირდა, თუმცა 2021 წელს მალევე დაიწყო განაჯსალება და მთლიანი შიგა პროდუქტი წინა წელთან შედარებით 4.8 პროცენტით გაიზარდა. თავად 2020 წელიც იმაზე მსუბუქი აღმოჩნდა ლატვიის ეკონომიკისთვის, ვიდრე თავდაპირველად მოელოდნენ, ვინაიდან მწარმოებლური სექტორი ლატვიაში მოსალოდნელზე უფრო მდგრადი აღმოჩნდა შოკის მიმართ, ხოლო მომსახურების სექტორმა მყისიერად დაიწყო გაუმჯობესება.

რაც შეეხება ეკონომიკის სექტორებს, სატრანსპორტო და დასაწყობების სექტორი იყო ერთ-ერთი იმ სექტორთაგან, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა პანდემიის გამო და 2020 წელს 14.6 პროცენტით ვარდნა განიცადა, თუმცა 2021-ში გაიზარდა 5,9%-ით. საჰაერო ტრანსპორტის მოცულობამაც დაიწყო აღდგენა, ხოლო სატვირთო გადაზიდვები საგზაო გზით გაიზარდა. მიუხედავად ამისა, 2022 წელს უკვე უარყოფითი გავლენა მოახდინა რუსეთი უკრაინაში შეჭრამ, რადგან შემცირდა ლატვიის პორტებში რუსული ტვირთების ტრანზიტის მოცულობა, ასევე შემდირდა სამგზავრო საავტომობილო ტრანსპორტი ლატვიის ტერიტორიაზე.

ყველაზე დიდი ზიანი მიაღწა განთავსებისა და კვების სექტორს. 2020 წელს 42 პროცენტით, 2021 წელს კი დამატებით 5.2 პროცენტით შემცირდა და სხვა სექტორებისგან განსხვავებით აღდგენა შეფერხებულია. ასევე, დაზარალდა ხელოვნების, გართობისა და დასვენების სექტორი, რომელიც 2020 წელს 22.6, ხოლო 2021 წელს 7 პროცენტით ვარდნით დახასიათდა, რაც თავის მხრივ დაკავშირებული იყო არსებულ სხვადასხვა შეზღუდვებთან. ასევე ვარდნა იყო მშენებლობის სექტორსა და აგროსასურსათო სექტორში. შედარებით ნაკლებად დაზარალდა მრეწველობის სექტორი, ვინაიდან, ძირითადი პრობლემა ავადობის გამო ადამიანური რესურსის შეფერხებით მუშაობაში გამოიხატა, სხვა მხრივ, განსაკუთრებით 2021 წელი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა მრეწველობისთვის.

2021 წელს ლატვიის საქონლისა და მომსახურების საგარეო სავაჭრო ბრუნვა მუდმივ ფასებში გაიზარდა 10.0%-ით, რაც წარმოადგენს საუკეთესო მაჩვენებელს 2012 წლის შემდეგ. ასევე ექსპორტის არსებითმა ზრდამ ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა აშშ, თურქეთი, იაპონია, ნიგერია და ნორვეგია, უზრუნველყო ლატვიური საქონლისა და

მომსახურების ექსპორტის 6,2%-იანი ზრდა გასულ წელს. ლატვიის შიდა მოხმარების ზრდამ და ინვესტიციებმა ტექნოლოგიურ ადჭურვილობაში ხელი შეუწყო საქონლისა და მომსახურების მთლიანი იმპორტის 13.5%-ით ზრდას. იმის გათვალისწინებით, რომ იმპორტი უფრო მკვეთრად გაიზარდა, ვიდრე ექსპორტი, საგარეო სავაჭრო ბალანსი 2021 წელს საგრძნობლად გაუარესდა. 2021 წელს საგარეო სავაჭრო დეფიციტი გაიზარდა 2 635 მლნ ევროთ 2020 წლის 1 225 მლნ ევროსგან განსხვავებით. ექსპორტისა და იმპორტის ზრდა უფრო სწრაფი იყო, ვიდრე მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა (4.8%). ექსპორტის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2021 წელს გაიზარდა 3,5 პროცენტით და მიაღწია 64,0 პროცენტს, ხოლო იმპორტის წილმა ეროვნულ ეკონომიკაში 2021 წელს 66,0 პროცენტი შეადგინა, რაც 2020 წელთან შედარებით 6,7 პროცენტით მეტია (ლატვიის სტაბილურობის პროგრამა 2022-2025).

ლატვიის ცენტრალური სტატისტიკური ბიუროს ცნობით 2021 წელს ლატვიამ 16,49 მილიარდი ევროს საქონლის ექსპორტი განახორციელა, რაც 3,19 მილიარდი ევროთი, ანუ 24 პროცენტით მეტი 2020 წელთან შედარებით, ხოლო იმპორტის მოცულობამ 19,43 მილიარდი ევრო შეადგინა, ანუ 4,27 მილიარდი ევროთი (28,2 პროცენტით) მეტია წინა წელთან შედარებით (ლატვიის სტატისტიკის სამსახური).

2021 წელს საქონლის ექსპორტი ლატვიიდან მსოფლიოს 195 ქვეყანაში განხორციელდა. ყველაზე მსხვილი საექსპორტო პარტნიორები იყვნენ: ლიეტუვა, ესტონეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და რუსეთის ფედერაცია.

მათი წილი მთლიანი ექსპორტის ღირებულების 50.8%-ს შეადგენდა. ლიტვაში ძირითადად მანქანების, მექანიკური ტექნიკის და ელექტრომომწობილობების ექსპორტი განხორციელდა, ესტონეთში, გერმანიასა და რუსეთის ფედერაციაში სოფლის მეურნეობისა და კვების პროდუქტების, ხოლო გაერთიანებულ სამეფოში ხისა და ხე-ტყის პროდუქტების.

2021 წელს ლატვიამ საქონლის იმპორტი 167 ქვეყნიდან განახორციელა. ყველაზე მსხვილი იმპორტის პარტნიორები იყვნენ: ლიეტუვა, გერმანია, პოლონეთი, რუსეთის ფედერაცია და ესტონეთი.

ლიეტუვიდან ძირითადად მოახდინა სასოფლო-სამეურნეო და საკვები პროდუქტების იმპორტი. გერმანიიდან და პოლონეთიდან მანქანები, მექანიკური

ტექნიკა და ელექტრომომწობილობები, ხოლო რუსეთის ფედერაციიდან და ესტონეთიდან მინერალური პროდუქტები.

ლატვიის ექსპორტის დაახლოებით 9 პროცენტი გადის რუსეთის ბაზარზე, რაც 5 პროცენტით მეტია ესტონეთის შემთხვევასთან შედარებით. ხოლო იმპორტი თითქმის იგივეა და 10 – 11 პროცენტით მერყეობს (Trading Economics).

ბოლო წლებში მიმდინარე საგადასახადო რეფორმებიდან, მნიშვნელოვანია გამოვყოთ **საშემოსავლო და მოგების გადასახადები**. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლატვიამ 2018 წლიდან შემოიღო ქვეყანაში ესტონური მოდელი, რაც გულისხმობს, რომ ლატვიაც, ესტონეთის მსგავსად, მხოლოდ განაწილებულ მოგებაზე აწესებს გადასახადს, რაც 20 პროცენტს შეადგენს, ხოლო სხვა შემთხვევაში გადასახადი 0%-ა, რაც ლატვიურ კომპანიებს უფრო და უფრო მეტ სტიმულს აძლევს იმისთვის, რომ მოახდინონ ბიზნესის გაფართოება, განვითარება და, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების გაჯანსაღება.

რაც შეეხება ინდივის საშემოსავლო გადასახადს, აქ მნიშვნელოვანია განვიხილოთ, რომ ლატვიამ აირჩია პროგრესული დაბეგვრის სისტემა, რაც გულისხმობს, რომ შემოსავლის მოცულობის მიხედვით ხდება საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის დადგენა.

პროგრესული მაჩვენებელი ეფუძნება წლიური შემოსავლის დონეს შემდეგნაირად (Taxsummaries.pwc.com a):

- თუ ინდივიდის წლიური შემოსავალი 20 004 ევრომდეა, საგადასახადო განაკვეთი განისაზღვრება 20%-ით;
- თუ ინდივიდის წლიური შემოსავალი 20 004 ევროდან 78 100 ევრომდე მერყეობს, საგადასახადო განაკვეთი განისაზღვრება 23%-ით;
- თუ ინდივიდის წლიური შემოსავალი 78 100 ევროს სცდება, საგადასახადო განაკვეთი განისაზღვრება 31%-ით.

ლატვია, მსგავსად ესტონეთისა, აწესებს სოციალური უსაფრთხოების გადასახადს. რომელიც ცოტათი უფრო მაღალია, ვიდრე ესტონეთში და შეადგენს 35.09%-ს, საიდანაც 11 პროცენტს იხდის დასაქმებული, ხოლო 24.09 პროცენტს დამსაქმებელი.

ისევე როგორც ესტონეთის შემთხვევაში, ლატვიის მაგალითზეც განვიხილოთ ინდივიდი, რომელსაც აქვს 1000 ევროს ოდენობის დარიცხული ხელფასი. მთლიანი ხარჯი იქნება 1241.26 (უფრო ნაკლები ვიდრე ესტონეთის 1338), აქედან, დასაქმებული გადაიხდის:

- 1000 ევროს 11 პროცენტი - სოციალური გადასახადი - 110 ევრო;
- 990 ევროს 20 პროცენტი - საშემოსავლო გადასახადი - 178 ევრო;
- ხელზე ასაღები ხელფასი რჩება 712 ევრო.

ლატვიაში არ არის გამოყოფილად საპენსიო შენატანი და სახელმწიფო საპენსიო სქემაში მონაწილეობის მიუხედავად ის განისაზღვრება და გამოიყოფა 20 პროცენტთან საშემოსავლო გადასახადიდან. ლატვიის სამ საფეხურიანი საპენსიო სისტემა შემდეგნაირად დაიყოფა (ლატვიის რესპუბლიკის კეთილდღეობის სამინისტრო): პირველი საფეხური - სახელმწიფო სავალდებულო არადაფინანსებული საპენსიო სქემა; მეორე საფეხური - სახელმწიფო სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემა; მესამე საფეხური - კერძო ნებაყოფლობითი საპენსიო სქემა.

პირველი საფეხურის მიხედვით სახელმწიფო ცდილობს, რომ შრომისუნარიანი მოსახლეობა სრულად ჩაერთოს სახელმწიფო სოციალურ დაზღვევაში და გააგრძელოს მუშაობა რაც შეიძლება დიდხანს, გადადოს პენსიაზე გასვლა ხანდაზმულ ასაკამდე. ანუ, რაც უფრო დიდი ხნით მოუტანს სახელმწიფოს სიკეთეს თავისი საქმიანობით, უფრო მაღალი იქნება მისი პენსია. მეორე საფეხური კი განსხვავებულია, ვინაიდან ჩართულ პირთა სოციალური დაზღვევის შენატანები ინვესტირდება ფინანსურ ბაზარზე და გროვდება კონკრეტული პირის პენსიაზე.

უმუშევრობა ლატვიაში ბოლო ათწლეულის განმავლობაში კლებადი ტენდენციით გამოიხატება, თუ არ ჩავთვლით პანდემიას, როდესაც უმუშევრობამ ცოტათ იმატა, რაც შეზღუდვებისა და რეგულაციების გამო ბუნებრივია, თუმცა გასულ წელს კვლავ კლება დაფიქსირდა.



ცხრილი N 5 უმუშევრობა ლატვიაში 2011-2021 წლებში

წელი	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
უმუშევრობა%	16,21	15,05	11,87	10,85	9,87	9,64	8,72	7,41	6,31	8,1	7,6

წყარო: Statista.com b

ლატვია უმუშევრობის შემწეობას 9 თვის განმავლობაში გასცემს ინდივიდებზე. შეღავათების ოდენობა დამოკიდებულია დასაქმების ისტორიასა და ხელფასის მოცულობაზე, საიდანაც ხდებოდა სოციალური შენატანების განხორციელება. საშუალო ხელფასი გამოითვლება შემოსავლის საფუძველზე 12 თვიანი პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა უმუშევრობის შეღავათების მოთხოვნამდე 2 თვით ადრე (Ec.europa.eu a):

- თუ მოქალაქეს აქვს 1-9 წლიანი გამოცდილება - სარგებელი იქნება საშუალო ხელფასის 50%;
- თუ მოქალაქეს აქვს 10-19 წლიანი გამოცდილება - სარგებელი იქნება საშუალო ხელფასის 55%;
- თუ მოქალაქეს აქვს 20-29 წლიანი გამოცდილება - სარგებელი იქნება საშუალო ხელფასის 60%;
- თუ მოქალაქეს აქვს 30 წლიანი და მეტი გამოცდილება - სარგებელი იქნება საშუალო ხელფასის 65%;

სარგებლის მოცულობა კი პირველი 2 თვე სრულად ჩაერიცხება, 3-4 თვე 75%, 5-6 თვე 50%, ბოლოს კი 45%.

ლატვია ევროპის ერთ-ერთი ყველაზე მეტად დამოკიდებული ქვეყანაა რუსულ ბუნებრივ აირზე. ქვეყანაში ბუნებრივი აირის 90 პროცენტზე მეტი იმპორტირებულია რუსეთიდან, რაც, რა თქმა უნდა, ენერგეტიკული უსაფრთხოების მიმართულებით მეტად საგულისხმოა. განსაკუთრებით რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდგომ გამწვავდა ენერგეტიკული პრობლემები. აქედან გამომდინარე 2022 წლის 14 ივლისს ლატვიის სახელმწიფომ კანონმდებლობის დონეზე განახორციელა ცვლილებები,

რათა შეწყვიტოს რუსული გაზის იმპორტი 2023 წლის პირველი იანვრიდან (ლატვიის პარლამენტის პრესსამსახური).

ლატვიის სასურსათო უსაფრთხოების ანალიზისას უნდა განვიხილოთ, რომ საკვები და სასმელი პროდუქტების წარმოება სიდიდით არის მეორე ინდუსტრიული სექტორი ლატვიაში, რომელიც აწარმოებს მთლიანი წარმოების 21%-ს. 2020 წლის მონაცემებით წარმოებაში დასაქმებული ადამიანების 20% მუშაობდა კვების მრეწველობაში (ლატვიის ინვერტირებისა და განვითარების სააგენტო).

ლატვიამ 2021 წელს საჭმელი პროდუქტების მხოლოდ 14.62%-ის იმპორტი განახორციელა (Trading Economics a).

## ლიეტუვა

ლიეტუვის სახელმწიფოს 2022 წელს გამოქვეყნებული „ლიეტუვის სტაბილურობის პროგრამის“ ეკონომიკური ნაწილი დათმობილია იმ საფრთხეებზე, რომლის წინაშეც სახელმწიფო დგას მიმდინარე საერთაშორისო გამოწვევების გამო. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სცენარი ცოტა არ იყოს ბუნდოვანია გეოპოლიტიკური დაძაბულობის, გაურკვევლობებისა და გარემოში არასტაბილურობის გამო. რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრა გამოიწვევს საქონლისა და ნედლეულის გლობალური ფასების ზრდას, საერთაშორისო ვაჭრობის შეფერხებასა და ეკონომიკური აგენტების შესაძლებლობების შეზღუდვას (ლიეტუვის სტაბილურობის პროგრამა 2022). მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ ლიეტუვა, ასე თუ ისე, ნორმალურად გამოვიდა კოვიდ-19-ის პანდემიის სიტუაციიდან, გაზარდა ექსპორტი და მოახდინა გლობალური ღირებულების ჯაჭვებში სწრაფი ინტეგრაცია, რუსეთის აგრესიამ პერსპექტივა შეანელა, გაიზარდა ინფლაცია, რაც, უპირველესყოვლისა, გამოწვეულ იქნა ენერგეტიკული რესურსებისა და სურსათის მაღალი ფასებით. ლიეტუვამ გაწყვიტა ენერგეტიკული კავშირი რუსეთიდან და დაიწყო ზრუნვა სხვა პარტნიორებთან ურთიერთობის გამყარებაზე (OECD).

ლიეტუვა იყო ქვეყანა, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე მეტად დამოკიდებული იყო რუსეთის ენერგეტიკულ რესურსებზე, რაც ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და შესაბამისად ეკონომიკურ უსაფრთხოებას ძლიერი რისკების ქვეშ აყენებდა, ამიტომ, 2022 წლის გაზაფხულზე, ლიეტუვამ შეწყვიტა რუსეთის ენერგეტიკული რესურსების

მოხმარება. ის აღარ ახორციელებს რუსეთის ენერგომომარაგების იმპორტს, როგორცაა ნავთობი, ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი. ლიეტუვის ენერგეტიკის მინისტრის, დაინიუს კრევიცისმა განაცხადა, რომ „ეს არა მხოლოდ უაღრესად მნიშვნელოვანი ეტაპია ლიტვისთვის ენერგეტიკული დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე, არამედ არის ჩვენი სოლიდარობის გამოხატულება უკრაინასთან. ჩვენ უნდა შევწყვიტოთ რუსული ომის მანქანის დაფინანსება“. მან, ასევე, დასძინა, რომ ლიეტუვა მალე მიაღწევს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას, როდესაც წარმატებით განახორციელებს სინქრონიზაციას, დააკმაყოფილებს ელექტროენერგიის საჭიროებებს ადგილობრივი მწვანე ენერჯის წარმოებით და გახდება ელექტროენერჯის ექსპორტიორი.

რაც შეეხება ბუნებრივ აირს, თხევადი ბუნებრივი აირის ტერმინალმა კლაიპედაში (Klaipėda) მიიღო ტვირთები ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ამავდროულად, ადგილობრივად ხორციელდება ელექტროენერჯის გამომუშავება და იზრდება იმპორტი ევროკავშირის ქვეყნებიდან. შვედეთთან, პოლონეთთან და ლატვიასთან არსებული ურთიერთკავშირებით ლიეტუვა ფარავს ქვეყნის ელექტროენერჯის საჭიროებებს. ნავთობის ერთადერთმა იმპორტიორმა ლიტვაში, კი უარი თქვა რუსული ნედლი ნავთობის იმპორტზე (Peseckyte G. 2022).

**ეკონომიკური უსაფრთხოების** სხვა დარგებიდან, ლიეტუვის შემთხვევაშიც განვიხილოთ ფისკალური პოლიტიკა და მისი მახასიათებლები. ესტონეთის და ლატვიის მაგალითზე აღვწერეთ, რომ კომპანიებს შეუძლიათ გადასახადებისგან გათავისუფლებით შეინარჩუნონ და რეინვესტირება მოახდინონ მოგების, რაც უზრუნველყოფს ფირმებისთვის საინვესტიციო კაპიტალის მზა წყაროს და მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რბოლაში, თუმცა აღნიშნული მოდელი ჯერჯერობით ლიეტუვას არ მიუღია.

ლიეტუვა სტანდარტულ **მოგების** გადასახადად აწესებს 15%-ს. თუმცა კონკრეტული კრიტერიუმების დაკმაყოფილებით, მცირე საწარმოებს, სასოფლო-სამეურნეო ფირმებს და ა.შ. შეუძლიათ ისარგებლონ შეღავათებით 0 და 5 პროცენტის საგადასახადო განაკვეთით. თუმცა, 2020 წლიდან შეზღუდული და 2022 წლიდან

უკვე შეუზღუდავი ვადით მოგება რომელიც ცდება 2 მილიონ ევროს იბეგრება 20%-ით (ლიეტუვის კანონი მოგების გადასახადის შესახებ).

რაც შეეხება **საშემოსავლო გადასახადს** ინდივიდუალური პირებისთვის, შეადგენს 20%-ს თუ წლიური შემოსავალი არ სცდება 90 246 ევროს, და 32%-ს თუ წლიური შემოსავალი აღნიშნულ მოცულობაზე მაღალია. მიღებული დივიდენდები 15 პროცენტით იბეგრება (Taxsummaries.pwc.com b).

ლიეტუვასაც აქვს დაწესებული **სოციალური უზრუნველყოფის** შენატანები. დასაქმებულებისთვის განაკვეთი 19.5%-ა, ხოლო დამსაქმებლებისთვის 1,45-დან 3,43 პროცენტამდე (დამოკიდებულია თანამშრომლობის ფორმებზე). ასევეა დამსაქმებლის მიერ საგარანტიო ფონდის შენატანი 0.16%. დასაქმებულების 19.5% შემდეგნაირად არის დათლილი:

- 8.72% – საპენსიო სოციალური დაზღვევა;
- 6,98% – ჯანმრთელობის დაზღვევა;
- 2.09% – ავადმყოფობის დაზღვევა;
- 1.71% – დედობის სოციალური დაზღვევა

საპენსიო შენატანი 2023 წლიდან არის 3% დასაქმებულისთვის, ხოლო სახელმწიფოს მიერ 1.5% იქნება შეტანილი.

რომ დავითვალოთ, 1000 ევროს ოდენობის დარიცხული ხელფასის შემთხვევაში, ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევა მოაკლდება 69,80 ევრო, სოციალური უზრუნველყოფის შენატანი - 125,20 ევრო, საპენსიო შენატანი - 30 ევრო, საშემოსავლო გადასახადი 143,36 ევრო და ხელზე ასაღები ხელფასი რჩება 631,34 ევრო. დამსაქმებელი გადაიხდის სხვადასხვა შენატანების სახით დამატებით 17.7 ევროს. ანუ მისი სრული ხარჯი იქნება 1017 ევრო.

ლიეტუვაში უმუშევრობა, ისევე როგორც ესტონეთსა და ლატვიაში, კლებადი ტენდენციით ხასიათდება, აქაც, რა თქმა უნდა, თუ არ ჩავთვლით პანდემიით გამოწვეულ ცვლილებებს.

ცხრილი N 6 უმუშევრობა ლიეტუვაში 2011-2021 წლებში

წელი	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
უმუშევრობა %	15.39	13.36	11.77	10.7	9.12	7.86	7.07	6.15	6.26	8.49	7.9

წყარო: Statista.com c

ლიეტუვაც სთავაზობს თავის მოქალაქეებს უმუშევრობის შდავათებს 9 თვის განმავლობაში. პირველი 3 თვე საშუალო ხელფასის 38,79%, მეორე 3 თვე 31,03%, ხოლო ბოლო სამი თვის განმავლობაში 23,27%. უმუშევართა საშუალო თვიური დაზღვეული შემოსავალი გამოითვლება დასაქმების სამსახურში რეგისტრაციამდე 30 თვის განმავლობაში (Ec.europa.eu b).

ლიეტუვაშიც 3 სვეტიანი საპენსიო სქემა მოქმედებს:

- I სვეტი არის სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის სისტემა, რომლის მეშვეობითაც ფიზიკური პირები დაზღვეულნი არიან სოციალური დაზღვევის პენსიით;
- II სვეტი - 2019 წელს დაინერგა დაფინანსების ახალი წყაროები: პირის კერძო შენატანი (3% პირის მთლიანი ხელფასიდან) და სახელმწიფოს შენატანი (1,5% ეროვნული საშუალო ხელფასიდან). მეორე სვეტი საინტერესოა იმით, რომ ემატება სახელმწიფოს შენატანი, რომელიც გამოითვლება ქვეყანაში არსებული საშუალო ხელფასის მიხედვით.
- III სვეტი არის ნებაყოფლობითი შენატანი საპენსიო ფონდში ან მონაწილეობა სიცოცხლის დაზღვევის სქემაში.

რომ განვიხილოთ **საერთაშორისო ვაჭრობა**, ლიეტუვის 2021 წელს ექსპორტმა 34,6 მილიარდი ევრო შეადგინა და 2020 წელთან შედარებით 20,5%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტმა 37,8 მილიარდი ევრო შეადგინა და 2020 წელთან შედარებით 29,6%-ით გაიზარდა. ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორები არიან (ლიეტუვის საგარეო საქმეთა სამინისტრო):

ექსპორტი: რუსეთი -10,8%; ლატვია - 9,3%; გერმანია - 8,2%.

იმპორტი: გერმანია -12,8%; პოლონეთი - 11,9%; რუსეთი - 11,9%.

მოკლე შეჯამებითვის, შეიძლება ითქვას, რომ ბალტიის ქვეყნებს შორის ინდივიდის ეკონომიკური უსაფრთხოება ფისკალური პოლიტიკის გათალისწინებით უფრო მაღალია ესტონეთში. ესტონეთის 1000 ევროიანი ხელფასის შემთხვევაში დაახლოებით 467 ევროს იღებს სახელმწიფო გადასახადებისა და სხვადასხვა შენატანების სახით, 338 ევროს იხდის დამსაქმებელი და დასაქმებული ხელზე იღებს 871 ევროს. ლატვიის შემთხვევაში კი 1000 ევროს ოდენობის ხელფასის არსებობისას, სახელმწიფო გადასახადებისა და შენატანების მოცულობა 530 ევროა, დამსაქმებლის ტვირთი დაახლოებით 241 ევრო, ხოლო დასაქმებული ხელზე იღებს 712 ევროს. ლიტვაში 1000 ევროიანი ხელფასის არსებობისას დასაქმებული ხელზე იღებს 631 ევროს, სახელმწიფო გადასახადებსა და შენატანებში შედის 385 ევრო, დამსაქმებლის ტვირთი კი 217 ევრო. მიუხედავად ამისა განსხვავდება ქვეყნების საშუალო ხელფასი.

*ცხრილი N 7 ბალტიის ზღვის ქვეყნების დასაქმების მაჩვენებლების შედარება*

ქვეყანა	მოსახლეობა	სამუშაო ძალა	საშუალო ხელფასი	უმუშევრობა 2021წ
ესტონეთი	1.3 მილიონი	0.7 მილიონი	1396 ევრო	6.2%
ლატვია	1.9 მილიონი	0.9 მილიონი	748 ევრო	7.6%
ლიეტუვა	2.8 მილიონი	1.4 მილიონი	1262,7 ევრო	7.9%

წყარო: Balticfez

ესტონეთში უმუშევრობა ბალტიის ზღვის ქვეყნებს შორის ყველაზე დაბალია. ამასთანავე, ყველაზე კარგ პაკეტს სთავაზობს უმუშევრებს. საშუალო ხელფასი ყველაზე მაღალია და ამ ხელფასიდანაც საგადასახადო ტვირთი უფრო ნაკლებია, ეს ყველაფერი კი ესტონეთის მოსახლეობის კეთილდღობაზე დადებითად აისახება.

ზემოაღნიშნული კვლევით დასტურდება, რომ ესტონეთის საგადასახადო პოლიტიკა ბალტიის ზღვის ქვეყნებს შორის ყველაზე უფრო მეტად არის მორგებული ინდივიდის ეკონომიკური უსაფრთხოების გაძლიერებაზე, თუმცა, თავის მხრივ ესტონეთი პირველი იყო, რომელმაც დაიწყო ბიზნესის სტიმულირება საგადასახადო სისტემის რეფორმირებით, აქედან გამომდინარე, ფაქტია, რომ ესტონეთი გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შედეგად, ახერხებს ყველა მხარეს

უსაფრთხო განვითარების შესაძლებლობების შექმნას, სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინების პარალელურად.

საერთაშორისო ვაჭრობის მხრივ, რუსეთის ბაზარი სამივე ქვეყნისთვის თითქმის თანაბარ ადგილზეა, თუ არ ჩავთვლით, რომ ესტონეთს მდებარეობა ხელს უწყობს სკანდინავიის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის კიდევ უფრო გაუმჯობესებას. ლიეტუვა კი ყველაზე მეტად არის რუსეთის ბაზართან დაახლოებული.

ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური საფრთხე ბალტიის ქვეყნებისთვის არის რუსეთზე დამოკიდებულება, განსაკუთრებით კი ენერგეტიკულ სექტორში. თუმცა, როგორც 2022 წლის მოვლენებმა აჩვენეს ქვეყნებმა მკაცრი გადაწყვეტილება მიიღეს რათა ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით უარი ეთქვათ რუსეთის ენერგეტიკულ რესურსებზე. ამ ყველაფერმა, რა თქმა უნდა, შესაძლოა გაზარდოს როგორც რესურსების მოპოვების ღირებულება, ასევე ფასები ენერგეტიკულ რესურსებზე, თუმცა, ამის საპირწონედ, ქვეყნებს ექნებათ მაღალი დამოუკიდებლობის ხარისხი, ბაზრების დივერსიფიკაცია და ეკონომიკური პროცესების მრავალმხრივი სტიმულირების საშუალება.

## თავი III ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის არსებული მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების პერსპექტივები საქართველოში

### 3.1 ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკაში გადაწყვეტილებების მიმღებთა და გამტარებელთა ეკონომიკური შეთანხმებების როლი საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების გაუმჯობესებაში

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების ანალიზისთვის, პირველ რიგში, უნდა გავეცნოთ ეროვნულ წესრიგის ეკონომიკურ პოლიტიკას, იმ ჩარჩო პირობებს, რომელთა ზეგავლენითაც მიიღება ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებები, რის შემდგომაც ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით ხორციელდება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება.

თავდაპირველად, ეკონომიკურ უსაფრთხოების შესწავლისას, უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი არის საკუთრების უფლება და საკუთრების ხელშეუხებლობა. შეუძლებელია გაანალიზდეს რომელიმე ეკონომიკური სუბიექტის უსაფრთხოება საკუთრების უფლების დაცულობის გარეშე. **საკუთრების უფლება** აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით, თუმცა კანონი იძლევა ვარიანტების საშუალებას, რამაც არ უნდა განაპირობოს მოქალაქის ან ბიზნესის რაიმე სახით შევიწროვება.

საკანონმდებლო დონეზე, ტერმინი „ეკონომიკური უსაფრთხოება“ გვხვდება კანონში **„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“**, სადაც მე-5 მუხლის „გ“ პუნქტი გვამცნობს, რომ სამსახურმა უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში ეკონომიკური უსაფრთხოება. 52 მუხლიან კანონში, სხვა მხრივ არ არის განმარტებული ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. სამსახური არ არის ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელი და მისი ფუნქცია შეიძლება იყოს ზოგიერთი ეკონომიკური საფრთხის პროგნოზირებისა და თვიდან აცილებისთვის როგორც ანალიტიკური, ასევე პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება, თუმცა შეზღუდული კომპეტენციით (საქართველოს კანონი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ).



ასევე, ძალაშია საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ, რომელიც იუწყება რომ „სუსტად განვითარებული ეკონომიკა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის სერიოზული გამოწვევაა, ვინაიდან მდგრადი განვითარების გარეშე ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა დაბალი რჩება“. კონცეფცია განიხილავს ისეთ საფრთხეებს, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან, მაგალითად: ენერგეტიკული გამოწვევები, ინფორმაციული გამოწვევები, გეოპოლიტიკური გამოწვევები, კორუფცია და ა.შ.

„საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ეკონომიკური უსაფრთხოების მიხედვით მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკური სტაბილურობის განმტკიცება, საბიუჯეტო სისტემების და საგადასახადო ადმინისტრირების განვითარება, რაციონალური მონეტარული პოლიტიკის გატარება, კერძო სექტორის განვითარება მცირე და საშუალო საწარმოების სტიმულირებით და საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება, სოფლის მეურნეობის სტიმულირება, ტურიზმის განვითარება, მრეწველობის დარგების განვითარება, სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შემცირება რეგიონებსა და დედაქალაქს შორის, აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო ეკონომიკურ პროექტებში, ინფრასტრუქტურის განვითარება, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაუმჯობესება და ჯანსაღი/კონკურენტული გარემოს შექმნა ბიზნესისთვის (საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ).

კონცეფციის ეკონომიკური უსაფრთხოების ნაწილში, როგორც ვხედავთ, ასახულია ბიზნესის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების პოსტულატები, ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ასპექტები. ინდივიდთან დაკავშირებული საკითხები აღწერილია სოციალური უსაფრთხოების პუნქტში, ხოლო ცალკე არის გამოტანილი ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკა. კონცეფციაში ვეცნობით, რომ თითოეულმა სამინისტრომ, დარგის მიხედვით უნდა განახორციელოს შესაბამისი სტრატეგიის ჩამოყალიბება და განხორციელება.

საკანონმდებლო საქმიანობის ფარგლებში ფუნქციონირებს „დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი“, (საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის დებულება, 2016) რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სხვადასხვა საქმიანობას, მათ შორის:

- შეიმუშავებს, განიხილავს და პარლამენტის პლენარული სხდომისთვის ამზადებს კანონებს, პარლამენტის დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების პროექტებს;
- მონაწილეობს პარლამენტისთვის წარდგენილი კანონპროექტების ან სხვა აქტების პროექტების განხილვა-დამუშავებაში, ამზადებს დასკვნებს;
- განიხილავს ბიუჯეტის პროექტს და შეიმუშავებს დასკვნას;
- განიხილავს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, მონაწილეობას იღებს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონვენციების რატიფიცირების პროცესში და ა.შ.

კომიტეტი მუშაობს ისეთი პრიორიტეტულ მიმართულებებზე, როგორებიცაა - თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დაცვა და თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა, საგარეო სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება და ექსპორტის დივერსიფიცირება, ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის სტიმულირება, ენერგეტიკული უსაფრთხოება, მომხმარებელთა დაცვა და ა.შ.

აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანებს ახორციელებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომლის ძირითადი ამოცანებია: (საქართველოს მთავრობის დადგენილება N70 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.)

- ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის, ეკონომიკური ზრდის ანალიზი და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად;

- ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება, განხორციელება და კოორდინაცია; რესურსდამზოგავი წარმოების სახეების წახალისება;
- სამინისტროს გამგეობლობას მიკუთვნებული დარგების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დასაფინანსებელი პროგრამების განხილვა, სრულყოფა და მათი განხორციელების მონიტორინგის კოორდინაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად;
- სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა და წარმართვა;

საფინანსო-საბიუჯეტო, საგადასახადო და საბაჟო სფეროებში აღმასრულებელი ფუნქცია აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რომლის ფუნქციების მოიცავს: (საქართველოს მთავრობის დადგენილება N 168, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ 2017წ)

- ქვეყნის საფინანსო სისტემის მართვასა და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკირ რეგულირების ღონისძიებების განხორციელებას;
- საბიუჯეტო პოლიტიკის ფორმირებასა და საბიუჯეტო პროცესის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველოფას;
- ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებებიდან საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის მიმართულებების ჩამოყალიბებას, შესაბამისი პროგრამების შემუშვება-განხორციელებას და ა.შ.

მონეტარული პოლიტიკის განხორციელება კი ეროვნული ბანკის კომპეტენციის სფეროა. საქართველოს კონტიტუციის 68-ე მუხლის თანახმად:

- საქართველოს ეროვნული ბანკი წარმართავს ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკას ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და ხელს უწყობს ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას;

- ეროვნული ბანკი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. ზედამხედველობასა და კონტროლს ექვემდებარება ეროვნული ბანკის მხოლოდ ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯები.
- ფულის ემისიის უფლება აქვს მხოლოდ ეროვნულ ბანკს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაზე, რა თქმა უნდა, პირდაპირ და ირიბ გავლენას ახდენს სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებიც.

მნიშვნელოვანი სტრატეგიული დოკუმენტებიდან, რომლებიც უკავშირდება ეკონომიკური უსაფრთხოების გაძლიერებას, შეგვიძლია გამოვყოთ „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის სტრატეგია 2021-2025“, რომელიც მოიცავს სხვადასხვა მიმართულებებს, მათ შორის:

- სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“, რომელიც მიზანია კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული უარყოფით ეფექტების დაძლევა, ეკონომიკის სწრაფი გაჯანსაღება და განვითარება;
- სოფლის განვითარების 2021-2027 წლის სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს მდგრადი ეკონომიკური განვითარების პრინციპების გათვალისწინებით სოფლად ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარებასა და მოსახლეობის კეთილდღობის გაუმჯობესებას;
- საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგია, რომლის მიზანია მაღალმთიან დასახლებებში ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესება, არსებული სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით, სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირების, ბუნებრივი რესურსების დაცვითა და განათლების ხელმისაწვდომობის ზრდით და ა.შ. ასევე, განხილულია ნარჩენების მართვის სტრატეგიაც (საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025).

გასულ წლებში, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრომ წარადგინა **10 წლიანი სამოქმედო გეგმა 2030**, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ეკონომიკური შემადგენლის განვითარებას. საპროგნოზო მონაცემების მიხედვით, ეკონომიკური ზრდა 2025 წელს იქნება 5.2%, 2030 წელს 5%, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი

2025 წელს შემცირდება 14.9%-მდე, ხოლო 2030 წელს 10.7%-მდე. თუ 2020 წელს ექსპორტის კლება 20% იყო, 2025 წელს იქნება 41%-ანი, ხოლო 2030 წელს 50%-ანი ზრდა. განვითარდება ტურიზმი, ახალი სირვეცების მოწყობით, გაიზრდება საერთაშორისო მოგზაურთა ვიზიტების რაოდენობა 13 მილიონამდე და ა.შ. სამოქმედო გეგმა ენერგეტიკული უსაფრთხოების მიმართულებითაც გამოყოფს პოსტულატებს, მათ შორის, საქართველ-რუმინეთის წყალქვეშა სადენის პროექტი და მიწისქვეშა გაზსაცავის პროექტი. ასევე, ყურადღება აქვს დათმობილი განახლებადი ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობას (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 10 წლიანი გეგმა).

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და საბაზრო ეკონომიკური კურსის აღების შემდგომ, მნიშვნელოვანია დასავლეთთან ურთიერთობის განხილვა.

საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირთან ურთიერთობა და ევროპული ინტეგრაცია. ეკონომიკური პროფილისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ასოცირების შესახებ შეთანხმებაა, რომელსაც 2014 წელს მოეწერა ხელი, ძალაში 2016 წელს შევიდა და რომელიც ითვალისწინებს „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმებას“ (DCFTA). DCFTA განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპული ბაზრის ათვისებისა და ექსპორტის დივერსიფიცირებისთვის (ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში). შეთანხმების ძირითადი ფუნქციაა გაიხსნას ევროპული ბაზარი ქართული წარმოებისთვის, მოხდეს სტიმულირება გადასახადის გაუქმებით, ხელი შეეწყოს სტანდარტებთან შესაბამისობით პროდუქტის წარმოებას, დაცული იყოს ფიტოსანიტარული ზომები და სურსათის უვნებლობის სტანდარტი და ა.შ. შეთანხმება არის ერთგვარი ბერკეტი სახელმწიფოსთვის, რათა გადადგას რაციონალური ნაბიჯები ევროპის ბაზრის ათვისებისთვის.

მსხვილ პარტნიორებთან ურთიერთობის განხილვისას, აუცილებელია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საქართველოში მიმდინარე პროგრამების ანალიზი. USAID საქართველოში 35 -ზე მეტ პროგრამას ახორციელებს განვითარების მიმართულებით, მათ შორის:

- ბიზნეს განვითარების პროგრამა;

- დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის;
- ეკონომიკური მმართველობის პროგრამა;
- ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამა;
- ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამა და ა.შ.

USAID საქართველოსთან 1992 წლიდან თანამშრომლობს და ამჟამად დაახლოებით 2 მილიარდი დოლარის ფინანსური რესურსი აქვს დახარჯული სხვადასხვა პრიორიტეტული მიმართლებით პროგრამების განხორციელებაში (USAID).

USAID ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამა, რომელსაც ახორციელებს DAI Global, წარმოადგენს ტექნიკურ დახმარებას 4 მნიშვნელოვანი სექტორისთვის. დახმარება მოიცავს ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებას, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებს, სამუშაო უნარებში დახელოვნებას და საჯარო და კერძო სექტორების პარტნიორობას (USAID a).

### 3.2 ინდივიდის, ბიზნესის და ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მოქმედი ფაქტორები, გამოწვევები და განვითარების შესაძლებლობები საქართველოში

ინდივიდის ეკონომიკური უსაფრთხოება გულისხმობს ქვეყნის მოსახლეობის ეკონომიკურ უსაფრთხოებას, რაც ითვალისწინებს როგორც შემოსავლის უსაფრთხოებას და სტაბილურობას, ასევე შემოსავლის მსყიდველობითუნარიანობას, განკარგვის რაციონალურ შესაძლებლობასა და კეთილდღეობის გაზრდას. რაც შეეხება ბიზნესის ეკონომიკურ უსაფრთხოებას, იგი უკავშირდება ბიზნესის დაწყებას, განხორციელებას, სახელმწიფოსგან ზეწოლის არ არსებობას, მცირე და ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობას და ა.შ.

ინდივიდის ეკონომიკური უსაფრთხოების განხილვისას, აუცილებელია შემოსავლის უსაფრთხოების ანალიზი. საქართველოში ერთ-ერთ დიდ პრობლემას უმუშევრობა წარმოადგენს.

ცხრილი N 8 დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში 2014-2021 წლებში

	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათასი კაცი	1629,0	1675,6	1653,8	1641,4	1605,2	1572,8	1523,7	1533,6
დასაქმებული, ათასი კაცი	1255,0	1308,5	1294,5	1286,9	1296,2	1295,9	1241,8	1217,4
უმუშევარი, ათასი კაცი	374,0	367,2	359,2	354,5	309,0	276,9	281,9	316,2
უმუშევრობის დონე, პროცენტებში	23,0	21,9	21,7	21,6	19,2	17,6	18,5	20,6

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ვხედავთ, 2014 წლის მონაცემებით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის თითქმის ყოველი მეოთხე ინდივიდი უმუშევარია, ხოლო 2021 წლის მონაცემებით ყოველი მეხუთე ადამიანი უმუშევარია, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახება

როგორც ინდივიდის, ასევე ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებასა და ქვეყნის განვითარებაზე.

წინა თავში განხილულ ევროპულ ქვეყნებთან შედარებით საქართველოს არ აქვს **უმუშევრობის დაზღვევა**. თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოში 2006 წლამდე გაიცემოდა უმუშევრობის შემწეობა (14 და 20 ლარის ოდენობით), რომლის განვითარებასაც, შესაძლოა უკეთეს შედეგამდე მიყვანა არსებული მდგომარეობა. დღეისთვის უმუშევრობის დაზღვევის არარსებობის ერთ-ერთ წინაპირობად სწორედ უმუშევრობის მაღალი დონე უნდა მივიჩნიოთ, შემწეობის დანიშნვამ შესაძლოა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის არარელევანტური ზრდა გამოიწვიოს. ამ მიმართულებით მოსაწესრიგებელია როგორც საკანონმდებლო ჩარჩო პირობები, ასევე სააღსრულებლო ნაწილიც. დავუშვათ, უმუშევრობის შემწეობა არის 250 ლარი და გაიცემა 6 თვის ვადით, 316,2 ათას უმუშევარზე გამოდის დაახლოებით 475 მილიონი ლარი, რაც არსებული ბიუჯეტის პირობებში წარმოუდგენელია. თუმცა რეალობა განსხვავდება დაშვებისგან. უმუშევრობის დაზღვევა არ გულისხმობს, რომ ყველა უმუშევარი მიიღებს შემწეობას. ის იქნება გათვალისწინებული მხოლოდ იმ პირებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამის პირობებს, რაც უკვე ვნახეთ გერმანიის და ბალტიის ზღვის ქვეყნების მაგალითზე. უმუშევრობის დაზღვევის განხილვისას მთავარია, რომ უმუშევრობის დაზღვევა არ იყოს იდეურად გათანაბრებული შემწეობასთან და ხანგრძლივადიან სახელმწიფო დახმარებასთან. უმუშევრობის დაზღვევის მთავარი იდეა უნდა იყოს ის, რომ დასაქმებულებმა/დამსაქმებლებმა განახორციელონ ყოველთვიური შენატანი უმუშევრობის დაზღვევის მიმართულებით, რაც მოახდენს დამატებითი ფინანსური რესურსების აკუმულირებას და როგორც კი საჭირო იქნება რომელიმე ადამიანისთვის დაზღვევით გათვალისწინებული დახმარების გაწევა, სახელმწიფომ გადადგას აღნიშნული ნაბიჯი. **სახელმწიფოს მიერ უმუშევრობის დაზღვევა უნდა გულისხმობდეს წინასწარ აკუმულირებული რესურსებით მოქალაქეთა ფინანსურ მხარდაჭერას ახალი სამსახურის ძიების პერიოდში.**

რაც შეეხება საგადასახადო პოლიტიკას, ბოლო დროინდელი ერთ-ერთი განსაკუთრებული ნაბიჯია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ შემოღება. მოგების გადასახადის მოცულობა დარჩა უცვლელი, 15%, თუმცა რეინვესტირების



შემთხვევისას კომპანია გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან (ერქომაიშვილი გ. 2022, გვ 83-84). 2017 წლიდან მოქმედებს საქართველოში აღნიშნული მოდელი და მისი მთავარი მიზანი ბიზნესის წარმოების ზრდის, ბიზნესის გაფართოების სტიმულირებაა. მოკლევადიან პერიოდში, მსგავსი ტიპის საგადასახადო ცვლილება იწვევს საბიუჯეტო შემოსულობების შემცირებას, თუმცა გრძელვადიან პერიოდში ბიზნესის გაფართოება, რა თქმა უნდა, გაზრდის მოგების გადასახადით მიღებულ შემოსულობებს (ერქომაიშვილი გ., ალუდაური დ., 2018).

როგორც წესი გადასახადები ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა და ყოველწლიურად დაახლოებით 90%-ის ირგვლივ მერყეობს, შესაბამისად მნიშვნელოვანია გატარებული რეფორმის ანალიზი და ბიუჯეტის შემოსავლებზე ზეგავლენის ასახვა.

*ცხრილი N 9 მოგების და საშემოსავლო გადასახადის წილი საქართველოს ბიუჯეტის შემოსავლებში*

წელი	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
ბიუჯეტის შემოსავლები	7,434,63	8,170,499.	8,580,0	9,750,3	10,595,6	10,675,03	10,490,37	12,750,27
გადასახადებით მიღებული შემოსავლები	6,846,96	7,549,608.	7,986,7	8,991,3	9,695,96	9,665,567.	9,364,779.	11,439,48
მოგების გადასახადი	2	5	36.5	5.5	4			1
<b>მოგების გადასახადის წილი</b>	<b>11%</b>	<b>12,55%</b>	<b>12,3%</b>	<b>7.8%</b>	<b>7%</b>	<b>8.1%</b>	<b>8.7%</b>	<b>7.96%</b>
საშემოსავლო გადასახადი	1,790,37	2,052,388.	1,978,1	2,525,9	2,877,89	3,200,254.	3,079,840.	3,491,520.
საშემოსავლო გადასახადის წილი	24%	25,11%	23,05%	25.91%	27.16%	29.97%	29.35%	27.38%

წყარო: ფინანსთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით ავტორის გამოთვლები

საბიუჯეტო შემოსავლების ანალიზი ცხადყოფს, რომ მოგების გადასახადის წილი ბიუჯეტის შემოსავლებში 2017 წელს დაახლოებით ერთი მესამედით შემცირდა და ერთნიშნა ციფრზე ჩამოვიდა. 2018 წელს კიდევ შემცირდა, თუმცა 2019 წელს ნელნელა დაიწყო მატება, მაგრამ 2021 წლის მონაცემებით მოგების გადასახადის წილი არც პროცენტულად და არც აბსოლუტური მაჩვენებლით არ არის 2016 წლის

მოცულობის ტოლი. მიუხედავად ამისა, ვხედავთ, რომ საშემოსავლო გადასახადის მაჩვენებელი მზარდი ტენდენციით ხასიათდება, რომ არა 2021 წლის მონაცემი. ანალიზისას გვაფერხებს კოვიდ 19-ის პანდემიის შედეგად მიღებული ეფექტი, რაც შესაძლებელს არ ხდის რეფორმის შედეგად მიღებული სრული სურათი დავინახოთ. მიუხედავად ამისა, კონტურები ნათელია და რეფორმა მუშაობს პროგნოზირების მიხედვით.

გავანალიზოთ საშემოსავლო გადასახადი და შემოსავალთან დაკავშირებული საგადასახადო ტვირთის გადანაწილება დასაქმებულსა და დამსაქმებელზე. საშემოსავლო გადასახადი 20%-ა. გარდა ამისა, დასაქმებულებს და დამსაქმებლებს საპენსიო შენატანის სახით ახორციელებს დაუბეგრავი ხელფასის 2%-ს კონტრიბუციას (საპენსიო სქემაში სახელმწიფოც მონაწილეობს, რასაც მოგვიანებით განვიხილავთ). როგორც გერმანიის და ბალტიის ზღვის ქვეყნების შემთხვევაში, საქართველოს მაგალითზეც განვიხილოთ 1000 ერთეული ხელფასის მოცულობა:

თუ ინდივიდს აქვს ხელფასი 1000 ერთეულის მოცულობის (ამ შემთხვევაში ლარი), 2 პროცენტი, 20 ერთეული) უნდა გადაირიცხოს საპენსიო შენატანის ფორმით. დანრჩენილის 20 პროცენტი ანუ 196 ლარი იქნება საშემოსავლო გადასახადი და ხელზე ასაღები ხელფასი დარჩება 784 ლარი. დამსაქმებლის დამატებითი ხარჯი არის საპენსიო შენატანის ხარჯი 20 ლარი. წინა თავიდან გავიხსენოთ, რომ გერმანიაში 1000 ერთეულ დარიცხულ ხელფასზე ხელზე ასაღები თანხა რჩება 814 ერთეული, ესტონეთში 871 ერთეული, ლატვიაში 712 ერთეული, ხოლო ლიეტუვაში 632 ერთეული.

ვინაიდან, გერმანიის ეკონომიკა სტრუქტურულადაა და მოცულობითაც სრულად განსხვავდება საქართველოს ეკონომიკისგან, შევადაროთ ბალტიის ზღვის ქვეყნებს. როგორც ვხედავთ, ყველაზე ნაკლები ტვირთი დასაქმებულზე მოდის ესტონეთში, შემდეგ ლატვიაში და ბოლოს ლიეტუვაში. საგულისხმოა, რომ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების მიხედვით, რაც უფრო განვითარებულია სამეულიდან ქვეყანა, მით ნაკლებია ტვირთი ინდივიდზე. მიუხედავად ამისა, ესტონეთი და ლიეტუვა ტვირთს ანაწილებენ დამსაქმებელზე, რათა არ მოხდეს საბიუჯეტო შემოსავლების შემცირება. ლიეტუვასთან ჩვენი მსგავსება იმაში გამოიხატება, რომ

მინიმალურია დასაქმებულის დარიცხული ხელფასის გათვალისწინებით დამსაქმებელზე დამატებითი გადასახდელების დაწესება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოსთვის საგადასახადო პოლიტიკის მოდელად ესტონეთი იქცა, რითიც ხდება წარმოების ხელშეწყობა და სტიმულირება, თუმცა, მეორეს მხრივ, საქართველომ არ გადადგა ნაბიჯები საშემოსავლო გადასახადის რეფორმის მიმართულებით. როგორც ნაშრომში გაკეთებულმა ანალიზმა აჩვენა, ესტონეთის საგადასახადო პოლიტიკის წარმატება კომპლექსურ მიდგომაზეა დაფუძნებული. საქართველომ კი დაიწყო ბიზნესის სტიმულირება, მაგრამ ამავდროულად არ განახორციელა ინდივიდის ეკონომიკური უსაფრთხოების გაუმჯობესება. ბიზნესს სოციალური გადასახადებიდან მხოლოდ 2 პროცენტია საპენსიო შენატანი აქვს ვალდებული.

განვიხილოთ **მინიმალური ხელფასი** საქართველოში, რომელიც ჯერ კიდევ XX საუკუნეში დაწესდა და შეადგინა 20 ლარი. მას შემდგომ ამ მიმართულებით პოლიტიკა უცვლელია იმ არგუმენტით, რომ მინიმალური ხელფასის ზრდამ შესაძლოა გამოიწვიოს უმუშევრობის ზრდა. გერმანიაში მინიმალური ხელფასი 12 ევროა საათში ([www.destatis.de](http://www.destatis.de)), ესტონეთში კი 3.86 ევრო საათში ([www.emta.ee](http://www.emta.ee)). ესტონეთში თვეში მინიმალური ხელფასი 654 ევროს ოდენობით არის განსაზღვრული. ლატვიაში მინიმალური ხელფასი თვეში 500 ევროს შეადგენს, თუმცა დაგეგმილია შემდეგ წლებში 620 და 700 ევრომდე ზრდა ([eng.lsm.lv](http://eng.lsm.lv)). რაც შეეხება ლიეტუვას, იქ მინიმალური ხელფასი საათში 4,47 ევროა, თუმცა, დაგეგმილია 5.14 ევრომდე ზრდა ([lrt.lt](http://lrt.lt)).

თუ საქართველო თუნდაც ესტონეთის მსგავსად დააწესებდა მინიმალურ ხელფასს 3,86 ერთეულს საათში (ლარს საქართველოს შემთხვევაში), მინიმალური ხელფასის ოდენობა იქნებოდა დაახლოებით 680 ლარი თვეში.

იმისთვის, რომ ვაჩვენოთ მინიმალური ხელფასის მნიშვნელობა, გავანალიზოთ საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები **მედიანური ხელფასის** შესახებ. 2021 წლის მედიანური ხელფასი 900 ლარია, თუმცა რიგ სექტორებში ბევრად ნაკლები. მაგალითად, წყალმომარაგების, კანალიზაციის, ნარჩენების მართვისა და დასუფთავების საკითხებში მომუშავე

ადამიანების ნახევარზე მეტს ხელფასი 625 ლარზე ნაკლები აქვს, ხელოვნების მიმართულებით დასაქმებულთა ნახევარზე მეტს ხელფასი 645 ლარზე ნაკლები აქვს. ასევეა სხვა მიმართულებებიც, თუმცა განსაკუთრებით საგულისხმო და ეკონომიკისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს განათლების სექტორი, სადაც დასაქმებულთა ნახევარს ხელფასი 649 ლარზე ნაკლები აქვს. არის მიმართულებები, სადაც მედიანური ხელფასი 500 ლარიც კია.

საქართველოში არ ფუნქციონირებს **დაუბეგრავი მინიმუმი**. მოქალაქეს რომელსაც აქვს 300 ლარი ხელფასი, ექვითება 20 პროცენტი საშემოსავლო გადასახადი. თუმცა გვაქვს ამ მიმართულებით გამოცდილება, მაგალითად როდესაც 2014 წელს 1800 ლარის ოდენობის წლიური დაუბეგრავი მინიმუმი დაანგარიშდა თითოეულ მოქალაქეზე, რომლის წლიური შემოსავალიც არ აღემატებოდა 6000 ლარს (შემოსავლების სამსახური a). რეფორმამ განვითარება ვერ ჰპოვა და შემდეგ წლებში არ გაგრძელებულა.

**შემოსავლის უსაფრთხოება** ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელია. ადამიანებს სჭირდებათ სტაბილური და სამართლიანი შემოსავალი, რომელიც, პირველ რიგში, მათ მიერ გაწეული შრომის ადეკვატური ანაზღაურებაა. შემოსავლის უსაფრთხოებაში განიხილება როგორც მუშაობის პერიოდის შემოსავალი, ასევე შემოსავალი პენსიაზე გასვლის შემდგომ. აქედან გამომდინარე, სტაბილური ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანია საპენსიო სისტემის რაციონალური აღსრულება.

**საპენსიო სისტემის ეკონომიკური პოლიტიკა** ერთ-ერთი მნიშვნელოვან ეკონომიკურ საკითხს წარმოადგენს მსოფლიო ქვეყნებისთვის. ვინაიდან, სხვადასხვა მიზეზის გამო, იქნება ეს ქვეყნების მოსახლეობის დაბერების პროცესი, მნიშვნელოვანი დემოგრაფიული ცვლილებები, ეკონომიკური მაჩვენებლების მკვეთრი ცვლილება თუ სახელმწიფოს საბიუჯეტო შემოსულობებისა და ხარჯვითი ნაწილის ანალიზი, ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები იწყებენ ფიქრს ისეთი საპენსიო სქემის შემუშავებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც სამომავლოდ პენსიონერთა კეთილდღეობის შენარჩუნებასა და ზრდას, ასევე არსებულ რეალობაში რეფორმის

უმტკივნელოდ გატარებასა და ეკონომიკური ზიანის თავიდან აცილებას (ჩიტიშვილი ნ., 2019).

როგორც წესი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანა ახორციელებს რამდენიმე დონიან საპენსიო სქემას. მსგავსად იყო წინა თავში განხილულ ქვეყნებშიც.

თავად საპენსიო სისტემის არსებობა დემოკრატიული ქვეყნისა და საბაზრო ეკონომიკისთვის ერთ-ერთ სენსიტიური საკითხია, ვინაიდან და რადგანაც, ვიცით რომ „სოციალური სიმშვიდის“ არსი უზრუნველყოფს დასაქმებულებისა და პენსიონერების ეკონომიკური ინტერესების თანხვედრას, რაც, კოორდინირებული მოქმედებებით, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებს აძლევს საშუალებას გამოიყენონ ისეთი ეკონომიკური ბერკეტები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ეკონომიკურ ზრდის სტიმულირებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას.

**ეკონომიკური უსაფრთხოების კრილში** საპენსიო სისტემის ჯანსაღ ფუნქციონირებას სხვადასხვა მიმართულებით აქვს მნიშვნელობა. მათ შორის პირველი ის, რომ ინდივიდების ეკონომიკური უსაფრთხოება იყოს დაცული მათი პენსიაზე გასვლის შემდგომ და მეორე ის, რომ საპენსიო ხარჯების არარაციონალური ზრდის შედეგად არ გაიზარდოს ბიუჯეტის დეფიციტი. ამ პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელი იყო ერთის მხრივ საპენსიო თანხების აკუმულირება და მეორეს მხრივ ისეთი საპენსიო პაკეტის შეთავაზება, რომელიც ღირსეულად ჩაანაცვლებს დასაქმებულის ხელფასს პენსიაზე გასვლის შემდგომ.

თუ საშუალო ხელფასს და ასაკობრივი პენსიას შევადარებთ, ვნახავთ, რომ ჩანაცვლების კოეფიციენტი დაბალია. ქვემოთ მოცემული ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ პენსიაზე გასვლის შემდგომ ადამიანს 5-ჯერ უმცირდება ცხოვრების ხარისხი, მისი შემოსავლის გათვალისწინებით.

*ცხრილი N 10 საშუალო ხელფასის ასაკობრივი პენსიით ჩანაცვლების კოეფიციენტი 2018-2021წწ*

წელი	2018	2019	2020	2021
საშუალო ხელფასი	1068,3	1129,5	1191,0	1304,5

ასაკობრივი პენსია	180	200	220	240
ჩანაცვლების კოეფიციენტი	16,8%	17,7%	18,5%	18,4%

წყარო: სტატისტიკის სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით ავტორის გამოთვლები

დაგროვებითი საპენსიო სისტემის ადმინისტრირებისა და სამართლებრივი რეგულირებისთვის მიღებულ იქნა „საქართველოს კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ“. ახალი კანონი ეფუძნება დაგროვებით საპენსიო სქემას და განსხვავებულია დასაქმებულებისა და თვითდასაქმებულებისთვის. დასაქმებულების მონაწილეობა საპენსიო სისტემაში სავალდებულოა, თვითდასაქმებულებს კი სურვილიდან გამომდინარე, ნებაყოფლობით შეუძლიათ ჩაერთონ სქემაში. ყველა დასაქმებულს ექნება ინდივიდუალური ანგარიში, რომელზეც დამსაქმებელი ჩარიცხავს დაუბეგრავი შემოსავლის 2%-ს, თუმცა მხოლოდ წლიურად 60 000 ლარის ფარგლებში მისაღები შემოსავლიდან. 60 000 ლარზე მეტი შემოსავლიდან 2%-ის დაქვითვა არ მოხდება. 2%-ის გადარიცხვა ანგარიშზე მოხდება დამსაქმებლის მხრიდან, ხოლო 2%-ს დასაქმებულის სახელით ასევე დამსაქმებლის მხრიდან. თვითდასაქმებულების შემთხვევაში ისინი თვითონ რიცხავენ ანგარიშზე ყოველთვიური შემოსავლის 4%-ს (საგულისხმოა, რომ თვითდასაქმებულმა შესაძლოა სულაც არ გამოიყენონ სახელმწიფოს დაგროვებითი პენსია და მიმართონ კერძო სადაზღვევო კომპანიებს, რომლებიც მოქალაქეებს სთავაზობენ საპენსიო დაზღვევას, რაც ფაქტობრივად დაგროვებითი პენსიის ერთ-ერთი მაგალითია). გარდა ამისა კიდევ 2%-ის კონტრიბუციას მოახდენს სახელმწიფო ანუ, როგორც იკვეთება, საპენსიო შენატანი იქნება 6%, რომელსაც დასაქმებული, დამსაქმებელი და სახელმწიფო თანაბრად გაიყოფენ.

საპენსიო სქემის ადმინისტრირების მთავარი საფრთხე სააგენტოს მიერ აკუმულირებული ფინანსური რესურსების შემდგომი ინვესტირებაა. როგორც საპენსიო სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით ირკვევა 2021 წლის საპენსიო სააგენტოს წმინდა ამონაგები 4.7%-ა. თუმცა, განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს საპენსიო სააგენტოს ამონაგებს ინფლაციასთან შედარებით, რათა განვსაზღვროთ რამდენად კონკურენტუნარიანია გაკეთებული ინვესტიციები და

შემდეგს თუ ვერა სამომავლო პენსია მოქალაქეთა კეთილდღეობის დონის შენარჩუნებას.

2020 წელს პარლამენტმა დაამტკიცა პენსიის ინდექსირების წესი (ფინანსთა სამინისტრო), რათა არ მოხდეს არსებული სახელმწიფო პენსიის გათვალისწინებით ჩანაცვლების კოეფიციენტის შემცირება და ინფლაციის გათვალისწინებით მოხდეს ყოველწლიურად პენსიის ზრდა. ინდექსირების შემდგომ გაჩნდა საშიშროება, რომ შესაძლებელია მოხდეს აგფლაცია, ანუ აგრარული ინფლაცია და კიდევ უფრო საფრთხილოა თავად ინდექსირების პრეცედენტის შექმნა, რაც შეიძლება „გადაიღვაროს“ ხელფასებზეც, რამაც შემდგომში შესაძლოა მიგვიყვანოს „ინფლაციურ სპირალამდე“ (პაპავა ვ. 2020 a).

უმუშევრობის და დასაქმების განხილვისას, აუცილებელია გავანალიზოთ დასაქმებისა და განათლების ურთიერთკავშირი. ეკონომიკური განვითარებისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს განათლებასა და დასაქმებას შორის შესაბამისობის ანალიზია, რასაც განაპირობებს განათლების ეფექტიანობის კვლევა. ფორმალურ განათლების საფეხურსა და საქმიანობის ტიპს შორის განასხვავებენ შემდეგ შეუსაბამობებს (ამაშუკელი და სხვანი 2017, გვ 36-37):

- ვერტიკალური - ვერტიკალური შეუსაბამობა გულისხმობს სიტუაციას, როდესაც დასაქმებულის განათლების დონე იმაზე უფრო მაღალი ან დაბალია, ვიდრე მისი სამუშაოს შესრულება მოითხოვს, შინაარობრივი და/ან პოზიციური თვალსაზრისით;
- ჰორიზონტალური - ჰორიზონტალური შეუსაბამობა გულისხმობს, რომ ინდივიდი დასაქმებულია, მაგრამ არა თავისი პროფესიით/სპეციალობით.

არახალია, რომ საქართველოში დასაქმებულთა დიდ ნაწილს აქვს შეუსაბამობები სამსახურეობრივ პოზიციასთან, რაც უპირველეს ყოვლისა გამოწვეულია ფინანსური რესურსების არ ქონით და განსაკუთრებით ახალგაზრდების მიერ პროფესიასთან შეუსაბამო პოზიციებზე მუშაობით. ეკონომიკური უსაფრთხოება არ გულისხმობს მოკლევადიან ფინანსურ უსაფრთხოებას და ბევრად მეტს ნიშნავს. ეკონომიკურ სუბიექტს უნდა შეეძლოს გარემოზე ადაპტირება, ეკონომიკურ პროცესებზე მორგება, ანალიზი და სინთეზი. ეკონომიკური სუბიექტი უნდა იყოს მოტივირებული

გრძელვადიან სარგებელზე და მისთვის არ უნდა იყოს მნიშვნელოვანი მხოლოდ მოკლევადიანი ფინანსური უზრუნველყოფა. აქ ჩნდება სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილების მიმღები პირის ჩართვა საჭირო. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ისეთი ჩარჩო პირობების ფორმირება და ისეთი ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბება, რომელიც ეკონომიკურ სუბიექტს დაუტოვოს არჩევანი თვითონ გადაწყვიტოს თავისი სამომავლო განვითარების მიმართულებები და არ იყოს იძულებული უარი თქვას გრძელვადიანი განვითარების გზაზე.

სტატისტიკის მიხედვით, მოსწავლეთა უმრავლესობა სკოლის დამთავრების შემდგომ ცდილობს ან აგრძელებს სწავლას უმაღლეს სასწავლებელში. მაგალითად, 2022 წლის დასაწყისში ქვეყანაში დაახლოებით 46 000 მე-12 კლასელი მოსწავლე იყო, სასწავლო წლის ბოლოს ეროვნულ გამოცდებზე დაახლოებით 41 000 აბიტურიენტი გავიდა და აქედან 32 1000 გახდა სტუდენტი, რაც იმას ნიშნავს, რომ მე-12 კლასელთა დაახლოებით 89% ირჩევს უმაღლესი განათლების მიღებას (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური a). ევროპის ქვეყნებში, მათ შორის გერმანიაშიც, ძალიან განვითარებულია პროფესიული სწავლება. გარდა უნივერსიტეტებისა, გერმანიაში ასევე პოპულარულია გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტები (Fachhochschule) და დაახლოებით 37 პროცენტი სწავლას სწორედ პროფესიული განათლების მიმართულებით აგრძელებს (mygermanuniversity). გერმანიაში განსაკუთრებით საინტერესოა გამოყენებითი მეცნიერებების შესწავლა, ვინაიდან პროფესორები არიან პრაქტიკული გამოცდილების მქონე და შესაძლოა ისეთ კომპანიებთან ქონდეთ თანამშრომლობა, როგორებიცაა BMW, AUDI, Siemens და ა.შ. პროფესიული განათლების მიღებისთვის გარდა თეორიულისა, საჭიროა 18 კვირიანი პრაქტიკული გამოცდილების მიღებაც, რაც, ფაქტობრივად, შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს სწავლის დასრულებისთანავე მიმზიდველი კადრი იყოს კომპანიებისთვის. გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტების დასრულების შემდგომ ინდივიდებს არ აქვთ დოქტორანტურაზე სწავლის გაგრძელების საშუალება (Chaudhry D. 2021).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ მოხდება პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და მოსწავლეთა ნაწილი თავიდანვე გადაწყვეტს მისთვის მომზადებას, დაიზოგება უმაღლეს განათლებაზე გაწეული ხარჯები, დრო,



ფინანსური რესურსები და ა.შ. რაც გავლენას მოახდენს უმუშევრობის შემცირებასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

**ბიზნესის ეკონომიკური უსაფრთხოების** ანალიზისთვის, პირველ რიგში, განვიხილოთ ბიზნესის დაწყების შესაძლებლობები. მსოფლიო ბანკის 2020 წლის მონაცემებით საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივით მსოფლიოში მე-7 ადგილს იკავებდა (2021 წლიდან Doing Business-ის პროექტი შეწყდა და ამ დროისთვის მსოფლიო ბანკი მუშაობს ახალ შეფასებით სისტემაზე, სავარაუდო დასახელებით Business Enabling Environment (ბიზნესის ხელშემწყობი გარემო), რომლის მონაცემებიც ამ დროისთვის არ არის საჯარო (BEE).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველომ ბიზნესის სტიმულირებისთვის მოგების გადასახადის ესტონური მოდელი დაამკვიდრა, თუმცა, გარდა ამისა, შედგენილია კრიტერიუმები, რომლითაც სხვადასხვა ბიზნესს შეღავათები უწესდება, ასეთებია მაგალითად (საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება):

- **მიკრო ბიზნესი** - ეს სტატუსი განკუთვნილია გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირისთვის, რომელიც არ არის აუცილებელი იყოს მეწარმე ფიზიკური პირი, ის არ უნდა იყოს რეგისტრირებული დღგ-ს გადამხდელად, ოჯახის წევრის გარდა არ უნდა იყენებდეს დაქირავებულ პირთა შრომას და კალენდარული წლის ჯამური შემოსავალი არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ლარს. მიკრო ბიზნესი არ იხდის საშემოსავლო გადასახადს, არ აქვს სალარო აპარატის ვალდებულება, არ აღრიცხავს შემოსავლებსა და ხარჯებს და არ იხდიან მიმდინარე გადასახდელებს;
- **მცირე ბიზნესი** - ეს სტატუსი განკუთვნილია ფიზიკური პირისთვის, რომელიც რეგისტრირებულია ინდივიდუალურ მეწარმედ და მისი წლიური ჯამური შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობიდან არ აღემატება 100 000 ლარს. მცირე ბიზნესს მიკრო ბიზნესისგან განსხვავებით ევალება შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვა. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 1 პროცენტით;
- **მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის** მქონე ბიზნესები გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან.

ბიზნესის ხელშეწყობის კიდევ ერთი მაგალითია სსიპ „აწარმოე საქართველოში“, სახელმწიფო უწყება, რომელიც საქმიანობის მიზნად ისახავს სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებას, კერძო სექტორის განვითარებას, საინვესტიციო კლიმატის პოპულარიზაციასა და ექსპორტის ხელშეწყობას. სააგენტო მუშაობს სამი მიმართულებით, ესენია საქართველოში ბიზნესის წარმოება, ქართული წარმოების ექსპორტზე გატანა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის ღონისძიებების გატარება. გამოქვეყნებული შედეგების მიხედვით 2021 წლის მონაცემებით ინდუსტრიული მიმართულების კომპონენტის ფარგლებში მხარდაჭერა გაეწია 494 საწარმოს, 152 სასტუმროსა და 6 ტურისტული სერვისის მიმწოდებელ ობიექტს. ინვესტიციის ჯამურმა მოცულობამ შეადგინა 1.8 მილიარდ ლარზე მეტი და შეიქმნა 24 205 სამუშაო ადგილი (Enterprisegeorgia).

**ბიზნესის და ინდივიდის ეკონომიკური უსაფრთხოება ზოგიერთ შემთხვევაში თანხვედრაში ვერ მოდის ერთმანეთთან.** მაგალითად, ბიზნესისთვის პრიორიტეტულია რესურსების ოპტიმიზაცია, ნაკლები სახელფასო ხარჯი, პროდუქტის უფრო მაღალ ფასად გაყიდვა და მეტი მოგების მიღება, მაშინ როდესაც ინდივიდისთვის შემოსავლის უსაფრთხოების დაცულობისთვის მაღალი შემოსავლის უზრუნველყოფაა, რაც დანაზოგების გაკეთების და უსაფრთხო მომავლის დაგეგმვის საშუალებას მისცემს. აქ იკვეთება სახელმწიფოს როლი, რომელმაც უნდა დაარეგულიროს ურთიერთობები დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის, რომელმაც უნდა იზრუნოს მსხვილი ბიზნესების მონიტორინგზე და მონოპოლიებისგან გამოწვეული საფრთხეების შეზღუდვაზე. ამასთანავე, არ უნდა მოხდეს ბიზნესის საქმიანობის შეზღუდვა და თავისუფალი ბაზრის პრინციპების უგულვებელყოფა, რაც გამოიწვევს როგორც ადგილობრივი წარმოების, ასევე ინვესტიციების შემცირებას, რასაც მოყვება ეკონომიკის შემცირებაც რაც კიდევ უფრო უარეს შედეგს გამოიწვევს ინდივიდის ეკონომიკური უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესებაზე. სახელმწიფომ თავის მხრივ უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი წარმოების დაცვაც, რაც უკავშირდება საგარეო ვაჭრობას და იმპორტირებული პროდუქტების დომინირებას. საერთაშორისო ვაჭრობა კი თავის მხრივ პრიორიტეტულია როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე ბიზნესებისთვის. ბიზნესს აქვს გაფართოების და ბაზრების დივერსიფიცირების საშუალება, სახელმწიფოს კი

ეკონომიკის გააქტიურებით, დადებითი სავაჭრო ბალანსით ეკონომიკის გაჯანსაღების შესაძლებლობა.

ბიზნესის და ინდივიდის ეკონომიკური ინტერესების თანხვედრის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითი **სოციალური მეწარმეობაა**, რომელიც გულისხმობს ბიზნესის წარმოებით ფინანსურის გარდა სოციალური სარგებლის შექმნას საზოგადოებისთვის. სოციალური მეწარმეობის განვითარებისთვის საჭიროა სახელმწიფოს მიერ მასტიმულირებელი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, სოციალური მეწარმეობის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება და მისი განხორციელების ინსტრუმენტარიუმის განსაზღვრა, საგადასახადო შეღავათების დაწესება (საგადასახადო განაკვეთის შემცირება და საგადასახადო კრედიტი ანუ გადასახადის თანხის შემცირება) და ა.შ. (ერქომაიშვილი გ. 2019, გვ79).

### 3.3 სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების გაუმჯობესების გზები საქართველოში

როგორც აღვნიშნეთ, საგარეო ვაჭრობის განვითარება, ჯაჭვური რეაქციით, ეკონომიკური უსაფრთხოების გაუმჯობესების ფაქტორად შეიძლება იქცეს ყველა ეკონომიკური სუბიექტისთვის.

საქართველოს ყველაზე მსხვილი საექსპორტო პარტნიორები საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციის მიხედვით 2022 წლის სამი კვარტლის მონაცემებით არიან ჩინეთი (14%), აზერბაიჯანი(11,9%), რუსეთი(11,5%), სომხეთი(8,9%) და თურქეთი(8,6%). უმსხვილესი საექსპორტო საქონელი კი არის სპილენძის მადნები და კონცენტრატები (18.4%), მსუბუქი ავტომობილები (14.4%), ფეროშენადნობები (10.5%), აზოტოვანი სასუქები (5.1%), ყურძნის ნატურალური ღვინოები (4.2%). როგორც ვხედავთ, უმსხვილესი პარტნიორი ქვეყნების უმრავლესობა მეზობელი ქვეყნებია, ასევე ჩინეთი. თუ ქვეყნების ჯგუფზე ვისაუბრებთ, დსთ-ს ქვეყნების წილი საქართველოს ექსპორტში 45,8%-ა, ხოლო ჯამურად ევროკავშირის ქვეყნების წილი 14.9%. უპირველეს ყოვლისა მთავარი კითხვაა რატომ ვერ სარგებლობს საქართველო სათანადოდ ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით. ამას შეიძლება სხვადასხვა მიზეზი განაპირობებდეს:

1. წარმოების ხარისხი და ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობა - რაც შეიძლება მარტივი მისაღწევი არ იყოს. საჭიროა საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც ლოკალური მწარმოებლების შესაძლებლობებით რთულია. ამისთვის საჭიროა ევროპული ინვესტიციების და მხარდაჭერის გაძლიერება;
2. მწარმოებელთა არჩევანი მოახდინონ ბაზრების დივერსიფიცირება და გაწიონ დამატებითი ხარჯები პროდუქტების გაუმჯობესებაზე.

ორივე საკითხი რთული მოსაგვარებელია, ფაქტია, რომ მხოლოდ შეთანხმების გაფორმება ვერ იძლევა სათანადო შედეგს, თუ აღსრულების ნაწილშიც არ მოხდა ძირეული ნაბიჯების გადადგმა. მწარმოებლებმა, შესაძლოა ბიზნესის ინტერესებიდან გამომდინარე მოკლევადიანი არჩევანი გააკეთონ და არ გაწიონ დამატებითი ხარჯები ახალი ბაზრების ათვისებისთვის. სტატისტიკის მიხედვითაც, ექსპორტიორები

ირჩევენ დსთ-ს ქვეყნებს, სადაც ნაცნობი ბაზრებია, პროდუქტიც შეუფერხებლად მიეწოდება, ტრანსპორტირებაც უფრო მარტივია და დამატებითი ძალისხმევის გარეშე შესაძლებელია ბიზნესის განხორციელება, თუმცა ეს თავისთავად იმას ნიშნავს რომ მწარმოებელი არ ფიქრობს ბიზნესის განვითარებასა და გრძლევადიანი მიზნების დასახვაზე. სახელმწიფოს როლი კვლავ შეიძლება განისაზღვროს სხვადასხვა პროგრამების შეთავაზებით, რომელიც გაზრდის როგორც ინტერესს, ასევე მოიზიდავს ინვესტიციებს და შესაძლებელს გახდის წარმოების მაღალი სტანდარტების შემოღებასა და ბიზნეს ოპერატორების ევროპულ ბაზარზე ორიენტირის მიცემას.

როგორც ვხედავთ რუსეთი საქონლის ექსპორტით მე-3 ადგილზეა. რუსეთის წილი საქონლის ექსპორტის მთლიან მოცულობაში ყოველწლიურად მზარდი ტენდენციით აღინიშნება. 2015 წლის მონაცემებთან შედარებით 2021 წლის მოცულობა პროცენტულად თითქმის გაორმაგებულია.

*ცხრილი N 11 რუსეთისა და ევროკავშირის წილი საქართველოს საქონლის ექსპორტში 2015-2021წწ*


წელი	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
რუსეთში ექსპორტის წილი საქონლის მთლიან ექსპორტში	7,4%	9,8%	14,49%	12,95%	13,08%	13,19%	14,38%
ევროკავშირში ექსპორტის წილი საქონლის მთლიან ექსპორტში	28,28%	26%	23,39%	21,09%	21,21%	20,86%	16,9%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური b

ცხრილში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ საქართველოს ექსპორტის წილი ევროკავშირის ქვეყნებში ყოველწლიურად კლებადი ტენდენციით ხასიათდება. ეს არ ნიშნავს, რომ ევროკავშირში ექსპორტი მცირდება 2015 წლის დაახლოებით 623 მილიონი დოლარიდან 2021 წელს დაახლოებით 717 მილიონ დოლარამდე გაიზარდა, თუმცა, ასეთი პროცენტული კლება აშკარას ხდის, რომ

ქართული წარმოება ვერ მიყვება ევროკავშირის მოთხოვნებს და ევროკავშირის ბაზარს ვერ იყენებს განვითარებისთვის. მაშინ როცა რუსეთში ექსპორტი 2015 წლის მონაცემებით დაახლოებით 162 მილიონი დოლარიდან 2021 წელს დაახლოებით 610 მილიონ დოლარამდე გაიზარდა.

დიაგრამა N 6 რუსეთისა და ევროკავშირის წილი საქართველოს საქონლის ექსპორტში 2015-2021წწ



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური b

ზემოაღნიშნული ტენდენცია საფრთხის შემცველია საქართველოს ეკონომიკისთვის, რადგან ნათელია, რომ იზრდება რუსეთზე დამოკიდებულების ხარისხი, რაც ხელს შეუშლის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებას და ქვეყნის ეკონომიკის ჯანსაღად ფუნქციონირებას. ტენდენცია ეკონომიკურ საფრთხეებს ქმნის სახელმწიფოსთვისაც და გრძელვადიან პერსპექტივაში ბიზნესისთვისაც. პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების განვითარების პრიორიტეტებს.

რაც შეეხება იმპორტს, საქართველოს ყველაზე მსხვილი საიმპორტო პარტნიორები საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციის მიხედვით 2022 წლის სამი კვარტლის მონაცემებით არიან თურქეთი (17,7%), რუსეთი (13,1%), ჩინეთი (8,7%), აშშ (6,8%) და აზერბაიჯანი (5%). უმსხვილესი საიმპორტო საქონელი კი არის მსუბუქი ავტომობილები (11,4%), ნავთობი და ნავთობპროდუქტები (10,7%), სპილენძის მადნები და კონცენტრატები (6%), სამკურნალო საშუალებები

დაფასოებული (3.1%), ნავთობის აირები და სხვა აირისებრი ნახშირწყალბადები (3,1%). თუ ქვეყნების ჯგუფზე ვისაუბრებთ, დსთ-ს ქვეყნების წილი საქართველოს იმპორტში 27,5%-ა, ხოლო ჯამურად ევროკავშირის ქვეყნების წილი 22,3%.

*ცხრილი N 12 რუსეთიდან და ევროკავშირიდან საქონლის იმპორტის წილი მთლიან იმპორტში 2015-2021წწ*

წელი	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
რუსეთიდან იმპორტის წილი საქონლის მთლიან იმპორტში	8,6%	9,3%	9,8%	10%	10,3%	11,03%	10,13%
ევროკავშირიდან იმპორტის წილი საქონლის მთლიან იმპორტში	27,26%	28,39%	26,39%	26,20%	24,21%	22,98%	22,86%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური c

როგორც ვხედავთ, რუსეთიდან იმპორტი სტაბილურად იზრდება, გარდა 2021 წლის მცირე კლებისა. მიუხედავად ამისა, მოცულობით 2015 წელთან შედარებით თითქმის გაორმაგებულია რუსული იმპორტი, იყო დაახლოებით 625 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობის და 2021 წელს რუსული იმპორტის მოცულობა მილიარდ დოლარს აღემატება.

ევროკავშირიდან იმპორტი კი პროცენტულადაც იკლებს და მოცულობითაც. მაგალითად 2018 წელს უფრო 145 მილიონი დოლარით მეტი იმპორტი განხორციელდა ევროკავშირიდან, ვიდრე 2021 წელს.

**ეკონომიკური უსაფრთხოების კრილში**, რა თქმა უნდა, იმპორტის კლება ადგილობრივი წარმოებისა და ექსპორტის ზრდის პარალელურად პოზიტიურად კი იქნებოდა, მაგრამ რეალურად იმპორტი იზრდება, მაგრამ არა ევროკავშირის, არამედ რუსეთის ხარჯზე, რაც იწვევს რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულების ზრდას, რაც თავისთავად საზიანოა ქვეყნისთვის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების, რისკების დაზღვევისა და საფრთხეების აცილების კონტექსტში. საქართველომ 2021

წელს 10 მილიარდზე მეტის იმპორტი და 4 მილიარდზე მეტის ექსპორტი განახორციელა, რაც სავაჭრო ბალანსის მკვერად უარყოფით სალდოზე მიგვანიშნებს. საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო საქონელი არის, ფაქტობრივად, ბუნებრივი რესურსები, ავტომობილების რეექსპორტი და ღვინო (რომლის ნახევარიც რუსეთში გადის ექსპორტზე). საქართველოს საგარეო ვაჭრობა არსებული მდგომარეობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის ძირეულ ცვლილებებს საჭიროებს. მდგრადი განვითარების კუთხი კი თაობებს შორის რესურსების გადანაწილებისა და მოხმარების პრობლემაც იკვეთება. საქართველოს ეკონომიკა საერთაშორისო ბაზრების დივერსიფიცირების საპირისპიროდ უფრო და უფრო მეტად უკავშირდება ქვეყნის სტრატეგიული განვითარებისთვის არასახარბიელო მდგომარეობას.

ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხია ეროვნული ვალუტის სტაბილურობა. ეროვნული ვალუტის სტაბილურობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საერთაშორისო ფულადი გზავნილები, რომლებიც განსაკუთრებით გაიზარდა რუსეთ-უკრაინის ომის შემდგომ, რაც დაკავშირებულია საქართველოში რუსეთიდან იმიგრანტების მიღებას. მაგალითად, 2022 წლის სექტემბერში საქართველოში გამოიგზავნა 387.2 მილიონი დოლარის ფულადი გზავნილი, საიდანაც რუსეთს წილი 44.93%ა, ხოლო ევროკავშირის ქვეყნების 23,76 პროცენტი. იმისთვის, რომ გავანალიზოთ ომის გავლენა, შევადაროთ წინა წლების მაჩვენებლებს. 2021 წლის სექტემბერში საქართველოში ამ წლის დაახლოებით ნახევარი 209,7 მილიონი დოლარის ფულადი გზავნილი შემოვიდა, საიდანაც 40.14% ევროკავშირის ქვეყნებზე, ხოლო 18.39% რუსეთზე მოდიოდა. მსგავსი სიტუაცია იყო 2020 წლის სექტემბერში - 192.7 მილიონი დოლარი, აქედან 39.34% ევროკავშირის ქვეყნები, ხოლო 18.26% რუსეთი და 2019 წლის სექტემბერშიც - 149.8 მილიონი დოლარი, აქედან 36.39% ევროკავშირის ქვეყნებიდან, ხოლო 24.24 პროცენტი რუსეთიდან.

ეკონომიკური უსაფრთხოების კრილში ფულადი გზავნილები დავუკავშიროთ 2 საკითხს:

- შრომითი მიგრაცია საქართველოდან - სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2021 წლის მონაცემებით საქართველოდან დაახლოებით 100 000 მოქალაქეა



მიგრირებული სხვადასხვა ქვეყანაში. ეს რიცვი 2019 წლის მონაცემზე ნაკლები და თითქმის იგივეა რაც 2018 წელს. გამონაკლისი იყო 2020 წელი, როდესაც კოვიდ პანდემიის გამო მიგრირებული მოსახლეობის ნაახლოებით მესამედი ქვეყანაში დაბრუნდა (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური d).

- **მკვეთრად გაზრდილი ვიზიტორების/იმიგრანტების რაოდენობა** - რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდგომ საქართველოში უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა, განსაკუთრებით კი რუსეთიდან, ბელორუსიიდან და უკრაინიდან.

როგორი გავლენა აქვს საქართველოს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე ზემოაღნიშნულ საკითხს?

დავიწყით საქართველოდან იმიგრირებულ მოქალაქეებზე. როგორც წესი მოქალაქეთა დიდი ნაწილი ვინც ქვეყანას ტოვებს, საქმდება უცხოურ ქვეყნებში შემოსავლის მიღების მიზნით, რომელთა საკმაოდ დიდ ნაწილსაც გზავნიან საქართველოში თავიანთი ოჯახების დასახმარებლად. შრომითი მიგრირებულებიდან ერთნი არიან მოქალაქეები, რომელთაც არსებული კვალიფიკაციით ვერ მოახერხეს ქვეყანაში დასაქმება და ეკონომიკური უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის მიმართეს საზღვარგარეთ გადაცხოვრებას. მეორენი კი ახალგაზრდები, რომელთა ნაწილიც შესაძლოა შრომით მიგრაციას მიმართავდეს კვალიფიკაციასთან შეუსაბამო შრომის ანაზღაურების და უსამართლო შრომის პირობების გამო. ტვინების გადინების პრობლემა საქართველოსთვის არახალია და მართლაც ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ ქვეყნის განვითარებაში წვლილის შეტანა, ტოვებენ ქვეყანას და მიემგზავრებიან ეკონომიკური უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის სხვა ქვეყნებში.

გამართლებულია თუ არა ქვეყნის ეკონომიკისთვის მიგრირებული მოქალაქეების შინ დაბრუნება? ინდივიდის ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის სხვა ქვეყანაში წასვლა, მითუმეტეს თუ ეს გამოწვეულია იძულებით, არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, უარყოფითად შეგვიძლია დავახასიათოთ. ქვეყანა, კი იმ შემთხვევაში თუ უზრუნველყოფს მიგრირებული მოქალაქეების შინ დაბრუნებას, ერთის მხრივ მიიღებს გაზრდილ უმუშევრობას

(სულ მინიმუმ მოკლე ვადიან პერიოდში) და მეორეს მხრივ მილიონობით ლარის მოცულობის გზავნილების შემცირებას. აქედან გამომდინარე, **სახელმწიფოს და ინდივიდის ეკონომიკური უსაფრთხოება** თანხვედრაში ვერ მოდის, განსაკუთრების მოკლევადიან პერიოდში.

სახელმწიფო ერთის მხრივ ატარებს ემიგრანტების ქვეყანაში დაბრუნებისა და რეინტეგრაციისთვის დამხმარე პროგრამებს, მაგალითად 4000 ლარის ოდენობით დახმარება ბიზნესის წამოწყებისთვის და ა.შ. თუმცა რამდენად რეალურია ეს პროგრამები ემიგრანტების შინ დაბრუნებისთვის კვლევის საგანია (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო).

რაც შეეხება რუსი და ბელორუსი ვიზიტორების ქვეყანაში შემოსვლას, მიმდინარე წლის მოვლენება ცხადი გახადა, რომ ქვეყანაში შემოვიდნენ ვიზიტორები, რომელთა ნაწილმაც საქართველო ტრანზიტად გამოიყენა, ნაწილი კი ქვეყანაში თვეების განმავლობაში დარჩა, შეიძინეს უძრავი ქონება, დაარეგისტრირეს ბიზნესები და ნაწილმა მოქალაქეობაც კი მოითხოვა/მიიღო. მოკლევადიან პერსპექტივაში ნათელიაა, რომ ყოველივე ეს საქართველოს ეკონომიკაზე დადებითად აისახა, რადგან ფული შემოვიდა როგორც ფულადი გზავნილების სახით, ასევე ჩამოსული ვიზიტორების ადგილზე დანახარჯების გაწევით, თუმცა რამდენად გრძელვადიანი იქნება ეს ეფექტი, ამაზე პასუხის გაცემა რთულია, ვინაიდან მსოფლიო ჯერ კიდევ გაურკვევლობაშია რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით. მხარჯველობითუნარიანი რუსების საქართველოში დიდი ხნით დაყოვნება გამოიწვევს ერთი მხრივ ეკონომიკის ზრდას, მეორე მხრივ კი ხელს შეუწყობს ინფლაციური ფაქტორების ამოქმედებას, რაც ცხოვრებას კიდევ უფრო გაუძვირებს ადგილობრივ მაცხოვრებლებს და მათი ეკონომიკური უსაფრთხოება გაუარესდება.

**სახელმწიფოს და ინდივიდის ეკონომიკური უსაფრთხოებები** აქაც შეიძლება ვერ მოდიოდეს თანხვედრაში. თუმცა, საგულისხმოა რუსული ბიზნესების საქართველოში ფუნქციონირების მიზნების განხილვაც, რაც ამ ეტაპზე რთული შესაფასებელია, თუმცა საერთაშორისო ურთიერთობების ფარგლებში შესაძლოა შეიცავდეს არაერთ რისკ ფაქტორს, რაც განსაკუთრებით გრძელვადიან პროცესში გამოავლენს თავს, ასევე, ეს ყველაფერი დამატებით მიჯაჭვულობას ქმნის რუსეთთან,

რაც საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიულ განვითარებასთან შეუსაბამოა.

როდესაც განვიხილავთ ეროვნული ვალუტის სტაბილურობას, მნიშვნელოვანია თემის ლოგიკური გაგრძელებით შევაფასოთ საქართველოს ლარიზაციის პოლიტიკა. განვიხილოთ მაგალითები:

- „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ ორგანულ კანონში შევიდა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერი საქონლის ან მომსახურების ფასის გამოქვეყნება იურიდიული პირების მიერ სავალდებულოა მხოლოდ ლარით. ეს ცვლილება ძალაში შევიდა 2017 წლის 1 ივლისიდან.“ მიუხედავად იმისა, რომ ცვლილება 5 წლის წინ შევიდა ძალაში, აღსრულების ნაწილი შეფერხებით ფუნქციონირებს. მაგალითად, უძრავი ქონების, ან ავტომობილების სავაჭრო პორტალებს დაემატათ ვალუტის ცვლილების დილაკი და მომხმარებელს შეუძლია ნახოს ფასი როგორც ლარში, ასევე დოლარში. სხვადასხვა სისტემებში მსგავსად განხორციელებული ლავირების საშუალების არსებობის გამო, შეიძლება ითქვას, რომ ამ ცვლილებას თვისებრივი შედეგი არ აქვს და მიზნების განხორციელება ვერ მოხერხდა;
- „იმისათვის რომ მსესხებელი დაცული იყოს სავალუტო რისკებისაგან, მოხდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის შედეგად მცირე ზომის სესხები (200 ათას ლარამდე 2019 წლიდან) გაიცემა მხოლოდ ეროვნული ვალუტით.“ მოცემულ გადაწყვეტილება ერთის მხრივ ამცირებს სავალუტო რისკებს, ვინაიდან მოქალაქეების სესხებს აიღებენ ლარში, თუმცა მეორეს მხრივ, ინდივიდის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე შესაძლოა იმაზე უფრო უარყოფითად აისახოს, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. გარდა ეროვნული ვალუტისა, ცვლილება ითვალისწინებს ცვლილებებს სესხის მომსახურების კოეფიციენტშიც. მაგალითად, მოქალაქეს, რომელსაც აქვს საშუალო ხელფასის მოცულობის შემოსავალი, 2021 წლის მონაცემით 1304,5 ლარი, წესის მიხედვით სესხის მომსახურებისთვის შეუძლია ყოველთიურად გადაიხადოს 25%, ანუ 326 ლარი (რომელიც მოიცავს როგორც სესხის ძირ თანხას, ასევე პროცენტს). წელიწადში შეუძლია გადაუხადოს  $326 \cdot 12 = 3912$ , 10 წელში 39 120 ლარი. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ასევე ის, რომ რეფინანსირების

განაკვეთი ამ დროისთვის 11 პროცენტამდეა გაზრდილი, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოს მოქალაქე რომელსაც აქვს საშუალო და მასთან მიახლოებული შემოსავალი, ვერ შეძლებს ისარგებლო იპოთეკური სესხით და შეიძინოს საცხოვრებელი. კიდევ უფრო მძიმე იქნება მდგომარეობა მედიანური და მედიანურზე ნაკლები ხელფასის მქონე მოქალაქეებისათვის. საცხოვრებლის არ ქონა ინდივიდის ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ რისკს წარმოადგენს. ასეთი მოქალაქეები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან ქვეყნისთვის და საბოლოოდ ეს ყველაფერი ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებასა და საბიუჯეტო ასიგნებების ხარჯვაზეც უარყოფითი ეფექტის მომტანია. როგორც ვხედავთ **სახელმწიფოსა და ინდივიდის ეკონომიკური უსაფრთხოების თანხვედრა** კიდევ ერთი მიმართულებით არის აცდენილი.

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ანალიზი არ იქნება სრულყოფილი **ენერგეტიკული უსაფრთხოების** განხილვის გარეშე. ეკონომიკური უსაფრთხოების ფარგლებში უნდა განვიხილოთ ის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს ენერგეტიკული რესურსების მობილიზებას სხვადასხვა მიმართულებით და იმ შესაძლებლობებს, რომლებიც გააჩნია საქართველოს უსაფრთხოების ხარისხის ამაღლებისთვის. უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნოთ, რომ საქართველოში 2 მიმართულების მნიშვნელოვანი გასაღენი მიწები გადის. პირველი არის ჩრდილოეთ-სამხრეთ მილსადენების სისტემა NSCP. 2000-ანი წლების დასაწყისში NSCP-ის მეშვეობით ამარაგებდა რუსეთი საქართველოს და სომხეთს, მაგრამ ბოლო წლების სტატისტიკით, ძირითადად სომხეთის მომარაგებისთვის გამოიყენება. მეორეა სამხრეთ-კავკასიური მილსადენების სისტემა SCP, რომლის ძირითადი ფუნქციაა შაჰ-დენიზის ოფშორული საბადოს ბუნებრივი გაზის მიწოდება აზერბაიჯანის, საქართველოს, თურქეთის და ევროპული ბაზრებისთვის, ანუ კასპიის ზღვიდან ხმელთაშუა ზღვამდე.

ნაშრომის მეორე თავში განხილული ქვეყნებისგან (და არა მხოლოდ) განსხვავებით, საქართველოს დამოკიდებულება რუსულ გაზზე მინიმალურია. საქართველოსთვის ბუნებრივი აირის მთავარ მიმწოდებელს წარმოადგენს აზერბაიჯანი.

*ცხრილი N 13 აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან ბუნებრივი აირის იმპორტის წილი 2018-2022წწ*

წელი	2018	2019	2020	2021	2022 (იან-სექ)
ბუნებრივი აირის მთლიანი იმპორტი საქართველოში (ათასი დოლარი)	281373.5	315108.4	302404.4	320845.1	279681.9
ბუნებრივი აირის იმპორტი აზერბაიჯანიდან (ათასი დოლარი)	271245.97	285055.84	262241.97	250009.26	245518.47
<b>აზერბაიჯანი %</b>	<b>96,41%</b>	<b>90,46%</b>	<b>86,72%</b>	<b>77,92%</b>	<b>87,78%</b>
ბუნებრივი აირის იმპორტი რუსეთიდან (ათასი დოლარი)	7867.74	30052.60	36983.78	70835.80	34163.39
<b>რუსეთი %</b>	<b>2,8%</b>	<b>9,5%</b>	<b>12,23%</b>	<b>22,08%</b>	<b>12,22%</b>

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საგარეო ვაჭრობის პორტალი.

როგორც ვხედავთ საქართველო ძირითადად აზერბაიჯანის გაზს მოიხმარდა. მიუხედავად ამისა, არასახარბიელო ტენდენცია შეინიშნა 2021 წლამდე, როდესაც აზერბაიჯანული გაზის წილი შემცირდა, რუსეთის კი გაიზარდა. მაგრამ 2022 წლის 9 თვის მონაცემებით მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება.

2022 წლის მონაცემების გასამყარებლად შეგვიძლია ამჟამად არსებული ინფორმაციაზე დაყრდნობით სექტემბრის მონაცემების შედარება გავაკეთოთ.

რუსეთიდან 2018 წლის სექტემბერში 17160 დოლარის, 2019 წლის სექტემბერში 1 606 550 დოლარის, 2020 წლის სექტემბერში 1 341 810 დოლარის, 2021 წლის სექტემბერში 671 180 დოლარის, ხოლო 2021 წლის სექტემბერში 453 910 დოლარის ღრებულების ბუნებრივი აირის იმპორტი განხორციელდა. კლების ტენდენცია შესამჩნევია, თუმცა სტატისტიკამ შესაძლოა განსხვავებული შედეგი დადოს შემოდგომისა და ზამთრის თვეების დადგომის შემდგომ. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს რუსული ენერგეტიკული რესურსებისგან დამოუკიდებლობის მიღწევა, ამიტომ რუსული იმპორტი ამ მიმართულებით კიდევ უნდა შემცირდეს, ისევე როგორც 2018 წელს.

საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობები უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების განვითარებისთვის, სხვადასხვა მიზეზის გამო. პირველი ეს არის უშუალოდ ენერგეტიკული რესურსების აზერბაიჯანიდან მიღება და მეორე - საქართველო როგორც აზერბაიჯანის გზა ევროპამდე. საქართველომ რაციონალური პოლიტიკის გატარებითა და სტრატეგიული ურთიერთობის გამყარებით უნდა შეამციროს ყველა საფრთხე, რომელიც შესაძლოა საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობებს უკავშირდებოდეს, მათ შორის სასაზღვრო ტერიტორიებზე.

მნიშვნელოვანი პროექტი რომელიც უკავშირდება საქართველოს დერეფნის გამოყენებას არის აზერბაიჯანიდან ევროპაში გაზის მიწოდებას, რომელსაც საფუძველი გასულ ათწლეულში ჩაეყარა. 2011 წლის 14 სექტემბერს, ქ. ბაქოში საქართველოს, აზერბაიჯანის და რუმინეთის პრეზიდენტებმა და უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ხელი მოაწერეს პროექტის მხარდამჭერ დეკლარაციას. ამავე ღონისძიების ფარგლებში, სამივე ქვეყნის შესაბამისმა კომპანიებმა - SOCAR (აზერბაიჯანი), GOGC (საქართველო) და Romgaz (რუმინეთი) ხელი მოაწერეს აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის ინტერკონექტორის პროექტის განმახორციელებელი ერთობლივი კომპანიის - SC AGRI LNG Project Company S.R.L. სადამფუძნებლო ხელშეკრულებას და ურთიერთგაგების მემორანდუმს პროექტის განხორციელების თაობაზე. **AGRI LNG** პროექტი იმით არის გასანკუთრებული, რომ შესაძლებელია არსებული მილსადენებით აზერბაიჯანიდან მოხდეს ბუნებრივი აირის მიწოდება შავ ზღვამდე მილსადენით, ხოლო შემდგომ მოხდეს ბუნებრივი აირისთვის თხევადი ფორმის მიცემა და შავ ზღვაზე ტანკერებით ტრანსპორტირება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის არსებულ სიტუაციაში, მაშინ როდესაც ევროპა გაზის მიმწოდებლების ძიებაშია, ხოლო ჩვენ საშუალება გვქმნება განვავითაროთ ჩვენი სატრანსპორტო დერეფნის ფუნქცია (საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია).

სამომავლოდ, საქართველოს დერეფნის გამოყენების ისეთი კონცეფციებიც არის შემუშავებული, როგორებიცაა ტრანსკასპიური მილსადენის კონცეფცია, თეთრი ნაკადის კონცეფცია (შავ ზღვაში მილსადენები საქართველოდან რუმინეთამდე) (გოჩიტაშვილი თ. 2014).

საქართველო არა მხოლოდ ბუნებრივი აირის, არამედ ნავთობის გადაზიდვის გამორჩეული პოტენციალი აქვს, მითუმეტეს, თუ გავითალისწინებთ, რომ უკვე არსებობს ისეთი მარშრუტები როგორებიცაა ბაქო-სუფსა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი. საქართველოს არა მხოლოდ აზერბაიჯანიდან, არამედ მთლიანი კასპის ზღვის აუზის ქვეყნებიდან შეუძლია ნავთობის ტრანსპორტირება ევროპისკენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება, ენერგეტიკული უსაფრთხოებაზე დაყრდნობით, უკავშირდება საქართველოს სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციის გააქტიურებას, ენერგეტიკული დიპლომატიის წარმოებას გადაწყვეტილების მიმღებ ქვეყნებთან და შესაძლებლობების მაქსიმალურად ათვისებას. ეს ყველაფერი კი, პირველ რიგში, რუსეთისგან დამოუკიდებლობის საშუალებას მისცემს, მეორე მხრივ, ქვეყანას დამატებითი შემოსავლები გაუზრდობა, სამუშაო ადგილები გაიზრდება და ა.შ.

საქართველოს შიგა წარმოების პოტენციალი აქვს ელექტროენერჯის მიმართულებით. განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში, საქართველოს შეუძლია გამოიმუშავოს იმდენი ელექტროენერჯია, რამდენიც საჭიროა ქვეყნის მოხმარების დასაკმაყოფილებლად და გავიდეს ექსპორტზეც. სხვა შემთხვევაში საქართველო ელექტროენერჯის ძირითად იმპორტს ახორციელებს აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან.

*ცხრილი N 14 აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან საქართველოში იმპორტირებული ელექტროენერჯის წილი 2018-2021წწ*

	2018	2019	2020	2021	2021(იან-სექ)
აზერბაიჯანი	63446.50	55730.70	36397.26	28931.59	9675.03
%	<b>83.7%</b>	<b>70.97%</b>	<b>56.42%</b>	<b>60.37%</b>	<b>27.8%</b>
რუსეთი	9333.60	22797.83	14553.20	11959.00	14834.62
%	<b>12.3%</b>	<b>29.03%</b>	<b>22.57%</b>	<b>24.95%</b>	<b>42.68%</b>

ელექტროენერჯის	75,774.0	78,528.5	64,514.6	47,924.0	34,745.7
----------------	----------	----------	----------	----------	----------

მთლიანი იმპორტი

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პორტალის მონაცემების მიხედვით ავტორისეული გამოთვლები

მონაცემების საფუძველზე, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ბოლო წლების ტენდენცია, რომელიც უკავშირდება იმპორტირებული ელექტროენერჯის წილის კლებას აზერბაიჯანიდან და წილის მატებას რუსეთიდან, უარყოფითი გავლენა ექნება ეკონომიკაზე, ვინაიდან იქმნება საშიშროება, რომ საქართველოს დამოკიდებულება რუსეთზე გაიზარდოს.

საქართველოს აქვს ელექტროენერჯის ექსპორტის პოტენციალიც მეზობელ ქვეყნებში. საქართველოსთვის განსაკუთრებით მიმზიდველია თურქეთის ბაზარი, რომელიც უკავშირდება საბერძნეთსაც და, რა თქმა უნდა, სასურველია ევროპული ბაზრის ათვისებაც, რაც შესაძლებელია შავი ზღვის გავლით რუმინეთთან დაკავშირება და ელექტროენერჯის ექსპორტის ევროპულ ბაზარზე გატანა. ექსპერტთა გამოთვლებით, ქვეყანას შესაძლებლობა აქვს მხოლოდ ელექტროენერჯის ევროპულ ბაზარზე ექსპორტის მეშვეობით მილიარდი დოლარის ფინანსური რესურსის აკუმულირება მოახდინოს გადასახადების სახით, ამას, რა თქმა უნდა, ემატება ეკონომიკური აქტივობის ამაღლება და უმუშევრობის შემცირება (BM.GE).

შეჯამების სახით, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს აქვს ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესებით ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ამაღლების და ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდის პოტენციალი, რაც, რა თქმა უნდა, რაციონალური ეკონომიკური დიპლომატიის განხორციელებითაა შესაძლებელი. თუმცა, განსაკუთრებულ საფრთხედ შეგვიძლია განვიხილოთ ის, რომ ქვეყანა ვერ მართავს სტრატეგიულ ობიექტებს, მაგალითად სს. თელასის საკონტროლო აქციების მფლობელი რუსული კომპანია ინტერ რაოა, რომლის სათაო ოფისიც მოსკოვში მდებარეობს. ასევე პრობლემაა ის, რომ ხდება სტრატეგიული ობიექტების გასხვისება, მაგალითად, ელექტროსადგურები გაიყიდა დაახლოებით 14 მილიონ



დოლარად, მაშინ როცა ელექტროსადგურები წელიწადში დაახლოებით 5 მილიონი დოლარის ღირებულების ელექტროენერჯის აწარმოებს.

საქართველოს ეკონომიკისთვის კიდევ ერთი გამორჩეული საფრთხის შემცველი მიმართულებაა **სასურსათო უსაფრთხოება**. ამის თვალსაჩინო მაგალითად შეგვიძლია მიმდინარე წლების მაგალითებიც მოვიყვანოთ, იქნება ეს კოვიდ-19 პანდემია თუ რუსეთ-უკრაინის ომი. საქართველოში და მსოფლიოში სასურსათო უსაფრთხოების რისკებს ასევე ზრდის მაღალი ურბანიზაცია. ექსპერტების მიხედვით ურბანიზაცია 2050 წლისთვის 65%-ს მიაღწევს (ხარაიშვილი ე., ნაცვლიშვილი ი., 2020). რაც სასურსათო უზრუნველყოფას კიდევ უფრო შეამცირებს. მჭიდროდ დასახლებულ ურბანულ გარემოში კი თითქმის ვერ შევხვდებით ისეთი ეკონომიკურ საქმიანობას, რომელიც ხელს შეუწყობს სასურსათო პროდუქტების წარმოებას, მაგალითად ურბანული მეზღვეობა (ჩიტაშვილი ნ. 2018).

სასურსათო უსაფრთხოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა სასურსათო დამოუკიდებლობა. სასურსათო მდგრადობის ინდექსის ანალიზის მიედვით, შესაძლოა ვთქვათ, რომ პანდემიის პერიოდში იმ ქვეყნების მდგომარეობა, რომელთაც სასურსათო ინდექსის მაჩვენებელი მაღალი აქვთ, უფრო მარტივია, ვინაიდან, მათ შეუძლიათ ფორსმაჟორულ სიტუაციაში ადეკვატური რეაგირება მოახდინონ და დაიცვან მოქალაქეები სურსათის დეფიციტისგან. შედარებით უსაფრთხო ქვეყნებია, მაგალითად, საფრანგეთი, ნიდერლანდები, კანადა. სამწუხაროდ, ინდექსის დათვლა საქართველოს შემთხვევაში არ არის შესაძლებელი, ისევე როგორც ჩენი მეზობელი ქვეყნები - აზერბაიჯანი და სომხეთი. უცნობია უკრაინის მონაცემებიც. რაც შეეხება თურქეთს, ის სახარბიელო მდგომარეობით ვერ გამოირჩევა (60.10) და წარმატებულ ქვეყნებს ჩამორჩება.

პანდემიის პერიოდში, სხვადასხვა ქვეყანამ, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დაიწყო გარკვეულ სასურსათო პროდუქტების ექსპორტის შეზღუდვა/აკრძალვა. რუსეთის სახელმწიფომ ჯერ კიდევ აპრილში ლიმიტები დააწესა მარცვლეულის ექსპორტზე და გადაწყვეტილება მიიღო ნაწარმოები მარცვლეული ქვეყნის შიგა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მიემართა. უკრაინამ შეწყვიტა წიწიბურის ექსპორტზე გატანა 1-ელ ივლისამდე, რათა დაეცვა

ადგილობრივი ბაზარი, ასევე შეზღუდვები დააწესა ხორბლის ექსპორტზეც, რათა არ გაზრდილიყო პურის ფასი ადგილობრივ ბაზარზე. მსოფლიოს რიგით მე-3 ბრინჯის ექსპორტიორმა ვიეტნამმა მარტში შეწყვიტა ბრინჯის ექსპორტი და ახალი ხელშეკრულებების გაფორმება, რითიც სარგებელი ნახა ბრინჯის რიგით მე-2 მწარმოებელმა ტაილანდმა, მან მომენტალურად უზრუნველყო მსოფლიო ბაზრის დაკმაყოფილება. ბრინჯის ექსპორტი შეზღუდა ინდოეთმა და კამბოჯამაც (Chitishvili N. 2020).

სასურსათო უსაფრთხოების ანალიზისთვის შეგვიძლია განვიხილოთ ფქვილის ბაზარი და ფქვილის მიწოდება 2000-2020 წლებში, შეგვიძლია გამოვყოთ ტოპ 10 ქვეყანა (WEF).

*ცხრილი N 15 მსოფლიოში ტოპ 10 ფქვილის მიმწოდებელი ქვეყანა 2000-2020 წწ*

	ქვეყანა	ტონა	წილი
1	ჩინეთი	2,4 მილიარდი	17,0%
2	ინდოეთი	1,8 მილიარდი	12,5%
3	რუსეთი	1,2 მილიარდი	8,4%
4	აშშ	1,2 მილიარდი	8,4%
5	საფრანგეთი	767 მილიონი	5,4%
6	კანადა	571 მილიონი	4%
7	გერმანია	491 მილიონი	3,5%
8	პაკისტანი	482 მილიონი	3,4%
9	ავსტრალია	456 მილიონი	3,2%
10	უკრაინა	433 მილიონი	3,1%

როგორც ვხედავთ, ფქვილის ბაზრის ტოპ მიმწოდებლებში შედიან რუსეთი და უკრაინა, შესაბამისად რუსეთ-უკრაინის ომმა ფქვილის ბაზარზე მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა და პირდაპირ აისახება ფქვილისა და ხორბლის ბაზარზე.

საქართველო ხორბლის დიდი ნაწილის იმპორტს რუსეთიდან ახორციელებდა, თუმცა ვინაიდან რუსეთს ხორბლის ექსპორტზე ბაჟი აქვს დაწესებული და ფქვილზე არა, ხორბლის იმპორტ ქვეყანაში საგრძნობლად შემცირდა, ფქვილის იმპორტი კი გაიზარდა. ეს გადაწყვეტილება რუსეთმა სტრატეგიულად მიიღო, ვინაიდან ფქვილის შენახვის ვადები მცირეა, ხორბლის კი წლობით არის შესამღებელი. საქართველოში არ არის შექმნილი ხორბლის მარაგები, რაც ქვეყანას მეტად მოწყვლადს ხდის ეკონომიკურად. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ აუცილებელია ქვეყანამ გარდამავალი მარაგების შექმნა დაიწყო და მუდამ ქონდეს 2 თვიანი სასურსათო მარაგი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ფორსმაჟორული სიტუაციების გამო საკვები პროდუქტების დეფიციტი (BM.GE a).

ეკონომიკური უსაფრთხოების მიმართულებით მნიშვნელოვანი იყო მთავრობის გადაწყვეტილება **თურქული მედიკამენტების იმპორტის** შესახებ. თუ იქამდე თურქეთიდან მედიკამენტების მოწოდება შეზღუდული იყო, ვინაიდან თურქეთში ფალსიფიცირების დონე მაღალია, დღეს უკვე იმპორტიორ კომპანიებს შეუძლიათ თურქეთიდან მედიკამენტების შემოტანა, რამაც ადამიანებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა გაზარდა. ერთ-ერთი აფთიაქის მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ფასთა სხვაობის ანალიზი:

*ცხრილი N 16 თურქეთიდან იმპორტირებული მედიკამენტების ფასების შედარება სხვა ქვეყნიდან იმპორტირებულ მედიკამენტების ფასებთან*

	თურქეთიდან იმპორტირებულის ფასი აფთიაქში	სხვა ქვეყნიდან იმპორტირებულის ფასი აფთიაქში
გლუკოფაჟი 1 შეკვრა	11,20	18,70
კონკორი 1 აბი	0,22	0,59
ქსარელტო 15მგ 1 აბი	1,68	5,07

წყარო: ავტორის მიერ სააფთიაქო ქსელის ფასების შესწავლა

როგორც ვხედავთ, თურქეთიდან შემოსული მედიკამენტების ფასები ზოგჯერ 2-ჯერ და უფრო იაფია, რაც განსაკუთრებით ეფექტს დაბალშემოსავლიან მოქალაქეებზე ახდენს. თურქეთიდან მედიკამენტების იმპორტმა განსაკუთრებით მაღალი ღირებულების მედიკამენტებზე გაზარდა წვდომა, მაგალითად ახალი თაობის ანტიბიოტიკები. „ზავიცეფტა“ არის ერთ-ერთი მათგანი, რომლის 1 ფლაკონის შეკვეთის ღირებულება რეფორმამდე 200 ლარიდან იწყებოდა, დღეს კი მისი ღირებულება 120-130 ლარის ფარგლებშია. მსგავსი ტიპის ეკონომიკური გადაწყვეტილებები ხელს უწყობს მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებას.

ბოლო წლების ეკონომიკური პოლიტიკის წარმოებაზე უდიდეს გავლენას ახდენს რუსეთ-უკრაინის ომი. ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებისას, რუსეთის წინააღმდეგ მიღებული იქნა მთელი რიგი ეკონომიკური სანქციები. უპირველეს ყოვლისა, სანქციები დაკავშირებულია ფინანსურ შეზღუდვებთან. დასავლური ქვეყნები ცდილობენ შეზღუდონ რუსეთის წვდომა ფულზე, შეერთებულმა შტატებმა რუსეთს აუკრძალა ვალების გადახდა ამერიკულ ბანკებში არსებული უცხოური ვალუტის გამოყენებით, რუსული მსხვილი ბანკები ამოიღეს საერთაშორისო ფინანსური შეტყობინებების სისტემიდან Swift. ამან შეაყოვნა რუსეთისთვის ნავთობისა და გაზის ექსპორტის გადახდა. დიდმა ბრიტანეთმა გარიცხა ძირითადი რუსული ბანკები დიდი ბრიტანეთის ფინანსური სისტემიდან, გაყინა ყველა რუსული ბანკის აქტივები, აუკრძალა რუსულ ფირმებს ფულის სესხება და დააწესა ლიმიტები იმ დეპოზიტებზე, რომლებიც რუსებს შეუძლიათ განათავსონ გაერთიანებული სამეფოს ბანკებში. ევროკავშირი დეკემბრიდან ზღვით შემოტანილი რუსული ნავთობის იმპორტს აკრძალავს, ასევე 2023 წლის თებერვალში აკრძალავს რაფინირებული ნავთობპროდუქტების რუსეთიდან ყველა იმპორტს. აშშ კრძალავს რუსეთის ნავთობისა და გაზის ყველა იმპორტს დიდი ბრიტანეთი 2022 წლის ბოლომდე ეტაპობრივად შეამცირებს რუსულ ნავთობს. ის აღარ ახორციელებს რუსული გაზის იმპორტს. გერმანიამ გააყინა რუსეთიდან Nordstream 2 გაზსადენის გახსნის გეგმები. ევროკავშირმა შეწყვიტა რუსული ნახშირის იმპორტი (BBC). ამის

საკვასუხოდ რუსეთმა გაზის ღირებულების რუბლში გადახდა მოითხოვა (Bloomberg), თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში სანქციების მუშაობა შედეგს გამოიღებს, რაც ნიშნავს რუსული ეკონომიკის გაუარესებას. საქართველო საერთაშორისო სანქციების ნაწილს ავტომატურად მიუერთდა, რის გამოც, მაგალითად მიმდინარე წელს ქვეყნიდან გავიდან რუსეთის ერთ-ერთი უმსხვილესი „ვითიბი ბანკი“. სხვა მხრივ, საქართველოს ისეთი დამატებითი სანქციები, რომელიც რუსეთიდან ზღუდავს იმპორტს, არ დაუწესებია, რაც, თავის მხრივ, აიხსნება როგორც ქვეყნის ეკონომიკური მიჯაჭვულობით რუსეთის ბაზარზე, ასევე, სხვა მნიშვნელოვან პოლიტიკურ საფრთხეებზე. სწორედ ამიტომ არის საჭირო ბაზრების დივერსიფიცირება და რუსეთის ბაზარზე გრძელვადიან პერსპექტივაში უარის თქმა.

### **კორუფცია, როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების მუქარა**

ეკონომიკური უსაფრთხოების მუქარის ერთ-ერთი სფეროა კორუფცია. კორუფციის არსებობას განაპირობებს მის წინააღმდეგ მოქმედი არაეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკა და აღმოფხვრის არასაკმარისი გზები.

კორუფციის ოთხ ძირითად სახეობას განიხილავენ (მესხია ი, 2012):

- საყოფაცხოვრებო კორუფცია;
- საქმიანი კორუფცია;
- უმაღლესი ხელისუფლების კორუფცია;
- პოლიტიკური კორუფცია.

ზემოაღნიშნული სახეობები იცვლება მასშტაბების ზრდასთან ერთად. თუ პირველ საფეხურზე საუბარია მოქალაქეებისა და საჯარო სექტორს შორის ურთიერთობაზე, მეორე სახეობა განიხილავს საჯარო სექტორისა და ბიზნესის არაკანონისმიერ თანამშრომლობას, მესამე სახეობას ელიტარულ კორუფციას უწოდებენ და ქვეყანაში წესრიგისა და პროცესის პოლიტიკის გამტარებლებს უკავშირდება, ხოლო მეოთხე სახეობა საერთაშორისო დონეზე კორუფციას აღწერს. ოთხივე სახეობას მსგავსი შედეგი აქვს და უკავშირდება არაობიექტური გადაწყვეტილებების გამო ეკონომიკური მდგომარეობის, ქვეყნის განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღობის შემცირებას.

Trace International-ის შეფასების მიხედვით, საქართველომ 2022 წელს მიიღო 33 ქულა და არის მსოფლიოში 33-ე ადგილას კორუფციის არსებული რისკების მიხედვით. რისკები ითვლება 4 კომპონენტის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით (Trace International). ესენია:

- საქმიანი ურთიერთობა მთავრობასთან - 30 ქულა;
- მექრთამეობის საწინააღმდეგო ღონისძიებების აღსრულება - 41 ქულა;
- სამთავრობო და საჯარო სექტორის გამჭვირვალობა - 34 ულა;
- სამოქალაქო საზოგადოების ზედამხედველობის უნარი - 30 ქულა.

ერთი შეხედვით საქართველოს 3 კომპონენტში კარგი ქულა აქვს. მექრთამეობის საწინააღმდეგო ღონისძიებების აღსრულების მიმართულებით კი საშუალო ქულა, თუმცა, სამწუხაროა ის, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს შედეგები უარესდება.

საქართველოს კორუფციის ინდექსი 2016-2011 წლებში

*ცხრილი N 17 საქართველოს კორუფციის ინდექსი 2016-2011 წლებში*

წელი	მდებარეობა რეიტინგში	საშუალო ქულა	საქმიანი ურთიერთობა მთავრობასთან	მექრთამეობის საწინააღმდეგო ღონისძიებების აღსრულება	სამთავრობო და საჯარო სექტორის გამჭვირვალობა	სამოქალაქო საზოგადოების ზედამხედველობის უნარი
2022	33	33	30	41	34	30
2021	29	26	19	38	28	29
2020	28	25	17	39	26	28
2019	27	26	16	37	31	31
2018	27	26	17	31	32	30
2017	25	23	16	17	31	32
2016	13	28	16	20	21	41

წყარო: Trace International

ცხრილში მოცემული ინფორმაციის ანალიზით, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ საქართველოში კორუფციული რისკები იზრდება და ამ მიმართულებით მდგომარეობა უარესდება. 2016 წელს, საქართველო მოწინავე პოზიციებზე იმყოფებოდა და რეიტინგში მე-13 ადგილს იკავებდა (უფრო ადრე, 2014-ში მე-11 ადგილზე იყო), ხოლო 2022 წლის მონაცემებით 20 ქვეყანას ჩამორჩა. ამასთან ერთად აღსანიშნავია თავად კომპონენტების ცვლილება. როგორც ვხედავთ, განსაკუთრებით გაუარესებულია საქმიანი ურთიერთობები მთავრობასთან 16-დან 30 ქულამდე

გაიზარდა რისკიანობა, მექრთამეობის საწინააღმდეგო ღონისძიებების აღსრულებაში კი რისკების შეფასება 20-დან 41 ქულამდე გაიზარდა. ასევე, გაუარესდა სამთავრობო სექტორის გამჭვირვალობა 21-დან 34 ქულამდე. ერთადერთი კომპონენტი, რომელშიც საერთო ჯამში მდგომარეობა უფრო მეტად უკეთესდება, ვიდრე უარესდება არის სამოქალაქო ორგანიზაციების ზედამხედველობის უნარი, რომელიც გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხარისხს, მედიის თავისუფლებასა და სხვა მომიჯნავე სფეროებს.

სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების რისკები ამასთანავე უკავშირდება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის საკითხებს. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი საერთაშორისო ორგანიზაციაა FATF (Financial Action Task Force) „ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი“, რომელიც საერთაშორისო მთავრობათაშორისი ორგანოა და სტანდარტების დაწესების ხელს უწყობს ფინანსური თუ ტერორისტული ქმედებების აღკვეთას. FATF რისკებზე დაფუძნებულ მიდგომას იყენებს და წინასწარ უზრუნველყოფს საფრთხეების დადგენას.

FATF-ის კავშირი ეკონომიკური უსაფრთხოების გაუმჯობესებასთან პირდაპირ კავშირშია, ვინაიდან, თუ რომელიმე ქვეყანა არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს, FATF იტოვებს უფლებას ქვეყანა გასაფრთხილებლად შეიყვანოს ნაცრისფერ, ხოლო შემდგომ შავ სიაში. შავ სიაში შეყვანილ ქვეყანას ეზღუდება საერთაშორისო დახმარებებსა და სესხებზე წვდომა და არასასურველი ხდება ინვესტიციებისთვის. FATF ქვეყნებს სთავაზობს 40 რეკომენდაციას, შემდგომ კი შეისწავლის ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას და წარმოადგენს „ერთობლივი შეფასების ანგარიშს“. კრიტერიუმების დაკმაყოფილების ხარისხი დაყოფილია 4 ნაწილად: შეესაბამება, მეტწილად შეესაბამება, ნაწილობრივ შეესაბამება და არ შეესაბამება.

საქართველოს შემთხვევაში ბოლო შეფასება განხორციელდა 2020 წელს, საიდანაც 40 რეკომენდაციიდან 6 შეფასდა რომ შეესაბამება, 22 შეფასდა რომ მეტწილად შეესაბამება, 11 შეფასდა, რომ ნაწილობრივ შეესაბამება და 1 შეფასდა, რომ არ შეესაბამება (FATF).

საქართველოს აქვს წინსვლა, მაგალითად 29-ე რეკომენდაციაში და შეფასების ნაწილში ნაწილობრივ შესაბამისობა გაიზარდა მეტწილად შესაბამისობაში, რაც დაკავშირებულია როგორც ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ფუნქციონირებასთან (Fms.gov.ge) , ასევე 2019 წლის სახელმწიფო კანონის „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ მიღებით.

საქართველოს აქვს გარკვეულწილი გაუმჯობესებები რეკომენდაციებში 22, 28 და 35, რაც ძირითადად დაკავშირებულია აზარტული თამაშების რეგულაციების გამკაცრებასთან, თუმცა სხვა შემადგენელი ნაწილები, რომლებიც დაკავშირებულია ძვირფასი ლითონები, უძრავი ქონების ვაჭრობასთან და ა.შ. არ შეცვლილა, ამიტომ რეიტინგში მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ერთდაერთი რეკომენდაცია, რომელსაც საქართველო ვერ აკმაყოფილებს არის რეკომენდაცია N8, რომელიც დაკავშირებულია არაკომერციულ ორგანიზაციებთან. FATF განსაზღვრავს, რომ არაკომერციული ორგანიზაციები მოწყვლადები არიან ტერორისტული და ფულის გამთეთრებელი სუბიექტების მიერ, ამიტომ ქვეყნებს მოუწოდებს გაატარონ ადეკვატური რეფორმები, რათა კანონები და რეგულაციები მოყვანილ იქნას FATF-ის რეკომენდაციასთან შესაბამისობაში. FATF, ასევე, მიუთითებს არაკომერციული ორგანიზაციების ფუნქციონირების განსაკუთრებით მნიშვნელობაზე და რეგულაციების შემოღებაში მათი ჩართულობის აუცილებლობაზე (FATF a).

არაკომერციულ ორგანიზაციებთან დაკავშირებული საკითხები განსაკუთრებით აქტუალური გახდა დღევანდელ საქართველოში, ვინაიდან, საუბარია ქვეყანაში „უცხო ქვეყნის გავლენის აგენტებთან“ დაკავშირებული კანონპროექტის ინიცირებასთან, რომელიც უცხო ქვეყნის აგენტებად რეგისტრირების წესს განსაზღვრავს. აღნიშნულ იდეას უკვე მოყვა საერთაშორისო პარტნიორების, მკვლევარებისა და ექსპერტებისგან უარყოფითი შეფასება, ვინაიდან, შესაძლოა კანონის მიღებამ შეზღუდოს დასავლური ორგანიზაციების ფუნქციონირება საქართველოში და ქვეყანა დაშორდეს ევროატლანტიკურ ერთობებს. ამასთანავე, შესაძლოა შემცირდეს ინვესტიციები, სამუშაო ადგილები და გაუარესდეს არაერთი ეკონომიკური მაჩვენებელი, რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე, ამასთანავე, გაუარესდეს „სამოქალაქო ორგანიზაციების



ზედამხედველობის უნარი“, საქართველოს მიენიჭოს კიდევ უფრო მაღალი რისკ-ქულა, რაც გამოიწვევს კორუფციის ინდექსის გაუარესებას, გაზრდის კორუფციულ რისკებს და საქართველომ შესაძლოა კიდევ უფრო შორს გადაიწიოს რეიტინგში, რაც ასევე უარყოფითად აისახება ქვეყნის სამომავლო განვითარებაზე. კვლევის წარმოების პროცესში მოხდა კონპროექტის პირველი მოსმენით მიღება, თუმცა, საერთაშორისო პარტნიორებისა და მოსახლეობის განსაკუთრებული პროტესტის გამო, მმართველმა გუნდმა მიიღო გადაწყვეტილება, მეორე მოსმენით ჩაეგდო აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა.

### **გლობალური სასურსათო უსაფრთხოების ინდექსი**

ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასებისთვის მეცნიერები და ექსპერტები სხვადასხვა ინდექსს იყენებენ, მათ შორის ერთ-ერთია გლობალური სასურსათო უსაფრთხოების ინდექსი. გლობალური სასურსათო უსაფრთხოების ინდექსი შემუშავებულია Economist Impact-ის მიერ და ზომავს სურსათის უსაფრთხოების არსებული მდგომარეობას 113 ქვეყანაში 68 ინდიკატორისა და ოთხი ძირითადი კატეგორიის მეშვეობით: ხელმისაწვდომობა, არსებობა, ხარისხი და უსაფრთხოება, მდგრადობა და ადაპტაცია (Corteva). შესწავლილ 113 ქვეყანას შორის არ არის საქართველო, შესაბამისად, საინტერესოა საქართველოს მაჩვენებლის დადგენა, რათა შეფასდეს ქვეყანაში არსებული სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა.

კვლევის პროცესში, ინდექსის გამოთვლის სირთულეს ქმნის მონაცემების არ არსებობა. მონაცემების ნაკლებობაა როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი მიმართულებით. შესაბამისად, სადოქტორო კვლევის ფარგლებში განხორციელდა ინდექსის გამოთვლა საქართველოსთვის კომპლექსური მეთოდოლოგიით. უპირველეს ყოვლისა, შეჯერდა ის რაოდენობრივი მონაცემები, რომლებიც არსებობს. არარსებული მონაცემები კი ჩანაცვლდა მომიჯნავე ან მსგავსი მაჩვენებლებით. ხარისხობრივი კრიტერიუმები, რომლებსაც განსაზღვრავს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია, ჩანაცვლდა ქვეყანაში არსებული მდგომარეობითა და ლოგიკური ანალიზითა და შეფასებით, რაც ინდექსის გამოთვლის პროცესში ქრონოლოგიურად არის აღწერილი.

გლობალური სასურსათო უსაფრთხოების ინდექსის საქართველოს მონაცემების გამოთვლისთვის გამოყენებულ იქნა ევროკომისიის მიერ 2017 წელს გამოცემული ტექნიკური ანგარიში „სასურსათო უსაფრთხოების გლობალური ინდექსის გამოყენება სურსათის დაუცველ ქვეყნებში სიტუაციის ინფორმირებისთვის“ (The use of the Global Food Security Index to inform the situation in food insecure countries) სადაც დეტალურად არის აღწერილი ინდექსის ინდიკატორები და შეფასების წესები (Thomas A.C., 2017).

სქემა 5 გლობალური სასურსათო უსაფრთხოების ინდექსის კონცეპტუალური ჩარჩო:

%	განზომილება	%	ინდიკატორები და ქვე ინდიკატორები
40	ხელმისაწვდომობა (Affordability)	22.22	საკვების მოხმარების წილი შინამეურნეობების ხარჯებში
		20.20	გლობალური სიდარობის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის პროპორცია
		22.22	მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე
		10.10	სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე იმპორტის ტარიფები
		14.14	სურსათის უვნებლობის ქსელის პროგრამების არსებობა
		11.11	ფერმერებისთვის დაფინანსების ხელმისაწვდომობა
44	მოპოვებადობა (Availability)	<b>23.42</b>	მიწოდების საკმარისობა
			საკვების საშუალო მარაგი (73.33%)
			საკვებით დახმარებაზე დამოკიდებულება (26.67%)
		8.11	სოფლის მეურნეობის კვლევისა და განვითარების სახელმწიფო ხარჯები
		<b>12.61</b>	სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურა
			მოსავლის ადეკვატური დასაწყობების შესაძლებლობა (22.2%)
			საგზაო ინფრასტრუქტურა (40.74%)
			საპორტო ინფრასტრუქტურა (37.04%)
		13.51	სოფლის მეურნეობის წარმოების არასტაბილურობა
		9.91	პოლიტიკური სტაბილურობის რისკი
		9.91	კორუფცია
		9.91	ურბანული შთანთქმის უნარი
12.61	სურსათის დანაკარგი		
16	ხარისხი და უვნებლობა (Quality and Safety)	20.34	საკვები რაციონის დივერსიფიკაცია
		<b>13.56</b>	კვების სტანდარტები
			კვების ეროვნული სახელმძღვანელო მითითებები (34.62%)
			კვების ეროვნული გეგმა ან სტრატეგია (30.77%)
			კვების მონიტორინგი და მეთვალყურეობა (34.62%)
		<b>25.42</b>	საკვები მიკროელემენტების ხელმისაწვდომობა
			A ვიტამინი
			ცხოველური წარმოშობის რკინა
			მცენარეული წარმოშობის რკინა
23.73	ცილის ხარისხი		

		<b>16.95</b>	სურსათის უვნებლობა
			სურსათის უვნებლობისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის სააგენტო (32,14%).
			მოსახლეობის ნაწილი, რომელსაც წვდომა აქვს სასმელ წყალზე (42,86%)
			ფორმალური სასურსათო სექტორის არსებობა (25%)

წყარო: ევროკომისია, JRC Technical Report.

იმისთვის, რომ ინდექსი დათვლადი იყოს, მონაცემების მოპოვებასთან ერთად საჭიროა მათი ნორმალიზება. ამისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ მინიმუმის და მაქსიმუმის ნორმალიზების წესი (Jiawei Han და სხვები, 2012, გვ 114):

$$X^{ln} = \frac{Xb - Xmin}{Xmax - Xmin}$$

სადაც  $X^{ln}$  არის საქართველოს ნორმალიზებული მონაცემი;

$Xb$  არის საქართველოს მონაცემი,  $Xmin$  არის იმ ქვეყნის მონაცემი, რომელსაც აქვს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი და  $Xmax$  არის იმ ქვეყნის მონაცემი, რომელსაც აქვს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი. ეს გზა დაგვებმარება, რომ საქართველოს მონაცემები მოექცეს საზღვრებში და შესაძლებელი გახდეს ინდექსის გამოთვლისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმის გათვალისწინება.

### ხელმისაწვდომობა (Affordability) – 40 ქულა

ინდექსის მოცულობის 40% მიეკუთვნება ხელმისაწვდომობას (Affordability), პირველი კრიტერიუმი კი არის „საკვების მოხმარების წილი შინამეურნეობების ხარჯებში“. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2021 წელს საქართველოს შინამეურნეობათა ხარჯების 48.7%-ს შეადგენს საკვებზე ხარჯებს. ამასთანავე, ხასიათდება მზარდი ტენდენციით: 2017წ - 41.4%, 2018წ - 43%, 2019წ - 43%, 2020წ - 47.4% (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური გ). ანალიზის მიხედვით ირკვევა, რომ განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის ხარჯებში საკვებზე დანახარჯების წილი არც თუ ისე მაღალია. ნორმალიზებისთვის და საქართველოს მონაცემების დადგენისთვის გამოვიყენოთ ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც პროცენტულად ყველაზე ცოტას ხარჯავს - 6.7% და ნიგერია, რომელიც პროცენტულად ყველაზე მეტს ხარჯავს - 59% (Ourworldindata).

$X^{bn}$  საკვები დანახარჯების წილი  $= \frac{48.7-6.7}{59-6.7} = 0.8$  აქედან გამომდინარე, პირველი ინდიკატორის 22.22 პროცენტის წილიდან საქართველოს აქვს 80 პროცენტი, **17.78**.

მეორე კრიტერიუმი არის „გლობალური სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის პროპორცია“. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ბოლო მონაცემებით, აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს ქვემოთ საქართველოს მოსახლეობის 17.5%-ა (2020წ.- 21.3%, 2019წ. -19.5%, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური h) მაქსიმუმად ავიღოთ სამხრეთ სუდანი - 82.3%, მინიმუმად საფრანგეთი 0.1% (worldpoverty).

$X^{bn}$  სიღარიბე  $= \frac{17.5-0.1}{82.3-0.1} = 0.22$  აქედან გამომდინარე, მეორე ინდიკატორის 20.20 პროცენტის წილიდან საქართველოს აქვს 22 პროცენტი, **4.44**.

მესამე ინდიკატორი მთლიანი შიგა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე. საქართველოს მონაცემია 5023.3 დოლარი, ლუქსემბურგის 133,590.1 დოლარი, ხოლო ბურუნდის 221.5 დოლარი (The World Bank d).

$X^{bn}$  შიგა  $= \frac{5023.27-221.48}{133590.1-221.48} = 0.036$  აქედან გამომდინარე, მესამე ინდიკატორის 22.22 პროცენტის წილიდან საქართველოს აქვს 3.6 პროცენტი, **0.8**.

მეოთხე ინდიკატორია „სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე იმპორტის ტარიფები“. მაჩვენებლებად გამოვიყენებთ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 2022 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის 2021 წლის მონაცემებს: საქართველო - 6, კორეა 56.8, ჰონგ კონგი - 0. მონაცემები აღებულია MFN-ის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს მაჩვენებლის გამოთვლისას სხვადასხვა ქვეყნებს შორის შეთანხმებებით არსებული შეღავათების გათვალისწინებას (WTO).

$X^{bn}$  ტარიფები  $= \frac{6-0}{56.8-0} = 0.11$  აქედან გამომდინარე, მეოთხე ინდიკატორის 10.10 პროცენტის წილიდან საქართველოს აქვს 0.11, ანუ **1.11**.

მეხუთე ინდიკატორია „სურსათის უვნებლობის ქსელის პროგრამების არსებობა, რომლის ხარისხობრივ შეფასებასაც აკეთებს EIU - Economist Intelligence Unit, მაგრამ საქართველოს შემთხვევაში არ არის შეფასება გაკეთებული. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია გავაკეთოთ შეფასების კრიტერიუმების და ქვეყანაში არსებული

მდგომარეობის ლოგიკური ანალიზი და მივანიჭოთ რეალობასთან დაკავშირებული ქულა. დაშვებების გაკეთებით და ხარისხობრივი მდგომარეობის ანალიზით მოგვეცემა საშუალება ინდექსისთვის საჭირო ინდიკატორებს რაოდენობრივი მოცულობა მივანიჭოთ.

ევროკომისიის ტექნიკური ანგარიშის მიხედვით, სურსათის უვნებლობის ქსელის პროგრამების არსებობა 0-დან 4 ქულამდე შემდეგნაირად ფასდება:

- 0 = არ არსებობს სურსათის უვნებლობის ქსელის პროგრამები, ან არსებობს პროგრამების ძალიან მინიმალური რაოდენობა, რომელსაც მართავს მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციები;
- 1 = არსებობს სურსათის უვნებლობის მინიმალური რაოდენობის პროგრამები, რომელსაც ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ და ასევე, არსებობს მცირე რაოდენობის არაეფექტური სახელმწიფო პროგრამები;
- 2 = არსებობს სურსათის უვნებლობის პროგრამების ზომიერი რაოდენობა, რომელიც მართულია როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე სამთავრობო დანაყოფების მიერ;
- 3 = არსებობს ეროვნულ დონეზე გავრცელებული ფართო პროგრამები, თუმცა, არ არის საკითხი სიღრმისეულად მოცული;
- 4 = არსებობს სიღრმისეული სახელმწიფო პროგრამები სურსათის უვნებლობის მიმართულებით, რომლებიც ხელმისაწვდომია მოსახლეობისთვის.

ვინაიდან, სურსათის ეროვნული სააგენტო შეიმუშავებს ყოველწლიურად სურსათის უვნებლობის პროგრამებს, ასევე, 2006 წლიდან არსებობს კანონი „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“, ამ კრიტერიუმით შეგვიძლია მივანიჭოთ ქვეყანას 3 ქულა. ვერ მივანიჭებთ მაქსიმუმს, 4-ს, რადგან უცნობია პროგრამების ხელმისაწვდომობა და აღსრულების ნაწილის ეფექტურობა.

$X_{სი} \text{ სურსათის უვნებლობა} = \frac{3-0}{4-0} = 0.75$  მეხუთე ინდიკატორის 14.14-დან საქართველოს 75%

იქნება **10.61**.

ხელმისაწვდომობის ბოლო, მე-6 ინდიკატორი ითვალისწინებს „ფერმერებისთვის დაფინანსების ხელმისაწვდომობას“. ამ შემთხვევაშიც, შეფასება ხდება 0-დან 4 ქულამდე სისტემით:

- 0 = ფაქტობრივად არ არსებობს სახელმწიფო ან მრავალმხრივი დაფინანსების პროგრამები;
- 1 = შეზღუდული რაოდენობის სახელმწიფო ან მრავალმხრივი დაფინანსების პროგრამები;
- 2 = მცირე რაოდენობის სახელმწიფო ან მრავალმხრივი დაფინანსების პროგრამები;
- 3 = ფართო, მაგრამ არასიღრმისეული სახელმწიფო დაფინანსების პროგრამები, ან კარგად განვითარებული მრავალმხრივი დაფინანსების პროგრამები;
- 4 = წვდომა სიღრმისეული დაფინანსების პროგრამებზე. სიღრმე მიუთითებს პროგრამების რაოდენობაზე, რომლებიც, ასევე, მოიცავს კრედიტებსა და დაზღვევას.

სახელმწიფო ახორციელებს სხვადასხვა პროგრამას ფერმერთა განვითარებისთვის, მათ შორის როგორც სოფლის განვითარების სააგენტოს, ასევე „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში. გარდა ამისა, პროგრამები ხორციელდება საერთაშორისო დონორების მონაწილეობითაც. აქედან გამომდინარე შეგვიძლია 4-დან მივანიჭოთ 2 ქულა.

$X_{სი}^{დაფინანსებაზე\ წვდომა} = \frac{2-0}{4-0} = 0.5$  მეექვსე ინდიკატორის 11.11-დან საქართველოს 50% იქნება **5.56**.

ვინაიდან, უკვე გამოვთვალეთ „ხელმისაწვდომობის“ 6-ვე კომპონენტი, შეგვიძლია გადავიყვანოთ ქულებში:

$$17.78+4.44+0.8+1.11+10.61+5.56=40.3$$

$$40\text{ ქულის } 40.3\% = 16.12$$

**„ხელმისაწვდომობის“ 40 ქულიდან, საქართველოს შეიძლება მიენიჭოს 16.12 ქულა.**

## მოპოვებადობა (Availability) – 44 ქულა

მოპოვებადობის პირველი ინდიკატორია „მიწოდების საკმარისობა“, რომელიც შედგება ორი კომპონენტისგან: კვების საშუალო მიწოდება და საკვები პროდუქტებით დახმარებაზე დამოკიდებულება.

კვების საშუალო მიწოდების მოცულობის დასადგენად შეგვიძლია ავირჩიოთ და გამოვიყენოთ FAO-ს 2020 წლის მონაცემები, რომელიც შეიცავს ქვეყნებში 1 სულ მოსახლეზე საკვების მიწოდებას (კილო-კალორია): საქართველო - 3022.68, ამერიკის შეერთებული შტატები - 3885.93, ბურუნდი - 1739.21 (FAO).

$$X_{\text{საკვების მიწოდება}} = \frac{3022.68 - 1739.21}{3885.93 - 1739.21} = 0.6; 73.33 \times 0.6 = 44$$

რაც შეეხება საკვები პროდუქტებით დახმარებაზე დამოკიდებულებას, შეფასება ხდება WFO-ს მონაცემების საფუძველზე, 0-დან 2 ქულამდე სისტემით, ხარისხობრივი ანალიზის საფუძველზე, შემდეგნაირად:

- 0 = ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ქვეყანამ მიიღო ქრონიკული სასურსათო დახმარება და ხასიათდება ზრდადობით;
- 1 = ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ქვეყანამ მიიღო ქრონიკული სასურსათო დახმარება, მაგრამ ხასიათდება კლებადი ტენდენციით;
- 2 = იღებს მცირე რაოდენობით, ან საერთოდ არ იღებს სასურსათო დახმარებას, ან იღებს სასურსათო დახმარებას მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევებში.

რადგან WFP-მ 2022 წელს გააფართოვა საკვები პროდუქტებით დახმარების პროგრამა (WFP) საქართველოში და, ამასთანავე, სხვადასხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაცია ახორციელებს საკვები პროდუქტებით დახმარების პროგრამას, ლოგიკურია, საქართველოს მიენიჭოს 0 ქულა.

საბოლოო ჯამში, პირველი ინდიკატორის პროცენტი იქნება  $23.42 \times 0.44 = 10.3$

მეორე ინდიკატორია „სოფლის მეურნეობის კვლევისა და განვითარების სახელმწიფო ხარჯები“. შეფასება ხდება 1-დან 9 ქულამდე EIU-ს მიერ. ინფორმაციის სიმწირისა და არსებული რეალობის გათვალისწინებით გავაკეთოთ დაშვება და მივანიჭოთ საქართველოს 4 ქულა.

$$X_{\text{R\&D}}^{\text{სა}} = \frac{4-1}{9-1} = 0.38, \text{ ინდიკატორი } 8.11 \times 0.38 = \mathbf{3.08}$$

მესამე ინდიკატორია „სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურა“, რომელიც მოიცავს მოსავლის ადეკვატური დასაწყობების შესაძლებლობას, საგზაო ინფრასტრუქტურასა და საპორტო ინფრასტრუქტურას. მესამე კრიტერიუმის პირველი კომპონენტს EIU-ს მიერ ხარისხობრივი შეფასებით მიენიჭება ქულა, თუმცა მონაცემები საქართველოსთვის არ არის, არც შეფასების კრიტერიუმებია საჯარო, ამიტომ გავაკეთოთ დაშემა და მაქსიმუმი 22.2%-დან მივანიჭოთ ნახევარი, 11.1%.

რაც შეეხება საგზაო ინფრასტრუქტურას, ამ შემთხვევაშიც არ მოიპოვება მონაცემები, ამიტომ ჩავანაცვლოთ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემებით გზების ხარისხის შესახებ, სადაც შემდეგი მაჩვენებლებია: საქართველო - 3.8, სინგაპური 6.5, ჩადი 1.9 (The Global Economy).

$$X_{\text{საგზაო}}^{\text{სა}} = \frac{3.8-1.9}{6.5-1.9} = 0.41, 40.74 \times 0.41 = 16.7$$

საპორტო ინფრასტრუქტურის შემთხვევაშიც მსგავსი ჩანაცვლება გავაკეთოთ: საქართველო 3.8, სინგაპური 6.5, ტაჯიკეთი 1 (The Global Economy a).

$$X_{\text{საპორტო}}^{\text{სა}} = \frac{3.8-1}{6.5-1} = 0.51, 37.04 \times 0.51 = 18.9$$

მესამე ინდიკატორის სამივე მაჩვენებლის დაჯამებით მივიღებთ  $11.1+16.7+18.9=46.7$

$$12.61 \times 46.7 / 100 = \mathbf{5.89}$$

მეოთხე ინდიკატორია „სოფლის მეურნეობის წარმოების არასტაბილურობა“. ამ მიმართულებითაც არ არის მონაცემები, რომლებიც შესაძლოა შეედაროს სხვა ქვეყნების მინიმუმს და მაქსიმუმს. ამიტომ შეგვიძლია გამოვიყენოთ სურსათის ინფლაციის მაჩვენებელი: საქართველო 15, ზიმბაბვე 264, სამხრეთ სუდანი -25 (Trading Economics b). ვინაიდან, მაღალი ინფლაცია სასურსათო უსაფრთხოებაზე უარყოფითად აისახება, მონაცემების ნორმალიზება შემდეგნაირად მოვახდინოთ:

$$X_{\text{ინფლაცია}}^{\text{სა}} = \frac{15-264}{-25-264} = 0.86, 13.51 \times 0.86 = \mathbf{11.62}$$

მეხუთე ინდიკატორია - პოლიტიკური სტაბილურობის რისკი. ვინაიდან, აღნიშნული ინდიკატორის შეფასებაც ხდება EIU-ის მიერ, ჩავანაცვლოთ



პოლიტიკური სტაბილურობის ინდექსით: საქართველო -0.42, ლინხენშტეინი 1.64, სომალი -2.68 (The Global Economy b).

$$X_{\text{სტაბილურობა}} = \frac{-42 - (-2.68)}{1.64 - (-2.68)} = 0.52, 9.91 \times 0.52 = 5.15$$

მე-6 ინდიკატორია კორუფცია, შეფასებული უნდა იყოს EIU-ის მიერ, ამიტომ ჩავანაცვლოთ „კორუფციის აღქმის ინდექსით“: საქართველო 55, დანია, ფინეთი და სხვა ქვეყნები 88, სამხრეთ სუდანი 11 (Transparency).

$$X_{\text{სტაბილურობა}} = \frac{55 - 11}{88 - 11} = 0.57, 9.91 \times 0.57 = 5.65$$

მოპოვებადობის განზომილებაში მე-7 ინდიკატორია „ურბანული შთანთქმის უნარი“. აღნიშნულთან დაკავშირებით არ არის მონაცემები, რაც მოგვცემს შეფასების და შედარების საშუალებას, ამიტომ დავუშვათ, რომ არის მთლიანის ნახევარი,  $9.91/2 = 4.96$

ბოლო, მე-8 კრიტერიუმია სურსათის დანაკარგი. მიუხედავად იმისა, რომ გლობალურად ქვეყანა, რომელიც ყველაზე მეტ სურსათს კარგავს და არ გამოიყენება საკვებად, არის ჩინეთი, იმისთვის, რომ მოვახდინოთ ადეკვატური შედარება, შეგვიძლია გამოვიყენოთ სურსათის დანაკარგი ერთ სულ მოსახლეზე კგ/წელი. საქართველო 101, ნიგერია 189, რუსეთი 33 (UNEP).

$$X_{\text{სტაბილურობა}} = \frac{101 - 33}{189 - 33} = 0.44, 12.61 \times 0.44 = 5.55$$

მიღებული შედეგები გადავიტანოთ ქულებში და გამოვთვალოთ მოპოვებადობის 44 ქულიდან რამდენი შეიძლება ქონდეს საქართველოს:

$$10.3 + 3.08 + 5.89 + 11.62 + 5.15 + 5.65 + 4.96 + 5.55 = 52.2$$

$$44 \text{ ქულის } 52.2\% = 22.97$$

#### **ხარისხი და უვნებლობა (Quality and Safety) – 16 ქულა**

მესამე განზომილება, რომლის ინდიკატორებსაც გამოვიყენებთ ინდექსის გამოთვლისას, არის ხარისხი და უსაფრთხოება, სადაც პირველი ინდიკატორია საკვები რაციონის დივერსიფიკაცია. ვიდაიდან არ არის EIU-ს შეფასებული მონაცემები, არც ინდიკატორის გამოთვლის დამხმარე მითითებები, დავუშვათ, რომ

საქართველოში შესაძლებელია საკვები რაციონის ადეკვატური დივერსიფიკაცია და მივანიჭოთ არსებული **20.34**.

მეორე კრიტერიუმია კვების სტანდარტები, სადაც ჩაშლილია - კვების ეროვნული სახელმძღვანელო მითითებები, კვების ეროვნული გეგმა ან სტრატეგია, კვების მონიტორინგი და მეთვალყურეობა. თითოეული მათგანი ფასდება 0 ან 1 ქულით. სურსათის ეროვნული სააგენტოს პროგრამებისა და საკანონმდებლო ბაზის (მაგალითად, კანონი ბავშვთა ბუნებრივი კვების დაცვისა და ხელშეწყობის, ხელოვნური საკვების მოხმარების შესახებ, მინისტრის ბრძანება "ცხოველთა სასაკლაოების ტიპობრივი წესის დამტკიცების შესახებ" და ა.შ.) გათვალისწინებით მივანიჭოთ თითოეული კომპონენტში 1 ქულა და მივიღებთ ინდიკატორს **13.56**-ს მოცულობით.

მესამე ინდიკატორია საკვები მიკროელემენტების ხელმისაწვდომობა, კერძოდ კი ვიტამინი A, ცხოველური და მცენარეული წარმოშობის რკინა. A ვიტამინი ძირითადად არის ისეთ პროდუქტებში როგორებიცაა, რძე, კვერცხი, ძროხის ღვიძლი, პომიდორი და ა.შ. (Harvard) ცხოველური წარმოშობის რკინა მოიპოვება ისეთიპროდუქტებით, როგორებიცაა ძროხის ან ქათმის ღვიძლი, საქონლის ხორცი, თევზი, ქათმის ხორცი და ა.შ. მცენარეული კი შემდეგში - ლობიო, თხილი, ისპანახი, კარტოფილი და ა.შ. (Harvard a) ვინაიდან, ქვეყანაში ზემოაღნიშნული პროდუქტების მოპოვება შესაძლებელია, მივანიჭოთ ქვეინდიკატორის არსებული მოცულობა **25.42**. მსგავსად არის მეოთხე ინდიკატორიც - ცილის ხარისხი, **23.73**.

მეხუთე ინდიკატორია სურსათის უვნებლობა, სადაც 32.14% მოდის სურსათის უვნებლობისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის სააგენტოზე, 25% ფორმალური სასურსათო სექტორის არსებობაზე, ხოლო 42.86% მოსახლეობის ნაწილზე, რომელსაც აქვს ონკანის სასმელ წყალზე წვდომა. საქართველოში წვდომა აქვს 66.35 პროცენტს. მონაკო, ისლანდია და სხვა ქვეყნებში 100%-ს, ხოლო ჩადში 5.59%-ს (Macrotrends e).

$$X_{\text{სა წყალზე წვდომა}} = \frac{66.35 - 5.59}{100 - 5.59} = 0.64, 42.86 \times 0.64 = 27.43$$

მეხუთე ინდიკატორი იქნება  $32.14 + 27.43 + 25 = 84.57$  16.95-ის  $84.57\% = 14.33$

შევაჯამოთ მესამე განზომილების ყველა ინდიკატორი:

20.34+13.56+25.42+23.73+14.33=97.38

16 ქულის 97.38% =15.58

სამივე განზომილების დაჯამებით მივიღებთ 16.12+22.97+15.58=54.67 ქულა

თუ მიღებული შედეგების საშუალოს გამოვიყვანთ, ასეთ შემთხვევაში პროცენტულად გამოდის  $40.3+52.2+97.38 / 3 = 63.29$  ქულა

შევაფასოთ საქართველოს ქულა და შევადაროთ ზოგიერთ სხვა ქვეყანას. სამეზობლო ქვეყნებიდან აზერბაიჯანის ქულაა დათვლილი, რომელსაც 59.8 ქულა აქვს, უკრაინას 57.9, თურქეთს კი 65.3 (Impact Economist). 2021 წლის აზერბაიჯანის მშპ ერთ სულ მოსახლეზე 5388 დოლარი, უკრაინის 4835.57, ხოლო თურქეთის 9 661,24 დოლარია (The World Bank e). როგორც ვხედავთ, სხვა დანარჩენთან ერთად GDP ინდექსის მოცულობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. აზერბაიჯანს, უკრაინას და საქართველოს ისევე როგორც მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, ასევე სასურსათო ინდექსიც მიახლოებული აქვთ. უკრაინას, მიუხედავად იმისა, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე ნაკლები აქვს ვიდრე საქართველოს, სასურსათო ინდექსი მეტი აქვს, ეს შეიძლება სურსათის, განსაკუთრებით კი ნედლეულის და მარცვლეულის წარმოებას დაუკავშიროთ. საქართველომ 8 ქულა დაკარგა მთლიანი შიდა პროდუქტის დაბალი მაჩვენებლის გამო, სხვა ქვეყნებთან შედარებით.

მიუხედავად ინდექსის დათვლისას არსებული დაბრკოლებებისა და ცდომილებებისა, მიღებული შედეგი ლოგიკურ ზღვრებშია მოქცეული. საქართველოს ინდექსის მოცულობის ზრდისთვის ისეთი ინდიკატორების ცვლილებაა საჭირო, როგორებიცაა: სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის რაოდენობის შემცირება, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა, ადგილობრივი მწარმოებლებისთვისა და ქვეყნის მასშტაბით ფერმერებისთვის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა, სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის განხვითარებისთვის კვლევების ხელშეწყობა, საგზაო და საპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, პოლიტიკური სტაბილურობის გაუმჯობესება, სხვადასხვა დონეზე კორუფციის აღმოფხვრისთვის ეფექტიანი ღონისძიებების გატარება. ზემოაღნიშნული გამოიწვევს არამხოლოდ სურსათის გლობალური

ინდექსის მონაცემების გაუმჯობესებას, არამედ ქვეყანაში მოსახელობის ცხოვრების ხარისხისა და კეთილდღეობის ზრდას.

## დასკვნები და რეკომენდაციები

სადისერტაციო კვლევის წარმოების შედეგად, გამოვლინდა, გაანალიზდა და შეფასდა ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების განვითარებასთან, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოიყოს ის მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებს. კვლევის შედეგად განხორციელდა საფრთხეების ანალიზი სხვადასხვა დონეზე: შესწავლილ იქნა ინდივიდის ეკონომიკური უსაფრთხოება, ბიზნესის ეკონომიკური უსაფრთხოება და სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოება. ეკონომიკური უსაფრთხოება, თავის მხრივ, გაანალიზებული იქნა როგორც ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი.

- გამოწვევები იწყება საკანონმდებლო რეგულირებისა და ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლების გადაწყვეტილებების ანალიზიდან. ამ ეტაპისთვის, არ მოიპოვება დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიას, რომლის არსებობაც ეკონომიკური უსაფრთხოების მიზნებისა და ამოცანების დასახვას შესაძლებლობას მოგვცემდა;
- საქართველოში მაღალია უმუშევრობის დონე. ეკონომიკურად აქტიური ყოველი მე-5 ადამიანი უმუშევარია. თუ შევადარებთ მეორე თავში მოყვანილ ქვეყნებს, განსხვავება მკვეთრად აღიქმება. უმუშევრობა საქართველოში თითქმის 7-ჯერ მაღალია გერმანიასთან შედარებით და დაახლოებით 3-ჯერ მაღალია ბალტიის ზღვის ქვეყნებთან შედარებით;
- ქვეყანაში არ არსებობს უმუშევრობის დაზღვევა, რაც დაკავშირებულია უმუშევრობის მაღალ დონესთან და ამ მიმართულებით საბიუჯეტო ხარჯების უზრუნველყოფის პრობლემასთან. უმუშევრობის დაზღვევის არარსებობა საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ეკონომიკურ უსაფრთხოებას;

- ქვეყანაში არ არსებობს ფუნქციონირებადი მინიმალური ხელფასი. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომისტთა ნაწილის აზრით მინიმალური ხელფასის დაწესება აუარესებს სიტუაციას შრომის ბაზარზე, მისი არარსებობა შესაძლებელია გახდეს ინდივიდთა შრომითი ექსპლუატაციის საფუძველი. მაგალითად, საქართველოში მედიანური ხელფასი 900, ზოგიერთი მიმართულებით კი 600 და 500 ლარიც კია, რაც ნიშნავს, რომ დასაქმებულთა ნახევარზე მეტს ხელფასი 900 ლარზე ნაკლები აქვთ, ზოგი მიმართულებით კი 600 და 500 ლარზე ნაკლები. მეორე თავში განხილული ევროპული ქვეყნებს დაწესებული აქვს მინიმალური ხელფასი, რაც, ფაქტია, არ იწვევს ქვეყანაში უმუშევრობის ზრდას;
- საქართველო არ იყენებს საშემოსავლო გადასახადის დაუბეგრავ მინიმუმს, მიუხედავად პრეცედენტის არსებობისა. მაშინ როდესაც განვითარებული ევროპული ქვეყნები დაბალშემოსავლიან მოქალაქეებზე აწესებენ საგადასახადო შეღავათებსა და დაუბეგრავი შემოსავლის ლიმიტებს;
- სოციალური სიმშვიდის კომპონენტის მიმართულებით, ქვეყანაში გატარდა საპენსიო რეფორმა. მიუხედავად ამისა, ჩატარებული კვლევის შედეგად დგინდება, რომ საპენსიო რეფორმა ვერ უზრუნველყოფს ხელფასის ჩანაცვლებით ცხოვრების ხარისხის შენარჩუნებას. ჩანაცვლების კოეფიციენტი 20 პროცენტამდეც კი არ ადის, რაც, თავის მხრივ, ინდივიდთა ეკონომიკურად უსაფრთხო მომავალს კითხვისქვეშ აყენებს;
- როდესაც განვიხილავთ უმუშევრობას და დასაქმების შესაძლებლობებს, უნდა ვიმსჯელოთ განათლების სისტემასა და თავისებურებებზე. არსებული მდგომარეობით, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა ირჩევს უმაღლესი განათლების მიღებას და ნაკლებად სასურველია პროფესიული განათლების დაუფლება, რაც, თავის მხრივ, წარმოშობს კადრების სიჭარბეს სამსახურებში სადაც უმაღლესი განათლება საჭირო და კადრების დეფიციტს პროფესიული კუთხით არსებულ სამსახურებში. განხილული ევროპული ქვეყნების მაგალითზე კი ვხედავთ, რომ პროფესიული განათლება პოპულარულია და საზოგადოებისთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენს უმაღლესი განათლების მიღება. ეს კი

საბოლოოდ უზრუნველყოფს ყველა მიმართულებით კონკურენტუნარიანი კადრების ფორმირებას;

- ბიზნესის და ინდივიდის ეკონომიკური უსაფრთხოებები ზოგიერთ შემთხვევაში ერთმანეთთან თანხმობაში ვერ მოდის. ამ დროს მნიშვნელოვანი ხდება ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის გააქტიურება და უკეთეს შემთხვევაში სოციალური მეწარმეობის პოპულარიზება. ამ მიმართულების განვითარებისთვის, პირველ რიგში, საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება და ჩარჩო პირობების ფორმირებაა საჭირო;
- ბიზნესის უსაფრთხოებისთვის და განსაკუთრებით მცირე ბიზნესის ხელშეწყობისთვის დაწესებულია საშეღავათო პირობები, მაგალითად, მიკრო ბიზნესი, მცირე ბიზნესი, მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსი. ასევე მიღებულია საგადასახადო სისტემის ესტონური მოდელი, თუმცა მხოლოდ მოგების გადასახადის მიმართულებით. მოგების გადასახადის ესტონური მოდელი გულისხმობს ნულ პროცენტთან საგადასახადო განაკვეთს მიღებული მოგების რეინვესტირების შემთხვევაში, ეს კი ხელს უწყობს ბიზნესის გაფართოებას და ეკონომიკური აქტივობის ზრდას, რაც, ჯაჭვური ეფექტით, დადებითად აისახება ეკონომიკის ფუნქციონირებაზე. საგადასახადო ცვლილებები არ უკავშირდება ინდივიდსა და საშემოსავლო გადასახადს;
- ბიზნესის სოციალური გადასახადები დაკავშირებულია მხოლოდ დასაქმებულზე 2 პროცენტთან საპენსიო შენატანთან, სხვა მხრივ ბიზნესს სახელმწიფოს მიმართ სოციალური კუთხით საგადასახადო ვალდებულებები არ აქვს;
- საგარეო ვაჭრობის მიმართულებით, მონაცემების კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქვეყანა ძალიან შეზღუდულად იყენებს ევროპულ ბაზართან დაახლოების შესაძლებლობებს. მიუხედავად ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო შეთანხმების არსებობისა, საქართველოს ერთ-ერთ მთავარ სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენს რუსეთი (ექსპორტი მე-3 ადგილი - 11.5 პროცენტი, იმპორტი მე-3 ადგილი - 13.5 პროცენტი). ჩატარებული კვლევის შედეგად ნაჩვენებია, რომ 2015 წლის შემდგომ, ევროკავშირში ექსპორტის შემცირების დინამიკა, ხოლო რუსეთში ზრდის დინამიკა

ფიქსირდება. ეს კი სახიფათოა ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და ეკონომიკური უსაფრთხოების განვითარებისთვის. მაშინ როდესაც ევროკავშირის ბაზრის კარი ღიაა, ხშირად მწარმოებლები თავიდან ირიდებენ დამატებითი ხარჯების გაწევას და მისწრაფიან მარტივად ასათვისებელი ნაცნობი ბაზრებისკენ;

- ქვეყნის სავაჭრო ბალანსი მკვეთრად უარყოფითია, 2021 წელს საქართველომ დაახლოებით 2.5-ჯერ მეტი იმპორტი განახორციელა, ვიდრე ექსპორტი. რაც თავისთავად გულისხმობს იმპორტდამოკიდებულების ზრდა და ადგილობრივი წარმოების შეფერხებებს. საექსპორტო საქონელი რომ განვიხილოთ, საქართველოს ექსპორტზე ძირითადად გააქვს ბუნებრივი რესურსები, ავტომობილები და ღვინო (რომლის ნახევარიც რუსეთში გადის ექსპორტზე). საქართველოს საგარეო ვაჭრობის არსებული მდგომარეობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის ძირეულ ცვლილებებს საჭიროებს. ფაქტია, რომ ქვეყნის მწარმოებლურობა არასახარბიელო მდგომარეობაშია. არსებული მდგომარეობა საფრთხის შემცველია მდგრადი განვითარების კუთხითაც, რაც ვლინდება თაობებს შორის რესურსების გადანაწილებისა და მოხმარების პრობლემაში. საქართველოს ეკონომიკა საერთაშორისო ბაზრების დივერსიფიცირების საპირისპიროდ უფრო და უფრო მეტად უკავშირდება ქვეყნის სტრატეგიული განვითარებისთვის არასახარბიელო მდგომარეობას;
- სახელმწიფოსა და ინდივიდის ეკონომიკური უსაფრთხოება ერთმანეთთან თანხვედრაში ვერ მოდის შრომითი მიგრაციის საკითხში. ერთის მხრივ,, სახელმწიფოსთვის არასახარბიელოა შრომითი მიგრაცია და თითქოს ახორციელებს ცალკეულ პროგრამებს ემიგრანტების შინ დასაბრუნებლად, თუმცა, მეორეს მხრივ, ემიგრანტების მიერ ქვეყანაში შემოსული უცხოური ვალუტის მოცულობა უფრო და უფრო იზრდება, ამასთანავე, ემიგრანტების ძირითადი ნაწილი არის სამუშაო ძალის ის კატეგორია, რომელმაც ვერ იპოვა სამსახური ქვეყანაში და საზღვარგარეთულ ქვეყნებში დასაქმება შეძლო. ეს კი შესაძლოა ქვეყანაში უმუშევრობის შემცირებად იქნას აღქმული;



- რუსეთის უკრაინაში შეჭრამ და საომარი მოქმედებების წარმოებამ, საქართველოში გაზარდა ვიზიტორების რაოდენობა რუსეთიდან, ბელორუსიდან და უკრაინიდან. მოკლევადიანი ეფექტით ამან გამოიწვია ლარის გამყარება, თუმცა მეორეს მხრივ, განსაკუთრებით რუსეთიდან მაღალმხარჯველობითუნარიანი მოქალაქეების შემოსვლამ გამოიწვია ფასების ზრდა და ლოკალური რესურსების დეფიციტი, ასევე მათ მიერ ბიზნესების რეგისტრაცია აჩენს კითხვის და ქმნის ეკონომიკისთვის საყურადღებო სიტუაციას;
- სახელმწიფოსა და ინდივიდის ეკონომიკური უსაფრთხოებები კიდევ ერთი მიმართულებითა აცდენილი და ესაა ქვეყანაში გატარებული ლარიზაციის პოლიტიკა. გატარებული რეფორმების შედეგად შეიზღუდა სესხებზე ხელმისაწვდომობა. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მოსახლეობის უმეტესობითვის შეუძლებელია მაგალითად იპოთეკური სესხით სარგებლობა და საცხოვრისით უზრუნველყოფა;
- კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გარკვეული საფრთხეები არსებობს ენერგეტიკული უსაფრთხოების მიმართულებით, მაგალითად ის, რომ საქართველოსთვის ბუნებრივი აირის მთავარი მომწოდებლისგან, აზერბაიჯანისგან, ბუნებრივი აირის იმპორტის შემცირების ტენდენცია ფიქსირდება, რუსეთისგან კი ზრდის. მაშინ, როდესაც საქართველო ფაქტობრივად მთლიანად იყო ჩამოშორებული რუსული ბუნებრივი აირის იმპორტს და ამ მიმართულებით ბევრად უფრო კარგ სიტუაციაში იყო, ვიდრე ევროპის წამყვანი ქვეყნები;
